ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა


2 აპრილიდან!
„ახალი თაობა“
+
ილია II
ოქროს ხანა
სამტომეულის მესამე ტომი
8 ლარი





სამშაბათი, 9 აპრილი, 2013 №83 (6084) ფასი: 30 თეთრი

# მიხეილ სააკაშვილმა თურქეთში მხარი მოიტეხა

გვ.3

## პრეზიდენტი ველოსიპედით ტრაილერს შეეჯახა



## გიორგი მარგველაშვილი: „მოსწავლეები ყველა საჯარო სკოლაში წიგნებს უფასოდ მიიღებენ“

გვ.5



## დეპუტატი გიორგი კანდელაკი ვლადიმერ პუტინის დაკითხვას ითხოვს

გვ.3

## თეა წულუკიანი: „აგვისტოს ომი აუცილებლად უნდა გამოვიძიოთ“

გვ.5





## სოსო ცისკარიშვილი: „ნაციონალების პროვოკაცია დადგმულია, პრემიერა 19 აპრილს იქნება“

გვ.2



## მაია ფანჯიკიძეს სამთავრობო კარუსელზე ინფორმაცია არა აქვს

გვ.5

## ნიკოლოზ მჟავანაძე: „თურქეთი აჭარის მიერთებაზე სერიოზულად ფიქრობს“

გვ.4





## მარინა კაჟაშვილი: „სააკაშვილი პარლამენტის მიღებულ კანონზე ვეტოს ვერ დაადებს“

გვ.3


3 აპრილიდან!
„ახალი თაობა“
+
იოანე პავლე II
8 ლარი





ISSN 1987-9385

**5** ლეიბორისტები პრემიერს კონსტიტუციის დარღვევაში ადანაშაულებენ

**4** შინაგან საქმეთა სამინისტროში საკადრო ცვლილებებია

**2** თბილისის საკრებულოში ახალი ფრაქცია შეიქმნა

**11** 87 წლის ასაკში მარგარეტ ტეტჩერი გარდაიცვალა

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# სოსო ცისკარიშვილი: „ნაციონალების პროვოკაცია დადგმულია, პრემიერა 19 აპრილს იქნება“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის პრეზიდენტ სოსო ცისკარიშვილთან

***— ბატონო სოსო, ბევრი საუბრობს იმის შესახებ, რომ 19 აპრილს ნაციონალური მოძრაობა, როგორც პოლიტიკური ძალა, შეწყვეტს არსებობას... თქვენ რამდენად იზიარებთ ამ მოსაზრებას, ან რას ელით ამ დღისგან?***

— 19 აპრილის მთავარი მოლოდინი ჩემთვის გახლავთ ის, რომ მეორე დღეს უსათუოდ დადგება 20 აპრილი. ყველაფერი სხვა დამოკიდებულია იმ მწირ ფანტაზიაზე, რომელიც გააჩნია ნაციონალური მოძრაობის ნამსხვრევებს. ისინი თავს არ დაიმარხავენ, მაგრამ საკუთარი თავის შეხსენებით საზოგადოებისთვის სერიოზულ დახმარებას გაუწევენ ქართული ოცნების კოალიციას. იმის ნაცვლად, რომ ეცადონ, საკუთარი თავის მქმნელი პერიოდი დავიწყებას მიეცეს, თავხედური აქტივობა ამ კაცთმოძულე პოლიტიკური გუნდისა, რასაკვირველია, მხოლოდ მათ ოპონენტებს გააძლიერებს და მოლოდინიც მხოლოდ ამის მაქვს.

***— პროვოკაციებს თუ ელით?***

— პროვოკაციას დიდი ალბათობით ადგილი ექნება, ყოველ შემთხვევაში, იმ მასშტაბისა, რომელიც არაერთხელ იქნება მერე ნაცმოძრაობის მიერ გამოყენებული, როგორც ვიდეო კადრების, ასევე საჩივრების სახით, რომელიც დაიგზავნება საერთაშორისო ორგანიზაციებში. არ გამოვრიცხავ, რომ ეს პროვოკაცია უკვე რეპეტირებულია, უკვე დადგმულია და მისი პრემიერა შედგება 19 აპრილს და რასაკვირველია, მოქმედნი პირნი და შემსრულებლები, სწორედ საგანგებოდ მოწვეულნი პირები იქნებიან ამ თავყრილობაზე.

***— ყოფილი პრემიერი და შინაგან საქმეთა მინისტრი, ვანო მერაბიშვილი ახალი ორგანიზაციის შექმნას და ადამიანის უფლებების დაცვაზე ზრუნვას აპირებს თურმე...***

— კი ბატონო... ოღონდ თუ ახსოვს არითმეტიკის ჭეშმარიტება, ალბათ, უნდა დაფიქრდეს, რადგან პატარა ბავშვმაც იცის, რომ შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება. ხოლო ნაცმოძრაობის აპოლოგეტთა ჯგუფები, როგორადაც არ უნდა ჩამოყალიბდნენ, მაინც იმ წარუშლელი ლაქის მატარებლები იქნებიან, რომელიც წლების განმავლობაში ინერგებოდა საქართველოს მოსახლეობის ცნობიერებაში, სადიზმითა და უსამართლობით, რასაც სჩადიოდა ნაციონალური მოძრაობა.

***— ბატონო სოსო, რაც შეეხება საერთო სასამართლოების შესახებ კანონს, ეჭვობენ, რომ სააკაშვილი ვეტოს დაადებსო და თქვენ როგორ ფიქრობთ, რას უნდა ველოდოთ?***

— მე მგონი, სჯობს ვეტო, ვიდრე მუდმივი გეტო. ამიტომ ნაციონალური გეტოდან რომ გადარჩეს ქართული სასამართლო, ამიტომ ასეთი ვეტოც გადაილახება და ხელისშემშლელიც გაილახება. ძნელია პროგნოზირება სააკაშვილის ქმედებების. რასაკვირველია, მის ხასიათში ძევს ამ საკითხზე ვეტოს დადების სურვილი, მაგრამ ვაითუ გაუნათდეს იმავ მომენტში გონება და გადაიფიქროს. ალბათობა ამისა მცირეა, მაგრამ მაინც არსებობს. რადგან სულ მალე გაირკვევა ვეტოს რეალური მიზეზი, იმ ევროპელი პოლიტიკოსებისთვისაც, ვისაც დღემდე თვალს ლიბრი აქვს გადაკრული და სმენა — დახშული. ეს მუდმივად არ გაგრძელდება და როგორც კი ვეტო გადაილახება, ინფორმაცია იქნება სანდო და დამაჯერებელი ასეთი ნაბიჯის ახსნისათვის და შესაბამისად, კიდევ ერთი საერთაშორისო მარცხი დაფიქსირდება სააკაშვილისა და მისი გარემოცვის.

***— უახლოეს დღეებში შუალედური არჩევნები აქვთ წინ და ალბათ ამ ეტაპზე არ აწყობთ არაპოპულარული ნაბიჯები...***

— ამომრჩეველი, რომლის იმედიც აქვთ ნაციონალებს, პოპულარულად ჩათვლიან იმ ნაბიჯს, რომელსაც გადადგამს მათი ბელადი. კრიტიკული ანალიზი დაუშვებელია ნაციონალური მოძრაობის წევრებისთვის და მათი მხარდამჭერებისთვის. ისინი მხოლოდ ავტორიტარული მეთოდებით სარგებლობენ და თუ ზემოდან არის ნაბრძანები, რომ სწორედ ვეტო გადაარჩენს საქართველოს, მზად არიან ნაცმოძრაობის სახეები, რომ ხმის ჩახლეჩამდე ამტკიცონ იგივე.

***— ამჟამინდელ ხელისუფლებას რაც შეეხება, შინაგან საქმეთა მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა სამინისტროში საკადრო ცვლილებების განხორციელება დაიწყო. როგორ ფიქრობთ, გაიზიარა მან საზოგადოების შენიშვნები იმასთან დაკავშირებით, რომ შს სამინისტრო სავსეა ძველი კადრებით? თქვენი აზრით, რამდენად დადებითი პროცესები დაიწყო?***

— მე მგონი, დადებითობის და უარყოფითის შეფასებაში შეიძლება განსხვავებული აზრი გამოითქვას, მაგრამ ფაქტია, რომ გადაწყვეტილებები ეყრდნობა უკვე საკუთარ გამოცდილებას ბატონი მინისტრის და არა რაიმე შეძახილებს აქეთ– იქიდან. ეს დრო ნამდვილად აუცილებელი იყო, რომ სერიოზულად ჩაწვდომოდა ახალბედა მინისტრი იმ რეალობას, რომელიც სუფევდა ამ სისტემაში და მე მგონი, კატალიზატორის როლი შეასრულა ქალბატონი თეა წულუკიანის ვიზიტმა ნაძალადევის პოლიციაში, სადაც მისმა ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. ცხადია, ეს ინფორმაცია გახდა ცნობილი შინაგან საქმეთა მინისტრისთვის. ამაზე სანდო რესპონდენტის მოპოვება საქართველოში ძნელია, რეაგირება იყო მყისიერი. ალბათ, ეს არ გახლავთ



ერთადერთი განყოფილება პოლიციისა, სადაც პირველმა ხელმძღვანელმა პირებმა ვერ გაიაზრეს, რა მოხდა შარშან, შემოდგომაზე საქართველოში და იმავე მეთოდებით აპირებდნენ საქმიანობის გაგრძელებას, რასაც ისინი დააჩვიეს ნაციონალური მოძრაობის ბატონობისას ქვეყანაში.

***— ფიქრობთ, რომ პროკურატურაშიც დაიწყება ეს ცვლილებები?***

— პროკურატურაში ცვლილებები იქნება, თუმცა შედარებით უფრო დაბალი ტემპით, რადგან ახლა მასობრივი დათხოვა გამოიწვევს კიდევ უფრო შემცირებას გამოძიების ტემპის და მათ დროში გაწელვას და ამ შემთხვევაში მთავარი პროკურორი უფრო რთული ამოცანის წინაშე დგას. თუმცა დაუძლეველი არაფერია, როცა ნათელია საბოლოო მიზანი, რომელიც სრულიად მკაფიოდ და დაბეჯითებით აქვს გამოთქმული საქართველოს მოსახლეობას და ეს გახლავთ სამართლიანობის აღდგენის აუცილებლობა.

***— საკმაოდ ხშირია საყვედურები საზოგადოების მხრიდან, რომ რატომ იწელება ეს პროცესი ქვეყანაში და ხშირად საყვედურები სწორედ პროკურატურის მისამართით ისმის. თვლით, რომ ამ ეტაპზე რთულია საკადრო ცვლილებები?***

— საკადრო ცვლილებები უნდა მიმდინარეობდეს, მაგრამ მე ვსაუბრობ ტემპზე, როგორი ტემპით უნდა განხორციელდეს ეს. პოლიცია, რომელიც ბევრად უფრო დიდი რაოდენობის საკადრო პოტენციალს ცნობს, ბევრად უფრო მარტივად შეძლებს ცვლილებების განხორციელებას, ვიდრე პროკურატურა, რომელსაც აწუხებს არა მხოლოდ სამართლიანობის უნარი ამა თუ იმ პროკურორის, არამედ, ზოგადად კვალიფიკაციაც. მოგეხსენებათ, გასული წლების განმავლობაში პროკურატურამ, ზოგადად გამოძიებამ დაკარგა შინაარსი. შესაბამისად დაეცა კვალიფიკაცია. ალბათ გადაწყვეტილების მიმღებნი ამ სისტემაში ორცეცხლშუა არიან, დააბრუნებენ ძველ პროკურორს, იქნებიან კრიტიკის ადრესატები, როგორც ძველ კადრებზე დაფუძნებულნი, ხოლო არ შეცვლიან, ასევე კრიტიკის ქარცეცხლში იქნებიან, რომ ის დამნაშავენი იკვლევენ კვლავ სხვის დანაშაულს, რომლებიც ადრე უდანაშაულო ხალხს ამწესებდნენ ციხეში.

***— ბატონო სოსო, იუსტიციის მინისტრი, თეა წულუკიანი აუცილებელ გარემოებად მიიჩნევს მიხეილ სააკაშვილის დაკითხვას. თქვენი აზრით, რამდენად შესაძლებელი იქნება ეს?***

— აბა, რა გითხრათ, ასეთი მაგალითი ბევრია. თვითონ ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიიდანაც რამდენიმე პრეზიდენტი მართალია იმპიჩმენტის თემაზე, მაგრამ მაინც დაკითხვის რეჟიმში თანამშრომლობდა გამოძიებასთან. ჩვენ მოწმე ვართ, რომ იტალიის ხელისუფლების პირველი პირი, ბატონი ბერლუსკონი მუდმივ კონტაქტშია საგამოძიებო ორგანოებთან, სწორედ დაკითხვის რეჟიმში. მოსწონს ეს თუ არ მოსწონს, ბატონი სარკოზიც არის დაკითხული რამდენჯერმე. ისრაელში საერთოდ სასჯელს იხდის ზოგიერთი უმაღლესი თანამდებობის პირი. ამდენად, არაბუნებრივი არაფერია სააკაშვილის დაკითხვაში, მაშინ, როდესაც ის ხელმძღვანელობდა იმ სისტემას, რომელმაც შვა არნახული უსამართლობა საქართველოს ისტორიაში.

***— ე.ი. არ გამორიცხავთ?***

— არ გამოვრიცხავ ნამდვილად, თუმცა შედეგის თვალსაზრისით უფრო სკეპტიკური ვარ, რადგან ჩვენთან ძალიან მრუდედ აღიქვეს კოაბიტაციის თემა. თუმცა არავის მიუცია განმარტება დასავლეთიდან, რომ კოაბიტაცია, ეს დამნაშავეებთან და სამართალდამრღვევებთან ჩახუტების რეჟიმი გახლავთ. ერთადერთი, ვინც მოახერხა ქართული ოცნებისა და ნაციონალური მოძრაობის კოჰაბიტაცია, ეს გახლავთ უჩა ნანუაშვილი, რომელმაც შექმნა დოკუმენტი, უკიდურესად სამართლიანი და აღმოჩნდა, რომ ორივე წამყვან პოლიტიკურ ძალას აღშფოთება დაეუფლა ამ დოკუმენტის გაცნობისას და ბოლოს და ბოლოს გაერთიანდა ნაცმოძრაობა და ქართული ოცნება ომბუდსმენის კრიტიკის თემით. სწორედ ასეთი ომბუდსმენი სჭირდებოდა საქართველოს და ვულოცავ ჩვენს საზოგადოებას, რომ ინსტიტუტი, რომელიც ზედმიწევნით ასრულებს მასზე დაკისრებულ მისიას, სწორედ ქმედითია და სანდო ხელშია.

***— სწორედ რომ მინდოდა, მისი ანგარიშის შესახებ მეკითხა, საზოგადოება არ არის ნაჩვევი ყოფილი სახალხო დამცველებიდან ასეთ ანგარიშებს. მან ბევრ ისეთ ფაქტზე გაამახვილა ყურადღება, რაზეც ასე ღიად არ საუბრობენ და საზოგადოების ნაწილისთვის დაფარული იყო დღემდე...***

— ბატონ უჩაზე არაერთხელ მისაუბრია, ჯერ კიდევ ომბუდსმენის არჩევის წინა პერიოდში და ჩემთვის ძნელად წარმოსადგენია უკეთესი კანდიდატურა. თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ მისი საერთაშორისო კავშირები, იმ პროფესიონალებთან, რომლებიც წარმოადგენენ სოლიდურ საერთაშორისო ორგანიზაციებს, ალბათ, სხვა ასეთს ვერ დაიტრაბახებს საქართველოში. ის სრული ნდობით აღჭურვილია ძალიან ბევრი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ და მისი ადრინდელი საქმიანობაც მხოლოდ იმაზე მიგვანიშნებდა, რომ ენის მოჩლექით ის ვერც ერთი პოლიტიკური ძალის მიმართ ვერ იმოქმედებს და სათქმელს იტყვის იმ გულწრფელობით, რაც ახასიათებს ზოგადად პატიოსან ადამიანს, გაჯერებული იქნება ეს პატიოსნება კახური სიჯიუტითაც. სწორედ ამ შედეგის მომსწრენი ვართ და მე მგონი, ვიდრე საჯარო კრიტიკას მიჰყოფენ ხელს, ომბუდსმენის ანგარიშის, იქნებ იმათმა მაინც, ვინც იგი აირჩია ომბუდსმენად, ჯერ ერთმანეთში გაერკვიათ თემა, ვიდრე მედიის საშუალებით დაიწყებოდა მისი ბრალდებების გაჟღერება.

***— ბატონო სოსო, კიდევ ერთ თემას მინდა რომ შევეხოთ, თქვენთვისაც ცნობილია, რომ 14 აპრილს ყოფილი პოლიტპატიმრების ინიციატივით სპორტის სასახლეში საზოგადოების გარკვეული ნაწილი შეიკრიბება და ისინი რეჟიმის გასამართლებას მოითხოვენ. რამდენად წავა ამაზე ახალი ხელისუფლება? საუბარია, რომ დასავლეთი ახალ ხელისუფლებას ამის უფლებას არ მისცემს.***

— იცით, ეს არ გახლავთ თემა, სადაც სოლისტად უნდა გამოდიოდეს რომელიმე ორგანიზაცია დასავლეთიდან. ეს გახლავთ ძირითადი სატკივარი საქართველოს მოსახლეობისა და რა ფორმით მოხდება ანგარიშგება ჩადენილი დანაშაულობებისთვის, ეს ისევ ქართველი საზოგადოების გადასაწყვეტია. სრულიად ბუნებრივია პათოსი, რომელიც გააჩნიათ ყოფილ უკანონო პატიმრებს და არც კანონიერად დასჯილებს აქვთ რაიმე ვალდებულება, დამალონ ის სადისტური გამოვლინებები, რაც ახასიათებდა ყოფილ ხელისუფლებას. ამიტომ რაიმე ფორმით ასეთი სასამართლო მაინც გაიმართება და სწორედ იქ გამჟღავნდება, რა კომპეტენციის არის სახალხო სასამართლო, რა კომპეტენციისა არიან სახალხო მსაჯულები. დიდი ალბათობით ეს უნდა იყოს სწორედ საზოგადოების აქტიობის თემა და არა ვალდებულება დღევანდელი სასამართლო სისტემის, რადგან ჯერჯერობით შველას სწორედ სასამართლო სისტემა ითხოვს და საზოგადოება ბევრად უფრო ჯანსაღია დღეს, ვიდრე სასამართლო სისტემა. ამიტომ ასეთი სასამართლო უნდა გაიმართოს სახალხო სასამართლოს მიერ, მეტნაკლებად ობიექტურად შერჩეული მსაჯულების თანხლებით. გეტყვით იმასაც, რომ ეს პროცესი უკვე მიმდინარეობს, ამაში ჯერჯერობით ჩართულია მხოლოდ ქართული მედიის ნაწილი. ის სამხილები, რომლებიც ქვეყნდება ყოველ კვირას რამდენიმე გაზეთში, არის სოლიდური მასალა ნებისმიერი რეჟიმის გასამართლებისთვის. ამიტომ ჯერ საზოგადოება და მერე სახელმწიფო სისტემა უკვე ვალდებული გახდება, მიიღოს საზოგადოების სასჯელი ამ თემაზე. დარწმუნებული ვარ, რომ არანაკლებ მილიონი ხელმოწერისა ასეთ სარჩელს დაამშვენებს.

## თბილისის საკრებულოში ახალი ფრაქცია შეიქმნა

თბილისის საკრებულოში ახალი ფრაქცია „დამოუკიდებელი დემოკრატები“ შეიქმნა.

ფრაქციის წევრები ნაციონალური მოძრაობიდან წასული დეპუტატები დავით ჯინჭარაძე, გიორგი ქველაძე და გელა ომანიძე არიან.

როგორც გუშინ საკრებულოში გამართულ პრესკონფერენციაზე ფრაქციის წევრებმა განაცხადეს, ფრაქციას გიორგი ქველაძე უხელმძღვანელებს.

„ჩვენ ვაპირებთ ვითანამშრომლოთ საკრებულოში წარმოდგენილ აბსოლუტურად ყველა ფრაქციასთან, გვქონდეს კონსულტაციები ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ ხაზგასმით მინდა აღვიშნო, რომ საკრებულოს სხდომაზე წარმოდგენილ საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას მივიღებთ დამოუკიდებლად“,– განაცხადა დავით ჯინჭარაძემ და დასძინა, რომ ახალი ფრაქცია საკრებულოში მოქალაქეებისთვის ყველა აქტუალურ საკითხზე იმუშავებს.

ჯინჭარაძის განმარტებით, მათი პრიორიტეტები ადამიანის უფლებების დაცვა, სოციალური ფონის გაუმჯობესება, ინფრასტრუქტურული პროექტები და თბილისის მოსახლეობის დასაქმება იქნება.

ცნობისთვის, ამჟამად თბილისის საკრებულოში ექვსი ფრაქციაა: „ნაციონალური მოძრაობა“, „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება – თბილისელები“, „ქართული ოცნება – თბილისი“, „თავისუფლება“ და „დამოუკიდებელი დემოკრატები“.

მედიანიუსი

## გია ხუხაშვილი 19 აპრილის აქციაზე ავტოპროვოკაციას არ გამორიცხავს

ექსპერტი გია ხუხაშვილი 19 აპრილის აქციაზე ავტოპროვოკაციას არ გამორიცხავს და აცხადებს, რომ ნაციონალურ



მოძრაობაში არიან მახინჯი ტვინები, რომლებმაც შესაძლოა ამ დღეს პროვოკაცია დაგეგმონ.

როგორც მან გუშინ ჟურნალისტებს განუცხადა, ხელისუფლება ვალდებულია წესრიგი დაიცვას.

„ავტოპროვოკაციას არ გამოვრიცხავ, არიან ცხელი თავები, მახინჯი ტვინები, ანუ ისეთი ადამიანები, რომლებმაც შესაძლოა პროვოკაცია დაგეგმონ, თუმცა არ ვურჩევდი“, – აღნიშნა გია ხუხაშვილმა.

ხუხაშვილის აზრით, აქციის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით საჭირო იქნება ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის კოორდინაცია. შეგახსენებთ, რომ 19 აპრილს თბილისში, პარლამენტის შენობის წინ ნაციონალური მოძრაობის აქციაა დაგეგმილი.

მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# დეპუტატი გიორგი კანდელაკი ვლადიმერ პუტინის დაკითხვას ითხოვს

შორენა მარსაგიშვილი

საოცნებო ხელისუფლება აგვისტოს ომის გამოძიებას აპირებს. ამ ომთან დაკავშირებით დღემდე ბევრი კითხვის ნიშანი არსებობს. არაერთხელ ითქვა, რომ ამ ომზე მიხეილ სააკაშვილსაც მოუწევს კითხვებზე პასუხის გაცემა.

სააკაშვილმა ერთხელ უკვე ისაუბრა ამ ომზე. გემახსოვრებათ, რომ წინა მოწვევის პარლამენტში მოქმედებდა პაატა დავითაიას კომისია, რომელმაც მიხეილ სააკაშვილიც კი დაკითხა. უფრო სწორად, პრეზიდენტმა დააკითხვინა მათ თავი.

პრეზიდენტის შესაძლო დაკითხვასთან დაკავშირებით განცხადება გუშინ საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმაც გააკეთა. ამ განცხადებამ ნაციონალები გააბრაზა.



საპარლამენტო უმცირესობის წევრის, გიორგი კანდელაკის განცხადებით, „დასაკითხია არა მიხეილ სააკაშვილი, არამედ ვლადიმერ პუტინი“.

– ძალიან სამწუხარო ფაქტია, რომ „ქართული ოცნების“ რიტორიკა, აი, უკვე მერამდენედ, თანხვედრაში მოდის რუსეთის ფედერაციის პოზიციასა და რიტორიკასთან. საქართველოს დადანაშაულება ომში, მაშინ, როდესაც საქართველო გახდა აგრესიის მსხვერპლი, მაშინ, როცა რუსეთის ფედერაციამ განახორციელა ეთნიკური წმენდა საქართველოს ტერიტორიაზე და სიცოცხლეს გამოასალმა საქართველოს ასობით მოქალაქე, არის უბრალოდ, ანტისახელმწიფოებრივი. რა თქმა უნდა, უმჯობესი იქნებოდა, რომ ქალბატონი წულუკიანი დაინტერესდეს გამოძიების წარმართვით იმ ხალხის წინააღმდეგ, იმ სამხედრო მეთაურების წინააღმდეგ, რომელთაც განახორციელეს ეთნიკური წმენდა საქართველოს მოქალაქეების წინააღმდეგ და ამ კონტექსტში დასაკითხია არა მიხეილ სააკაშვილი, არამედ ვლადიმერ პუტინი, – განაცხადა კანდელაკმა.

პრეზიდენტის შესაძლო დაკითხვას ექსპერტი გია ხუხაშვილიც გამოეხმაურა. მისი თქმით, პრეზიდენტის დაკითხვამ სახელმწიფო ინტერესები არ უნდა დააზარალოს.

– აუცილებლად უნდა გაირკვეს, რა მოხდა აგვისტოში რეალობაში. ეს ყველაფერი კი აჟიოტაჟის გარეშე უნდა მოხდეს, რომ არ დაზიანდეს სახელმწიფოს ინტერესები. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ არაფერი არ გამოვიძიოთ. ძალიან ბევრი დანაშაული ახლდა მთელ ამ პროცესს. ეს სამართლიანი და სწორია, თუმცა აუცილებელია მტრის ხელში არ აღმოჩნდეს საქართველოს საზიანოდ, – აცხადებს ხუხაშვილი.

# მიხეილ სააკაშვილმა თურქეთში მხარი მოიტეხა

## პრეზიდენტი ველოსიპედით ტრაილერს შეეჯახა

შორენა მარსაგიშვილი

თურქეთი შესაძლოა უცხოელი პოლიტიკოსებისთვის საშიშ ადგილად გამოცხადდეს. ჯერ ანდრეს ფოგ რასმუსენმა და სერგეი ლავროვმა მოიტეხეს ზედა კიდურები, 2 დღის წინ კი საქართველოს პრეზიდენტმა მოიტეხა ხელი.

საქართველოს პრეზიდენტი თურქეთში ოფიციალური ვიზიტით 6 აპრილს გაემგზავრა. იქ რამდენიმე პოლიტიკური განცხადება გააკეთა და არც ახალ ხელისუფლებას დააკლო რჩევა-დარიგებანი.

ეს ყველაფერი რომ მოითავა, ველოსიპედს მოახტა და ანტალიაში გაისეირნა. ინფორმაცია სააკაშვილის დაზიანების შესახებ პირველებმა თურქულმა საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს. თურქული მედიის ცნობით, სააკაშვილი ველოსიპედით სეირნობისას საავტომობილო გზაზე გადავიდა და ტრაილერს შეეჯახა. მას, ხელის მოტეხილობის გარდა, სხვა დაზიანებებიც აღენიშნება.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ამ ინფორმაციას არც უარყოფდნენ და არც ადასტურებდნენ. ოფიციალური განცხადება დღის მეორე ნახევარში გაკეთდა. მაშინ გაირკვა, რომ ონავარ პრეზიდენტს ხელი კი არა, მხარი მოუტეხავს.

თურქეთში ოფიციალური ვიზიტის დროს, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დაშავება ველოსიპედით სეირნობის დროს, ოფიციალურად, პრეზიდენტის „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე დადასტურდა.

– თურქეთში ვიზიტის ფარგლებში, 6 აპრილს შედგა საქართველოს პრეზიდენტის მოლაპარაკება და სადილი თურქეთის პრემიერ-მინისტრ რეჯეფ თაიფ ერდოღანთან.

მომდევნო დღეს, ველოსიპედით ყოველდღიური ვარჯიშის დროს, მიხეილ სააკაშვილი დაშავდა. სტამბოლის საავადმყოფოში გამოკვლევისას მას დაუდგინდა მხრის სამმაგი მოტეხილობა. პრეზიდენტს ამავე საავადმყოფოში ოპერაცია ჩაუტარდა.

შეხვედრები, მათ შორის, შეხვედრა და სადილი თურქეთის პრეზიდენტთან, რომლებიც ორშაბათს იყო დაგეგმილი, სამშაბათს გაიმართება. აღნიშნული შეხვედრების შემდეგ კი საქართველოს პრეზიდენტი თურქეთს დატოვებს. – ნათქვამია „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე გაკეთებულ განცხადებაში.

საქართველოს პრეზიდენტს ველოსიპედი ძალიან უყვარს. საქართველოში ფაქტიურად კუთხე არ დაუტოვებია, სადაც ველოსიპედით არ უსეირნია. ველოსიპედზე გამიჯნურებული ველოტრასების გაკეთებასაც დაგვპირდა, მაგრამ ვინ აცალა. ხელისუფლებაში მოვიდა ბიძინა ივანიშვილი და ველოტრასები ოცნებად დარჩა.

სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა სააკაშვილი ველოსიპედის სიყვარულმა დააზარალა. რამდენიმე წლის წინ მან ხელი მოიტეხა. ოფიციალური ვერსიით პრეზიდენტი ველოსიპედით სეირნობდა და გადმოვარდა. არაოფიციალური ინფორმაციით კი მას ხელი მეზობელი ქვეყნის პრეზიდენტის დაცვამ მოატეხა. შეგახსენებთ, რომ იმ პერიოდში საქართველოს აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილხამ ალიევი და მისი მეუღლე სტუმრობდნენ.

როგორც თავში უკვე აღვნიშნეთ, თურქეთი უცხოელი პოლიტიკოსებისთვის საშიში გახდა. 2011 წლის ნოემბერში იქ ნატოს გენერალური მდივანი ანდრეს ფოგ რასმუსენი დაიმტვრა. ისიც ჩვენი პრეზიდენტივით ველოსიპედიდან გადმოვარდა და მანაც ხელი მოიტეხა.



გასული წლის დეკემბერში კი სტამბოლში ხელი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა მოიტეხა. ამბობენ, რომ ის კიბეებზე ჩამოსვლის დროს დაგორდა და დაიმტვრა.

სხვათა შორის, უცხოელი პოლიტიკოსებისთვის არც საქართველოა მთლად უხიფათო ქვეყანა. წლების წინ ჩვენს ქვეყანას სომხეთის იმჟამინდელი პრეზიდენტი რობერტ ქოჩარიანი სტუმრობდა. ქართველმა კოლეგამ ის გუდაურში თხილამურებზე სასრიალოდ დაპატიჟა. ქოჩარიანმა ისრიალა და ფეხი მოიტეხა.

მხრის მოტეხვამდე მიხეილ სააკაშვილმა რამდენიმე ოფიციალური შეხვედრა გამართა. ის თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველებსაც შეხვდა. ეს შეხვედრა ბურსას რაიონში გაიმართა.

მიხეილ სააკაშვილი ბურსას რაიონის სოფელ ჰაირში ორ ოჯახს ესტუმრა. პრეზიდენტთან შესახვედრად ადგილობრივი მოსახლეობაც იყო შეკრებილი. საქართველოს პრეზიდენტს მათ გადასცეს წერილი, რომელშიც თურქეთში მცხოვრები ქართველები აჭარის რეგიონის სოფელ მაჭახელადან 1887 წელს მათი გადმოსახლების ისტორიას დეტალურად აღწერენ. წერილში აღნიშნულია, რომ ისინი თურქეთის სრულუფლებიანი მოქალაქეები არიან, თუმცა სურთ მჭიდრო კავშირი ისტორიულ სამშობლოსთან. ყველას, ვისაც შენარჩუნებული აქვს ქართული ენა და კულტურა, ქვეყნის პირველი პირი საქართველოს მოქალაქის სტატუსის მინიჭებას დაჰპირდა. ერთ-ერთი ოჯახის უფროსსა და მის მეუღლეს ბასრი ილდირიმსა და მაქბულე ილდირიმს მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა.

მათთან შეხვედრის შემდეგ ბურსას რაიონის ქალაქ ინეგულში პრეზიდენტმა კიდევ ერთი შეხვედრა გამართა ქართული წარმოშობის თურქ მოქალაქეებთან. მიხეილ სააკაშვილმა მათ სიტყვით მიმართა და ქართველობის შენარჩუნების მნიშვნელობაზე ესაუბრა. გამოსვლისას მიხეილ სააკაშვილმა ყურადღება თურქეთ-საქართველოს მეგობრულ ურთიერთობაზე გაამახვილა.

თურქეთში მყოფმა სააკაშვილმა საქართველოს ახალ ხელისუფლებასაც გაჰკრა კბილი და რჩევები მისცა. მისი თქმით, მეოცნებეებმა უკვე აშენებულს თავი დაანებოს და გასაკეთებელს მიხედოს.

– თურქეთის პრემიერ-მინისტრთან ძალიან მნიშვნელოვანი საკითხები განვიხილეთ. უპირველეს ყოვლისა, შევეხეთ ნატო-სთან ინტეგრაციის საკითხს და ამ მიმართულებით, თურქეთი დახმარებას დაგვპირდა. ჩვენ კარგად უნდა მოვემზადოთ შემდეგი სამიტისთვის. ჩვენი მთავარი მეგზური ნატო-ში ინტეგრაციის თვალსაზრისით სწორედ თურქეთია. ვისაუბრეთ ეკონომიკური თანამშრომლობის თემებზეც. ასევე დეტალურად განვიხილეთ ახალციხის მეჩეთთან და რაბათის ციხის კომპლექსთან დაკავშირებული საკითხები. თქვენ იცით, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში საქართველოს მთავრობისგან შემოვიდა წერილი გუმბათის რეკონსტრუქციისა და სხვა შიდა ცვლილებების თაობაზე. ამას ხელი არ მოვაწერე და პრემიერ-მინისტრ ერდოღანთან შეხვედრის შემდეგ ამ გადაწყვეტილების სისწორეში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი. მას დეტალურად დავათვალიერებინე წიგნი, რომელშიც შესულია ულამაზესი რაბათი. მინდა, სრული პასუხისმგებლობით ვთქვა, რომ თურქეთის მხრიდან არანაირი მსგავსი, მით უმეტეს, კატეგორიული მოთხოვნა არასდროს ყოფილა. პრემიერ-მინისტრი დამეთანხმა, რომ ეს გუმბათი უნდა დარჩეს ოქროსფერი. ყველა სხვა საკითხი დელიკატურად უნდა განვიხილოთ სპეციალისტებთან ერთად ისე, რომ არც ერთი მხარის ინტერესი არ შეილახოს. ამას გარდა, შევთანხმდით, რომ თუკი თურქეთის ტერიტორიაზე ჩვენ მხოლოდ აზომვით შემოვიფარგლებოდით და პატარ-პატარა სამუშაოებს ვასრულებდით, ახლა სრული მასშტაბით დაუშვებენ ქართველ სპეციალისტებს. ამას დაეთანხმა პრემიერ-მინისტრიც. არქეოლოგები, რესტავრატორები, არქიტექტორები შეისწავლიან და მოამზადებენ ქართული ძეგლების რესტავრაციის პროექტს. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან კულტურული ძეგლები საჭიროებს გადარჩენას და პრემიერ-მინისტრმა ეს მშვენივრად გაიგო. ამ თემებს ძალიან ფრთხილად უნდა მოვეპყროთ. საქართველოში ასაშენებელი კიდევ ბევრია. აშენებული ბევრი დავტოვეთ, მაგრამ 100-ჯერ მეტია ასაშენებელი. მოდით, უკვე აშენებულს თავი დავანებოთ, მით უმეტეს, ასეთ ლამაზს და ნიშნის მოგებით ან ჯინზე კი არ გავაკეთოთ რამე (არ მინდა ვინმე კონკრეტულად დავადანაშაულო, ბრალი დავდო ან ეჭვი შევიტანო), უბრალოდ, ახალი შევქმნათ. თუ გვაქვს რესურსი, ვაშენოთ – ბავშვთა სახლებია გადასახური, ლტოლვილთა სახლების სახურავებიდან ჩამოდის წყალი, ვერც ეს დავამთავრეთ და დაასრულონ. რაბათის გუმბათებს თავი დაანებონ. საგარეო პოლიტიკის მიმართულებით კი გვჭირდება თავმოყვარე საგარეო პოლიტიკის გატარება. პრინციპული საუბარი ყველას მშვენივრად ესმის და ამაში დღეს კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, – განაცხადა ხელის მოტეხვის წინა დღეს საქართველოს პრეზიდენტმა.

# მარინა კაჟაშვილი: „სააკაშვილი პარლამენტის მიღებულ კანონზე ვეტოს ვერ დაადებს“

შორენა მარსაგიშვილი

ნაციონალური მოძრაობა ამტკიცებს, რომ მიხეილ სააკაშვილი პარლამენტის მიერ მიღებულ რამდენიმე კანონს ვეტოს დაადებს. სავეტოოდ განწირულად ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონიც ითვლება.



რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ავტორობითა და მთავრობის ინიციატივით ცვლილებები „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონში და მასთან ერთად, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსსა“ და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ შედის.

პარლამენტში წარდგენილი ცვლილებების თანახმად, უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონით დადგენილ წესს დაარღვევს, თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად, 400 ლარით დაჯარიმდება. შესაბამისად, პირის მიერ პირველ ჯერზე ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესის დარღვევისთვის პასუხისმგებლობა სისხლის სამართლებრივი სანქციის ნაცვლად, ადმინისტრაციული წესით განისაზღვრება.

სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესის დარღვევისათვის კი იმ შემთხვევაში დადგება, თუ ასეთი ქმედება პირმა ადმინისტრაციული სახდელის შეფარდების შემდეგაც ჩაიდინა. გარდა ამისა, განისაზღვრება, რომ კანონით აკრძალული მიმართულებიდან ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის სპეციალურ თანხმობას საქართველოს მთავრობა გასცემს. ასეთი თანხმობა სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე შეიძლება გაცემულ იქნეს როგორც ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლამდე, ისე შესვლის შემდეგ.

კანონპროექტით, აკრძალული მიმართულებიდან ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლისთვის პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება პირი, რომელიც საქართველოს მთავრობის სპეციალური თანხმობის გარეშე შევიდა/შევა აკრძალული მიმართულებიდან ოკუპირებულ ტერიტორიაზე, თუმცა, საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის შემდეგ საქართველოს მთავრობის სპეციალურ თანხმობას მიიღებს.

ამ ცვლილებებს მხარს „ქართულ-ოსური მისიაც“ უჭერდა. მისიაში დარწმუნებული არიან, რომ სააკაშვილი ვეტოს დადებას ვერ გაბედავს.

– კანონს, რომელიც რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ავტორობითა და მთავრობის ინიციატივით ცვლილებები „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონში და მასთან ერთად, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსსა“ და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ შევიდა.

აღნიშნულ კანონთან მიმართებაში, საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს უმცირესობის დეპუტატი ირმა ნადირაშვილი საკუთარ მოსაზრებას გამოთქვამს, რომ შესაძლებელია პრეზიდენტმა ვეტო დაადოს ,,ოკუპაციის“ კანონს.

საქართველოს პარლამენტი და პარლამენტარები წლებია ისეთ გადაწყვეტილებებს იღებდნენ და ისეთ ჩასწორებებს ახდენდნენ კანონთა სხვადასხვა მუხლებში, სადაც ქართველი საზოგადოების აზრი გაუთვალისწინებელი იყო. სწორედ ამ თავნებობამ მიიყვანა საქართველო დღეს ამ საოცარ რეალობამდე: მჩქეფარე შადრევნები, ნაირფერად შეღებილი სახლები, ავტობანები და მშიერი, დაავადმყოფებული, წელში გატეხილი, გაღატაკებული ადამიანები, ქართველებისაგან დაცლილი ქვეყანა, ათასობით დევნილი ოჯახი, უამრავი დაღუპული ახალგაზრდა ჯარისკაცი და შავძაძებში გახვეული დედები. დევნილი მოსახლეობის მოსაზრებით, 1990 წლის იანვრიდან მოყოლებული, კანონს ,,ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ ვეტო ადევს და არც არავინ ფიქრობს, რომ ვითარება ორ მხარეს – ქართველებს, ოსებსა და აფხაზებს შორის დააბალანსოს. სხვისი ტკივილი ადვილად ასატანია, მაგრამ იქნებ იფიქროთ იმაზე, თუ რა მძიმე, რთული და ძნელად გასავლელი გზა გამოვიარეთ დევნილებმა 23 წლის განმავლობაში. უამრავი დევნილი ოჯახი დღემდე სასტუმროს პატარა ოთახებში რჩება და მათი მომკითხველი ორ ათეულ წელზე მეტია, არავინ ყოფილა. იმედის სხივიც კი ჩაქრა მათ თვალებში. „ქართულ-ოსური მისია“ და ათასობით დევნილი ოჯახები ვაცხადებთ, რომ ვერავინ ვერ გაბედავს და ვერ დაადებს ვეტოს, კანონს ,,ოკუპაციის“ შესახებ! ეს კანონი ლიბერალური უნდა გახდეს იმ ჩვეულებრივი ადამიანებისათვის, ვისაც ოკუპაციაში არანაირი წვლილი არ მიუძღვის და უნდა გაიხსნას საზღვრები. ერთხელ და სამუდამოდ გაიაზრეთ, რომ 23 წლის შემდგომ ხმამაღლა გვაქვს ხმის ამოღების უფლება დევნილებს და გვენატრება ჩვენი დაბადების ადგილები, მამა-პაპათა წლობით მიტოვებული საფლავები – უსულგულოებო, – ვკითხილობთ მისიის განცხადებაში.

მისიის წარმომადგენლის, მარინა კაჟაშვილის განცხადებით იმაზე საუბრობს, რა პირობას იძლევა დევნილი მოსახლეობა.

– რაც შეეხება ოკუპანტებს და მათ ხელშემწყობებს საქართველოში, საზღვრებს ახლოს არ გავაკარებთ, ამის პირობას ვიძლევით დევნილი მოსახლეობა. შეიქმნება მონიტორინგის ჯგუფი და ასევე ამოქმედდება მთელი სიმკაცრით სასაზღვრო მაკონტროლებელი სისტემა. თითოეული მოქალაქე საზღვრის გადამკვეთი უმკაცრესად გაკონტროლდება! 23 წელი იყო ის დიდი დრო, ოთხი ხელისუფლების ჩინოვნიკებისათვის, რომ როგორმე რამენაირად იოტისოდენა ნაბიჯი გადაედგათ დევნილთა სასარგებლოდ, ერთი ოჯახი მაინც დაებრუნებინათ საკუთარ კერაზე, პირიქით, ხელოვნური ომები და დევნილთა მხრებზე გამდიდრებული ჩინოვნიკები და ერთეული ადამიანების გასამდიდრებელი პროექტების რეალიზება. რაც შეეხება ახალ მთავრობას, მივმართავთ თხოვნით, რათა აღნიშნული კანონის განხილვისას გაითვალისწინონ ,,ქართულ-ოსური მისიისა“ და დევნილი ხალხის მოთხოვნა – გაუქმდეს საზღვრის გადამკვეთ-გადმომკვეთზე, როგორც სისხლის სამართლებრივი, ასევე ადმინისტრაციული სასჯელი! ამოქმედდეს თავისუფალი მიმოსვლა. თუკი საქართველოში ადვილად დაპარპაშებენ ყველა რჯულის ადამიანები, იმათმა რა დააშავეს, ვისთან ერთადაც საუკუნეები მოვდივართ და ნათესაობა და ძმობა გვაკავშირებს. ჩვენი ურთიერთობები საუკუნეებს ითვლიდა, მაგრამ მავანმა წყალი აამღვრია ჩვენ შორის. იქნებ და კიდევ ჩაფიქრებული აქვთ რაიმე სპექტაკლების გათამაშება მავანთ? გაგვცეს ამ და სხვა უამრავ კითხვეზე ვინმემ პასუხი, ვისაც თავი დიდ რამედ წარმოუდგენია ან საზოგადოებრივ და ან პოლიტიკურ ცხოვრებში, – აცხადებს „ახალ თაობასთან“ საუბარში მარინა კაჟაშვილი.

# ნიკოლოზ მჟავანაძე: „თურქეთი აჭარის მიერთებაზე სერიოზულად ფიქრობს“

გულიკო ბალაძე

„უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე გამოეხმაურა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრ აჰმედ დავუთოღლუს განცხადებას, სადაც იგი აჭარის თურქეთის შემადგენლობაში შეყვანის გეგმას ამჟღავნებს და ხელისუფლების პოზიციას გამოხატავს.

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აჰმედ დავუთოღლუმ რამდენიმე დღის წინ განაცხადა, ახლა ისინი მშვიდობიანი გზებით შეეცდებიან ყოფილი ოსმალეთის იმპერიის აღდგენას და მათ შორის, აჭარაზე პრეტენზიას აცხადებს.

– გასული საუკუნე უკვე ის გვერდია, რომელიც ჩვენ გადავფურცლეთ. ახლა ჩვენ დავამყარებთ ახალ კავშირებს სარაევოსა და დამასკოს, ბენღაზსა და ბათუმს შორის. ამჯერად ჩვენ ამას გავაკეთებთ მშვიდობიანი გზებით, არავისთან არ ვიომებთ, საზღვრებსაც პატივს ვცემთ, ახლა ამაშია ჩვენი ძალა. დღეს ეს ქვეყნები სრულიად სხვა ქვეყნებია, მაგრამ 110 წლის წინ, იემენი და სკოპიე, ბათუმი და ბენღაზა იყვნენ ერთი ქვეყნის, ოსმალეთის იმპერიის ნაწილი. ვამბობ რა ამას, ჩვენ ვიღებთ მათ გამოწვევას, რომლებიც ცეცხლს გაგვიხსნიან, ბრალს დაგვდებენ ნეო-ოსმალიზმში, მაგრამ თუ ასეა, ისინი, რომლებმაც გააერთიანეს მთელი ევროპა, რატომ არ იწოდებიან ახალ რომაელებად? – განაცხადა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აჰმედ დავუთოღლუმ.

„,უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარის ნიკოლოზ მჟავანაძის განცხადებით, აშკარაა, რომ თურქეთს შორსმიმავალი გეგმები აქვს.

– თურქეთი ოსმალეთის იმპერიის შენებას იწყებს და სერიოზულად აპირებს აჭარის თურქეთისთვის მიერთებისთვის ბრძოლას ყოველგვარი ომისა და შეიარაღებული თავდასხმის გარეშე, რაშიც, სამწუხაროდ, წლებია სააკაშვილის ხელისუფლებაც უწყობდა ხელს. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი არ არის ვიღაც რიგითი პოლიტიკოსი, რომელიც აცხადებს, რომ აჭარა მინდაო, – განაცხადა ნიკოლოზ მჟავანაძემ ბრიფინგზე.

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აჰმედ დავუთოღლუმ აღნიშნული განცხადება ერთ-ერთ შეხვედრაზე გააკეთა, რომელიც რუსულ ტელეარხ „ორტ-ს“ მეშვეობით გავრცელდა.

***– ბატონო ნიკა, მსგავსი განცხადებები აჭარაზე ჩემში ყოველთვის აღშფოთებას იწვევს და სრულიად მიუღებელია ზოგადად ქართული სახელმწიფოსთვის.***

– „უფლებადამცველთა გაერთიანება“ გმობს თურქეთის ოფიციალური ხელისუფლების ამ განცხადებას. ეს რომ ყოფილიყო რიგითი პოლიტიკოსის განცხადება, ყურადღებას არავინ მიაქცევდა და, მათ შორის, ჩვენც, მაგრამ ეს არის თურქეთის საგარეო უწყების პირველი პირის განცხადება, რომელიც გამოხატავს ოფიციალური ანკარის პოზიციას. აქედან გამომდინარე ჩვენთვის აშკარა და ნათელია, რომ თურქეთს აქვს შორს მიმავალი გეგმები აჭარასთან დაკავშირებით. ამას ხელს უწყობს ის, რომ ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დროს აჭარაში თურქი ბიზნესმენები ხშირად აბანდებენ ფულს და, ფაქტობრივად, თურქული კვარტლები იქმნება. რამდენიმე უბანში რომ გაივლი, თურქეთი გეგონება. იყო შემთხვევა, როდესაც მამაოს ჯვარიც კი მოხსნეს და უთხრეს, აქ არ გაიაროო და, რეალურად, იქ ქართველებს არ აჭაჭანებენ.

***– რომელი უბანია?***

– მაგალითად, ტრაპზონის უბანს ეძახიან.

***– კონკრეტულად, ეს რომელი ადგილია?***

– არ ვიცი, მე ბათუმელი არ ვარ. ბათუმში რომ ვიყავი, ბათუმელებმა მითხრეს, რომ შეშფოთებულები არიან. რომელი ქუჩაა, ამას მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, რომ თურქები ახორციელებენ დიდ ინვესტიციებს, ყიდულობენ კვარტლებს აჭარაში. ეს გადაუმოწმებელი ინფორმაცია კი არ არის, ჩემი თვალით ვნახე, რა სიტუაციაა. თქვენც ნახავთ, თურქებს მთელი კვარტლები რომ აქვთ ნაყიდი. ინვესტიციების წინააღმდეგი არავინაა, მაგრამ მეჩეთების მშენებლობა, ახალგაზრდების სასწავლებლად წაყვანა და მსგავსი ქმედებები, ჩვენს სახელმწიფოებრიობას საფრთხეს უქმნის. ჩვენ კიდევ შევიტყვეთ, რომ მაღალმთიანი აჭარიდან წარჩინებული ახალგაზრდები სასწავლებლად უფასოდ მიჰყავთ.

***– წარჩინებული ახალგაზრდები კი არა, გაჭირვებული ოჯახის შვილები მიჰყავთ სასწავლებლად.***

– მე ასე მითხრეს, რომ წარჩინებული ახალგაზრდები მიჰყავთ. შეიძლება წარჩინებული ადამიანია, მაგრამ გაჭირვებულია. წარჩინებული ახალგაზრდები მიჰყავთ, ფულს უხდიან, ასწავლიან ისლამის ფუძემდებლურ პრინციპებს, შემდგომ ეს ახალგაზრდები ჩამოდიან, ქადაგებენ ისლამს. ამის ნათელი დაგვირგვინება გახლავთ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება. ფაქტია, მინისტრი თავის განცხადებაში აცხადებს, რომ ბათუმი, სარაევო, ბენღაზი იყო ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში. მართალია ისინი ახლა არ უთქვამს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, დავიპყრობთ და ჩვენს შემადგენლობაში შევიყვანთო, მაგრამ ბოროტული განცხადებაა. მთლიანი ტექსტი რომ ავიღოთ, ჩანს, თურქეთს აქვს პრეტენზიები აჭარასთან დაკავშირებით.



თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი დავუთოღლუ საკმაოდ გამოცდილი დიპლომატია. ეს ადამიანი ამ პოსტზე დიდი ხანია დანიშნულია. უბრალოდ, გაკვირვებას გამოვთქვამ, ასე ღიად და პირდაპირ რომ განაცხადა თავისი გეგმებისა და ზრახვების შესახებ. თურქეთის მოთხოვნა, რომ ბათუმში მეჩეთი აშენდეს, აფხაზეთში თურქული ხომალდები თავისუფლად შევიდნენ, აშკარად აჩვენებს, რომ ამ ხალხს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ სერიოზული ნაბიჯების გადადგმა აქვს გადაწყვეტილი. ამიტომ ჩვენ ამას მომზადებულები უნდა შევხვდეთ. მოუწოდებთ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, ახსნა-განმარტებები მოსთხოვოს თურქეთის სრულუფლებიან და საგანგებო ელჩს მათი საგარეო უწყების ამ განცხადებაზე. სირცხვილია, რომ საგარეო უწყება ასეთ განცხადებაზე რეაგირებას არ ახდენს. როდესაც ასეთი განცხადება კეთდება და ერთი ქვეყანა აცხადებს პრეტენზიას მეორე ქვეყნის ტერიტორიის მიმართ, საგარეო საქმეთა სამინისტრო იბარებს იმ ქვეყნის ელჩს და ახსნა-განმარტებას სთხოვს, რატომ გაკეთდა აღნიშნული განცხადება ამა თუ იმ პირის მხრიდან. ასეთი რამ რომ არ კეთდება, ეს არის სირცხვილი. თურქეთი უკვე ღიად აცხადებს, რომ ოსმალეთის იმპერიის მშენებლობას იწყებს და ამ მშენებლობით ის აჭარას მის შემადგენლობაში ხედავს. ეს იყო თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადების დედააზრი.

***– ამ ვითარებაში ქართველმა პოლიტიკოსებმა რა შეიძლება გააკეთონ?***

– ქართველმა პოლიტიკოსებმა ამაზე რეაგირება უნდა მოახდინონ. ჩვენ ორშაბათს ვგეგმავთ აქციას თურქეთის საელჩოსთან. ჩვენ ბევრი ტერიტორია დავკარგეთ. სხვათა შორის, დღეს თურქეთის საზღვრებშია მოქცეული ჩვენი ძირძველი ქართული მიწები. ამ ვითარებაში ეს ისეა, როგორც „გაღმა შეედავე, გამოღმა შეგრჩებაო“. რეალურად, იმის მაგივრად, რომ იქით გვქონდეს პრეტენზია ჩვენი ტერიტორიების დაბრუნებაზე, აქეთ გვიცხადებენ პრეტენზიას. თურქეთის საზღვრებშია ჩვენი ტერიტორიები, სადაც ჩვენი ისტორიული მემკვიდრეობაა და იმის უფლებას არ გვაძლევენ, მისი აღდგენა მოხდეს. ტაო-კლარჯეთში ჩვენი ტაძრების აღდგენის (რომელიც დანგრევის პირასაა) სანაცვლოდ მეჩეთების მშენებლობას გვთავაზობენ. ეს ყველაფერი არის სააკაშვილის დამსახურება. ბოდიში, მაგრამ თურქეთიდან შემოტანილ ნაგავ პროდუქციას რომ ვასაღებთ, რომელიც ეკოლოგიურადაც და ყველანაირად უხარისხოა, ამასთან ერთად, თურქული კომპანიები შემოდიან და სარგებლობას ღებულობენ, სანაცვლოდ კი პრეტენზიას აცხადებენ ჩვენს ტერიტორიაზე, ეს არის ჩვენი დოყლაპიობის ბრალი. ამ დოყლაპიობამ საკმაოდ დიდი ტერიტორიები დაგვაკარგვინა და ეტყობა, ჭკუა ვერ ვისწავლეთ.

– თუ ერი თავის სიმაღლეზე დგას, მისი ტერიტორიის ისლამიზაციას ვერავინ მოახდენს, მაგრამ ფაქტია, რომ აჭარას ისლამური სიბნელისკენ ექაჩებიან და ჩვენ ამ პროცესს ვერ ვუშლით ხელს. პირიქით, ამაში ხელს უწყობენ ქართველებიც. მხოლოდ თურქებისა და მათი საგარეო საქმეთა მინისტრის ბრალი არ არის.

***– როგორ არ არის, რას ამბობთ?!***

– როცა შენ ხელს შეუწყობ და ასეულობით მეჩეთს ააშენებინებ, ის, რა თქმა უნდა, ისე მოიქცევა, როგორც სურს.

– სააკაშვილი საქართველოს ძირს რომ უთხრიდა და საქართველოს ყველაზე დიდი მტერი გახლდათ, უდავოა, მაგრამ ახლა აღშფოთებული ვარ იმის გამო, რომ ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრი არ იბარებს თურქეთის ელჩს და პროტესტს არ აცხადებს თურქი მინისტრის განცხადების გამო. მოვითხოვთ, თურქეთის ხელისუფლებას გაეგზავნოს საპროტესტო ნოტა, რომ რეალურად, ეს არის საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგო განცხადება. აგრეთვე მოვითხოვთ, რომ გადაიხედოს საქართველოს დამოკიდებულება თურქეთის მიმართ.

აშკარაა, რომ აჭარის მიმართ დიდი ინტერესია და ბოლო 20 წლის განმავლობაში თურქეთის სახელმწიფო მიზანმიმართულად აფინანსებდა მეჩეთების მშენებლობას, ახალგაზრდების გაყვანას და მუსლიმანური განათლების მიცემას.

აჭარამ ძლივს დააღწია თავი მუსლიმანურ ბნელეთს, რომელმაც დიდი ზიანი მიაყენა ამ კუთხის მოსახლეობას და ახლა ისევ მუსლიმანური ბნელეთისკენ ექაჩებიან. მაგრამ ესეც ჩვენი სისუსტის ბრალია.

აქ დიდი მნიშვნელობა აქვს აჭარის მოსახლეობის დიდი უმრავლესობის განწყობას, რომელსაც სრულიად გაცნობიერებული და გათავისებული აქვს თავისი მეობა, ქართველობა და ნაბიჯ-ნაბიჯ იბრუნებს იმ წინაპრების სარწმუნოებას, რომლებსაც უამრავი ადამიანი შეეწირა უშუალოდ ამ ტერიტორიაზე. გავიხსენოთ, დანდალოს თაღოვან ხიდთან (რომელსაც დღესაც თამარ მეფის ხიდს ეძახიან) დაღვრილი ასიათასობით აჭარელის სისხლი, რომელიც მათ გაიღეს ქრისტიანობისა და ქართველობის გადასარჩენად.

აშკარაა, რომ თურქეთი ცდილობს, მულიმანობის დაბრუნებით, აჭარა კვლავ მოწყვიტოს დედა სამშობლოს, რომელთან 300-წლიანმა განშორებამაც განუზომელი ტკივილი მიაყენა ამ კუთხის მოსახლეობას, მაგრამ თურქი მინისტრის ამ ოცნებებს განხორციელება არ უწერია. მიზანმიმართული გამუსლიმანების მცდელობით ვერ დაგვამარცხებენ. აქაური ქართველები იმ პერიოდში, როცა აჭარა თურქეთის შემადგენლობაში იყო, მჭადზე ჯვრის დასმით და ლოცვით ინახავდნენ თავის ქართველობას და ხსოვნას დედასამშობლოსადმი. თურქეთმა მაშინ ვერ შეძლო მათი გათათრება და ახლა, ქართული სახელმწიფოს წიაღში აჭარის მუსლიმანიზაცია, ფუჭი მცდელობაა და მეტი არაფერი.

თუმცა, ქართული სახელმწიფო და ქართველობა მუდმივად ფხიზლად უნდა იყოს, რადგან აშკარად და დაუფარავად მტრულ გარემოცვაში გვიწევს ცხოვრება.

## შინაგან საქმეთა სამინისტროში საკადრო ცვლილებებია

შინაგან საქმეთა სამინისტროში საკადრო ცვლილებები განხორციელდა. ინფორმაცია ამის შესახებ „ნიუსპრესთან“ საუბარში სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ნინო გიორგობიანმა დაადასტურა.



მისი თქმით, ეს ჩვეულებრივი შიდა სტრუქტურული საკადრო გადაადგილებებია.

საკადრო გადაადგილებების შედეგად, შეიცვალა თბილისის პოლიციის სამმართველოს უფროსი, აგრეთვე ისანი-სამგორის რაიონის, გლდანი-ნაძალადევის რაიონის და ძველი თბილისის რაიონების პოლიციის სამმართველოს უფროსები.

ცვლილებებია შინაგან საქმეთა სამინისტროს რეგიონულ სამმართველოებშიც. კონკრეტულად კი, ცვლილებები სამცხე-ჯავახეთის, გურიის და მცხეთა-მთიანეთის სამმართველოებს შეეხო.

ნიუსპრესი

## აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად ვახტანგ ყოლბაია აირჩიეს

აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ, მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად გუშინ ვახტანგ ყოლბაია აირჩია.

საბჭომ გადაწყვეტილება მიიღო ასევე, ყოფილი თავმჯდომარის, გია ბარამიასათვის უფლებამოსილების შეჩერებასთან დაკავშირებითაც. გადაწყვეტილება ხელმოსაწერად პრეზიდენტს დღესვე გადაეგზავნება.

კონსტიტუციის თანახმად, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარეობის კანდიდატის შერჩევაში ჩარევის უფლება არც ცენტრალურ მთავრობას, არც პარლამენტს და არც პრემიერს აქვს და გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ უმაღლესი საბჭოს კომპეტენციაა.

ნიუსპრესი

## იმერეთის რეგიონის ვიცე-გუბერნატორმა თანამდებობა დატოვა

იმერეთის რეგიონის ვიცე გუბერნატორმა გოჩა თევდორაძემ თანამდებობა დატოვა. ამის შესახებ ინფორმაციას, ქართული ტელევიზიები ავრცელებენ.

თევდორაძემ განცხადება იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის კანცელარიას უკვე წარუდგინა.

მისი თქმით, ქუთაისის საკრებულოში ახალი კოალიციის ჩამოყალიბება და „ნაციონალური მოძრაობიდან“ წასული დეპუტატების მიერ ახალი პარტიის შექმნა, ცვლილებებს და ბიძინა ივანიშვილის მხარდაჭერას უკავშირდება, აქედან გამომდინარე, თევდორაძე თანამდებობაზე დარჩენას მიზანშეწონილად აღარ მიიჩნევს.

თევდორაძე საქართველოს პარლამენტის ორი მოწვევის დეპუტატი იყო. ბოლო ოთხი თვის განმავლობაში კი, იმერეთის რეგიონის გუბერნატორის პირველ მოადგილედ მუშაობდა.

ნიუსპრესი

## თავდაცვის სამინისტროს უცხო ქვეყნების სამხედრო ატაშეები სტუმრობდნენ

თავდაცვის სამინისტროს გუშინ, საქართველოში აკრედიტებული უცხო ქვეყნების სამხედრო ატაშეები ეწვივნენ.

თავდაცვის მინისტრის მოადგილე ზაზა ბროლაძემ, უცხოელ სტუმრებს 2013 წლის თავდაცვის ბიუჯეტის შესახებ პრეზენტაცია წარუდგინა და 2014-2015 წლების საბიუჯეტო დაგეგმარებაზე ინფორმაცია მიაწოდა.

„2013 წლის დასაწყისიდან მოყოლებული, დღემდე რამდენიმე არაფორმალური შეხვედრა შედგა. დღევანდელი პრეზენტაცია განსაკუთრებით საინტერესო და ჩემი აზრით, აუცილებელიც იყო. ბიუჯეტი სწორად დაგეგმილი და გამჭვირვალე უნდა იყოს, რათა მოხდეს იმ რეფორმების განხორციელება, რომლებიც თავდაცვის სამინისტრომ წამოიწყო. „თავადაცვის სტრატეგიული მიმოხილვის“ დოკუმენტისა და ახლა უკვე ბიუჯეტის ძირითადი მიმართულებების გაცნობის შემდეგ, სამინისტროს მუშაობაზე, მართლაც მეტი წარმოდგენა შეგვექმნა“ – განაცხადა საქართველოში საფრანგეთის სამხედრო ატაშემ, ვიცე-პოლკოვნიკმა ანდრე ევრარმა.

ნიუსპრესი

## საბაჟოზე არადეკლარირებული ოქრო აღმოაჩინეს

შემოსავლების სამსახურის ცნობით, სადახლოს საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით სომხეთიდან საქართველოში რუსეთის მოქალაქე ა.მ. შემოვიდა. მგზავრის ბარგისა და ხელბარგის დასკანერების შედეგად, ხელჩანთაში ოქროს ნივთები აღმოჩნდა. შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის ოფიცერმა მგზავრს ფიზიკური პირის დეკლარაციის შევსება და, შესაბამისად, ხელბარგში არსებული ძვირფასი ლითონების ზუსტი დეკლარირება მოსთხოვა. ა.მ.-მ ძვირფასი ლითონების მხოლოდ ნაწილი დაადეკლარირა. ბარგის შემდგომი დათვალიერებისას, მას კიდევ აღმოაჩნდა არადეკლარირებული საქონელი, კერძოდ : ოქროსყელსაბამი 1 ცალი (14.05 გრ), ბეჭედი 5 ცალი (23.26 გრ), საყურე 1 წყვილი (8.38 გრ).აღნიშნულისაქონლისსატარიფოლირებულებაგანისაზღვრა 2368,7 ლარით. მოქალაქე ა.მ.-ს სანქციის სახით 1000 ლარი შეეფარდა. მან გადაიხადა ჯარიმა და კუთვნილი ოქრო საფოსტო სამსახურის მეშვეობით რუსეთში გაიტანა.

მედიანიუსი

## ალექსი პეტრიაშვილმა ატლანტიკური საბჭოს ვიცე-პრეზიდენტი მიიღო

გუშინ, მთავრობის კანცელარიაში ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა ალექსი პეტრიაშვილმა აშშ-ს ატლანტიკური საბჭოს ვიცე-პრეზიდენტი დეიმონ ვილსონი მიიღო. ოფიციალური ინფორმაციით, მხარეებმა საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პერსპექტივები და მომავალი თანამშრომლობის გეგმები, ასევე, ეროვნულ უსაფრთხოებასა და დემოკრატიულ პროცესებთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს. როგორც ალექსი პეტრიაშვილმა შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა: „იყო ნაყოფიერი, სასარგებლო საუბარი ჩვენს პერსპექტივებზე ნატოში ინტეგრაციის კუთხით. ასეთი გავლენიანი ორგანიზაციის წარმომადგენელთან შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ საქართველოს ხელისუფლების გეგმები ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით ერთად განვიხილოთ, ერთად დავგეგმოთ და რაც შეიძლება მეტი აქტიური და ასეთი გავლენიანი მხარდამჭერი გვყავდეს ჩვენი მიზნების განხორციელებაში.“ ატლანტიკური საბჭოს ვიცე-პრეზიდენტმა დეიმონ ვილსონმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ატლანტიკური საბჭოს მხარდაჭერა საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებებისადმი და გამოთქვა მზადყოფნა, კვლავაც გააგრძელოს საქართველოსთან თანამშრომლობა. „ბატონმა მინისტრმა და მე ვისაუბრეთ საქართველოს მომავალზე, საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პერსპექტივებზე. მოხარული ვარ, რომ ვხედავ პროგრესს, რომელსაც საქართველო აღწევს ალიანსთან კონსულტაციის შედეგად და ანვითარებს წლიურ ეროვნულ პროგრამას. საქართველო-ნატოს ურთიერთობას ძალიან ოპტიმისტურად ვუყურებ“-განაცხადა ატლანტიკური საბჭოს ვიცე-პრეზიდენტმა.

მედიანიუსი

# მაია ფანჯიკიძეს სამთავრობო კარუსელზე ინფორმაცია არა აქვს

ნათია ხურცილავა

რაბათის ციხის კომპლექსის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით პრესასთან კომენტარი საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ გააკეთა. როგორც ცნობილია, კულტურის სამინისტრო რაბათის ციხის კომპლექსის ავთენტურობის პრობლემაზე საუბრობს და კორექტირების შეტანას აპირებს. აღნიშნულთან დაკავშირებით ყოფილ პრემიერს, ვანო მერაბიშვილს, შეიძლება ითქვას, მწვავე რეაქცია აქვს. მერაბიშვილი მზად არის თანამოაზრეებთან ერთად რაბათის ციხის გადასარჩენი მოძრაობა შექმნას.

საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, ყველა ქვეყანამ საკუთარ ტერიტორიაზე არსებულ კულტურულ ძეგლებს უნდა მოუაროს.

— კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სპეციფიკაზე ჩემი კომენტარი ვერ იქნება აქ, რადგან ეს არის კულტურის სამინისტროს პრეროგატივა, ზოგადად ჩემი მიდგომა ამ საკითხის მიმართ ასეთია, ორივე ქვეყანამ და, საერთოდ, ყველა ქვეყანამ უნდა მოუაროს თავის ტერიტორიაზე არსებულ კულტურულ ძეგლებს და შეინარჩუნოს მათი ისტორიული ფასეულობა, მიუხედავად იმისა, თუ ვის ეკუთვნის ეს ძეგლი. ეს ეხება ქართულ ძეგლებს თურქეთის ტერიტორიაზე და თურქეთის კულტურის ძეგლებს საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე სხვა ქვეყნებისას, ამას არ აქვს მნიშვნელობა, ჩვენ მათ უნდა მოვუაროთ. ეს არის ჩემი ზოგადი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. კონკრეტულად იქ რა არის გასაკეთებელი, შესაცვლელი თუ სხვა, ეს ჩემს კომპეტენციას აღემატება, — განაცხადა ფანჯიკიძემ.



რაც შეეხება თურქეთის ტერიტორიაზე ქართული კულტურის ძეგლების ოშკისა და იშხნის აღდგენას ქართველი სპეციალისტების მონაწილეობით, საგარეო უწყების ხელმძღვანელის მაია ფანჯიკიძის თქმით, ამ საკითხზე შეთანხმება მიღწეულია.

— კონკრეტულად რომელი სპეციალისტი როდის გაემგზავრება, ეს კულტურის სამინისტროს პრეროგატივაა, — განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა.

რაც შეეხება კიდევ ერთ საკითხს, რომელზეც ქვეყნის პირველმა დიპლომატმა კომენტარი გააკეთა, მთავრობაში სავარაუდოდ დაგეგმილ საკადრო ცვლილებებს ეხება. ფანჯიკიძე მთავრობაში დაგეგმილი საკადრო ცვლილებების შესახებ ინფორმაციას არ ადასტურებს.

გასულ კვირას გავრცელებული კულუარული ინფორმაციის მიხედვით, მაია ფანჯიკიძე კულტურის მინისტრად ინიშნება, კულტურის ამჟამინდელი მინისტრი გურამ ოდიშარია — აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარედ, ხოლო საგარეო საქმეთა მინისტრად — სალომე ზურაბიშვილი.

ფანჯიკიძის თქმით, აღნიშნული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება და არანაირი საკადრო ცვლილებები მთავრობაში არ იგეგმება.

# თეა წულუკიანი: „აგვისტოს ომი აუცილებლად უნდა გამოვიძიოთ“

ნათია ხურცილავა

იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა პრესკონფერენცია გორში გამართა. როგორც ცნობილი გახდა, წულუკიანი არ გამორიცხავს, აგვისტოს ომთან დაკავშირებით პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და სხვა მაღალჩინოსნები დაიკითხონ. იუსტიციის მინისტრის განცხადებით, არც ის არის გამორიცხული, რომ იმ დროისთვის სააკაშვილი პრეზიდენტი აღარ იყოს.

— აგვისტოს ომის გამოძიება ჩვენი საერთაშორისო ვალდებულებაა. საქართველო რომის სტატუტის მონაწილე მხარეა და როდესაც ჩვენ მხარე გავხდით, გარკვეული ვალდებულებები ავიღეთ. ჰააგის სასამართლოში პროკურორთან შესულია არაერთი ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ჩივიან მოქალაქეები, არასამთავრობო ორგანიზაციები სხვადასხვა ქვეყნიდან და ამბობენ, რომ აგვისტოს ომის დროს სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობისა თუ თანამდებობის პირებმა ჩაიდინეს, სავარაუდოდ, ან კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, ან ის დანაშაული, რომელიც, შეიძლება, ომის დანაშაულად კვალიფიცირდებოდეს. ჩვენი ვალდებულებაა, ეს საქმე საერთაშორისო ტრიბუნალის განსახილველი არ გავხადოთ და ჩვენს პრობლემებს ჩვენ თვითონ მოვუაროთ იმ ვალდებულებების ფარგლებში, რომელიც გვაქვს. ჩემი და მთავარი პროკურორის მიზანია, რომ აგვისტოს ომი გამოვიძიოთ ჩვენ თვითონ, თუ ჩვენ ეს ვერ შევძელით და ვერ აღმოვჩნდით ან საკმარისი პროფესიონალები, ან საკმარისი პოლიტიკური ნება არ გვექნა ამისთვის, მაშინ ჩვენ იძულებულები ვიქნებით, ჰააგის პროცესს დავემორჩილოთ და ეს საქმე წავიდეს ჰააგის საერთაშორისო დონეზე განხილვის რეჟიმში. ეს ჩემი მიზანი არ არის და არა მგონია, რომ ეს ქართველი ხალხისთვის სასურველი რამ იყოს, — აცხადებს იუსტიციის მინისტრი.

წულუკიანის განცხადებით, ყველა სტრუქტურიდან გამოითხოვენ მასალებს, რომ სრული სურათი დაიდოს.

— ჩვენ მთავარ პროკურატურაში ყველა ის მასალა მოვიძიეთ, რომელიც გამოძიების პროცესში წინა ხელისუფლებამ აწარმოა. თუ რომელიმე სტრუქტურა დამატებით მასალებს ფლობს, ამასწინათ ბატონმა დავითაიამ გააკეთა დამატებითი განცხადებები, ჩვენ ამ მასალებს გამოვითხოვთ, ან თვითონ მოგვაწოდონ, რომ დაიდოს სრული სურათი, თუ რა გააკეთა წინა ხელისუფლებამ. დღესდღეობით ჩვენ გვაქვს სურათი სახეზე, წინა ხელისუფლების მიერ ნაწარმოები მრავალი ათეული ტომი, მაგრამ გარკვეული კითხვის ნიშნებით — რატომ წარიმართა გამოძიება რამდენიმე მიმართულებით და არა ყველა მიმართულებით. ჩემი მიზანია, რომ გამოძიება ყველა მიმართულებით წარიმართოს, მაგრამ საქართველოში. ეს თავისთავში მოიაზრებს დაკითხვას არა მხოლოდ დღევანდელი პრეზიდენტის, რომელიც დაკითხვის მომენტში, შესაძლოა, პრეზიდენტი აღარც იყოს და არა მხოლოდ მისი — ძალიან ბევრი მაღალჩინოსნის, მიუხედავად ეთნიკური წარმოშობისა და მოქალაქეობისა. ჩვენ ძალიან მჭიდრო თანამშრომლობა გვაქვს თავდაცვის სამინისტროსთან, რადგან აგვისტოს ომში არაერთი სამხედრო პირი იყო ჩართული, რომელთა დაკავშირებით ჰააგაში გარკვეული კითხვები არსებობს, — განაცხადა წულუკიანმა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს გამოეხმაურა წულუკიანი. იუსტიციის მინისტრი იმედოვნებს, რომ აღნიშნულ კანონს სააკაშვილი ვეტოს არ დაადებს.

— გამომდინარე იქიდან, რომ რეფორმა არის კარგი და პოზიტიური ჩვენი ქვეყნისთვის, იმედი მაქვს, რომ პრეზიდენტი ვეტოს უფლებას არ გამოიყენებს. ეს ასეც რომ მოხდეს, ჩვენ მაინც გვაქვს შესაბამისი ბერკეტები, რომ ეს ვეტო დავძლიოთ. დღეს იქნება თუ ხვალ, ეს კანონი შევა ძალაში და ამას წინ ველარაფერი დაუდგება. ჩვენი მთავარი მიზანი უნდა იყოს პარლამენტში 6 წევრის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობისთვის ღირსეული კანდიდატების შერჩევა და არჩევა და, რაც მთავარია, ქართველ მოსამართლეებს მინდა ვუთხრა, რომ მათთვის დგება გადამწყვეტი ისტორიული მომენტი, რომ მათ ჩაატარონ მოსამართლეთა კონფერენცია თავისუფალ პირობებში. ჩვენ კენჭისყრა მათთვის დავხურეთ, რომ მათ საკუთარი ნების შესაბამისად, ხელმძღვანელობის კონტროლის მიმართ, მათ შეეძლებათ აირჩიონ ის, ვინც იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მათი ღირსეული წარმომადგენელი იქნება. მოსამართლეთა კონფერენცია არის ქართველი მოსამართლეების თავისუფლების ბოლო შანსი. იმედი მაქვს, რომ თავისუფლების ამ ბოლო შანსს ისინი გამოიყენებენ ისე, როგორც უნდა გამოიყენონ და საქართველოს ძალიან მალე ეყოლება ღირსეული და ეფექტიანად მოქმედი იუსტიციის უმაღლესი საბჭო, — განაცხადა წულუკიანმა.



მინისტრის თქმით, იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფრო ღრმა რეფორმირებას საჭიროებს.

— ამით ჩვენ გავაკეთეთ ის, რაც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ვერ გააკეთა 9 წელიწადში. 9 წლის განმავლობაში ფეხქვეშ ითელებოდა მოსამართლის ღირსება და ჩვენ ვცდილობთ, ეს შევცვალოთ. თუკი მოსამართლეთა კორპუსი გადაწყვეტს, რომ ამა თუ იმ მოსამართლის ადგილი არ არის მართლმსაჯულებაში, ეს უკვე მათი საქმეა. მართლმსაჯულების რეფორმები გაგრძელდება. იუსტიციის საბჭოსთან დაკავშირებით, მომავალში ძალიან ღრმა რეფორმა უნდა ჩატარდეს. რეფორმებს საჭიროებს ასევე იუსტიციის უმაღლესი სკოლაც, — განუცხადა ჟურნალისტებს იუსტიციის მინისტრმა.

თეა წულუკიანის განცხადებით, მოსამართლეები პროცესზე ვერც დისციპლინას იცავენ და ვერც სხდომათა დარბაზში მხარეთა თანასწორობას.

— ის, რომ ნაფიცი მსაჯულების სასამართლო ბოლომდე არჩევითი ბრალდებულისთვის არ იქნება, ჩემთვის არის აბსოლუტურად მისაღები. გამომდინარე იმ სამართლებრივი კონტექსტიდან, რომელშიც ჩვენ დღეს ვიმყოფებით, დღეს ბრალდების მხარე, ან დაცვის მხარე არ უცხადებს ნდობას პროკურატურას, რაც გასაგებია. პროკურატურას დღევანდელი ჯერ კიდევ გაუთავისუფლებელი სასამართლოს პირობებში არაერთი პრობლემა ექმნება. თუ სასამართლო პროცესებს დააკვირდებით, ცხადია, რომ რეალურად მოსამართლეები ვერ უზრუნველყოფენ სასამართლოს დარბაზში მხარეთა თანასწორობას და ვერ უზრუნველყოფენ დისციპლინას. უნდობლობა არსებობს ყველას მხრიდან ყველას მიმართ და ეს არის ძალიან შემაშფოთებელი. ხალხი სასამართლოს უნდობლობას უცხადებს, ნაწილი არ ენდობა პროკურატურას და მის მიერ მოპოვებულ მტკიცებულებებს. ამ უნდობლობის გასაქარწყლებლად მე მივესალმები, რომ თავად ხალხმა გადაწყვიტოს, ვინ არის დამნაშავე და ვინ — არა. ეს ყველაზე მისაღები გამოსავალია, — განაცხადა წულუკიანმა.

წულუკიანის განცხადებით, ვენეციის კომისია ძალიან ნელი, კუს ნაბიჯებით მომუშავე ორგანოა, ქართველ ხალხს კი ეჩქარება.

— ხარვეზების კომისიის შესახებ კანონპროექტი იუსტიციის სამინისტროში პრაქტიკულად დასრულებულია. ბოლო შენიშვნები მივიღე ელექტრონული ფოსტით იმ მოსამართლეებისგან, რომელთაც მე 16 მარტს შევხვდი. მინდა, მათ საჯაროდ მადლობა ვუთხრა. მათი შემოთავაზებების ნაწილი ძალიან საინტერესო იყო, ნაწილი — უკვე გავითვალისწინეთ. ამჟამად მიმდინარეობს მსჯელობა იმაზე, ეს კანონპროექტი ვენეციის კომისიაში უნდა გაიგზავნოს თუ არა. ჩემი პრეტენზია ვენეციის კომისიისადმი უცვლელი რჩება — ეს არის ძალიან ნელი, კუს ნაბიჯებით მომუშავე ორგანო, ქართველ ხალხს კი ეჩქარება, ამიტომ ჩემი წუხილი ვადებს ეხება და აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, კანონპროექტის გაგზავნა, მიუხედავად იმისა, რომ მათ აზრი მაინტერესებს, რამდენად მზად იქნებიან ისინი, რომ მათი ეს სწრაფად მოგვაწოდონ. მას შემდეგ, რაც მათგან პასუხს მივიღებ, ვადებთან დაკავშირებით უკვე საბოლოო გადაწყვეტილება იქნება მიღებული, თუმცა მთავრობას ეს უფრო მალე წარედგინება, რომ საკანონმდებლო ინიციატივად მალე გაფორმდეს, — აღნიშნა თეა წულუკიანმა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რაზეც იუსტიციის მინისტრმა გორში ჟურნალისტებთან ისაუბრა, აიდი ბარათებს შეეხება.

რა ჰქონდა წინა ხელისუფლებას ჩაფიქრებული და რა მონაცემების შეტანას აპირებდნენ მოქალაქის შესახებ აიდი ბარათებში, იმ ჩიპზე, რომელიც ახლავს აიდი ბარათებს.

იუსტიციის მინისტრის განცხადებით, უახლოეს მომავალში სამინისტრო გამოაქვეყნებს ვიდეო-რგოლს, რომელიც მინისტრის განცხადებით, ჟურნალისტებს დააინტერესებს.

— აიდი ბარათთან დაკავშირებით შიდა კვლევაში პირადად ვიყავი ჩართული და დავადგინე, ყოველი ის ინფორმაცია, რომელიც დაცულია ამჟამინდელი პირადობის მოწმობის ე.წ. ჩიპზე, გახლავთ ის ინფორმაციები, რომელიც თავად აიდი ბარათზე წერია, პლუს მოქალაქის მისამართი. ჩიპზე ამ ეტაპზე მეტი არაფერია. ჩემი გადაწყვეტილებაა, რომელსაც საქართველოს დღევანდელი მთავრობაც იზიარებს, მეტი დამატებითი ინფორმაცია აიდი ბარათის ჩიპზე არ უნდა შეინახოს. მე მალე ვიდეორგოლს გამოვაქვეყნებ, თუ რას გეგმავდა წინა ხელისუფლება, აიდი ბარათის ჩიპზე მოქალაქის ინფორმაცია მიება. ის ინფორმაცია, რაც დღეს ინახება — გვარი, სახელი, დაბადების ადგილი, თარიღი, პირადი ნომერი და მისამართი, მეტი ინფორმაციის შენახვას ეს ჩიპი არ საჭიროებს, — განაცხადა თეა წულუკიანმა.

იუსტიციის მინისტრი უახლოეს მომავალში წმინდა სინოდისთვის მიმართვას გეგმავს იმასთან დაკავშირებით, რომ სასულიერო პირებმა აიდი ბარათთან დაკავშირებით წინა ხელისუფლების გეგმებზე რელიგიური შეფასება გააკეთონ.

# გიორგი მარგველაშვილი: „მოსწავლეები ყველა საჯარო სკოლაში წიგნებს უფასოდ მიიღებენ“

2013-2014 სასწავლო წლისთვის, მთელი საქართველოს მასშტაბით, 650 000 მოსწავლე წიგნებს უფასოდ მიიღებს.



ამის შესახებ, გუშინ განათლების მინისტრმა გიორგი მარგველაშვილმა 145-ე საჯარო სკოლაში, საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა.

„2013-2014 სასწავლო წლიდან სახელმძღვანელოები, რომლებიც აქამდე საყიდელი იყო, უფასო იქნება და ამის შედეგად, მშობლებს 150-დან 200-ლარამდე დაეზოგებათ. ამიერიდან მათ ექნებათ შესაძლებლობა, დაზოგილი ფული ახალი, კლასგარეშე წიგნების საყიდლად და ბავშვების მოსავლელად გამოიყენონ. მიგვაჩნია, რომ, ეს არის ვალდებულება, რომელსაც სახელმწიფო უნდა ახორციელებდეს.

ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, სწავლა საშუალო სკოლაში უფასოა და თავს ვალდებულად ვთვლით, რომ ყველა საჯარო სკოლაში, 650 000 ბავშვის მშობლებს არ მოუხდეთ ოჯახიდან ბოლო კაპიკის გატანა და ამით ბავშვებისთვის სახელმძღვანელოების ყიდვა. ჩვენი მოსვლის პირველი დღიდანვე ვთქვით, რომ ვიწყებდით სახელმძღვანელოების თემაზე მუშაობას. მე და ჩემი გუნდი ამ საკითხებზე ხუთი თვის განმავლობაში ვმუშაობდით. ძალიან ბევრი მოდელი და ვერსია იქნა გააზრებული, თუმცა მიზანი იყო ერთი და სავალდებულო, რომ ის რაც არის ამ ბავშვების კონსტიტუციური უფლება, ანუ განათლების უფლება, -ჰქონდეთ და მიიღონ დღესვე. მე დღეს მათ და ჩემს თავს ვულოცავ იმას, რომ სახელმძღვანელოები საჯარო სკოლებში უფასო იქნება“— განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

ნიუსპრესი

# ლეიბორისტები პრემიერს კონსტიტუციის დარღვევაში ადანაშაულებენ

ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა, ლეილა გაფრინდაშვილმა, გუშინ პრესკონფერენცია გამართა და პრემიერ-მინისტრი კონსტიტუციის დარღვევაში დაადანაშაულა.

„საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, 2001 წელს, პრეზიდენტ შევარდნაძის ხელშეწყობით, საქართველოს კონსტიტუცია დაარღვია და დაცულ ტერიტორიაზე — ნარიყალაზე, რომელსაც ძეგლის სტატუსი აქვს, სრულიად მიუღებელი რკინის „მახინა“ გააშენა, ვითომდა ბიზნესცენტრის სტატუსით, სადაც თვითონაც დაიდო ბინა. ამით კი ქალაქის უძველეს უბანს, იერსახე სრულიად დაუკარგა. ივანიშვილმა ესეც არ იკმარა და ბოტანიკური ბაღის ტერიტორიის ნაწილიც მიიტაცა, სადაც მისი შვილის, ბერას მუსიკალური სტუდიის ასაშენებლად, ამ დღეებში უზარმაზარი კლდე მოიჭრა და მრავალწლოვანი, უნიკალური ხეები გაიჩეხა.

პირველივე დღეებიდან, ამას საქართველოს ლეიბორისტული პარტია და ბატონი გურამ შარაძე აპროტესტებდნენ.

მივმართავთ ბოტანიკური ბაღების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციას, ბოტანიკური ბაღების საერთაშირისო საბჭოს და მსოფლიო ბოტანიკური ბაღების ასოციაციას, ჩამოვიდნენ და მიიღონ მათ ხელთ არსებული ყველა ზომა პრემიერ ივანიშვილის შესაჩერებლად“ — განაცხადა ლეილა გაფრინდაშვილმა.

მისივე თქმით, წერილები, ყველა შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციას დღესვე გადაეგზავნება.

ნიუსპრესი

# „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ გენერალურ მდივნად არმაზ ახვლედიანი დაინიშნა

პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ გენერალურ მდივნად არმაზ ახვლედიანი დაინიშნა.

ინფორმაციას ამის შესახებ პარტიის პრესსამსახური ავრცელებს.

მათივე ცნობით, ახვლედიანის აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ, პარტიის პოლიტკურმა საბჭომ დღეს იმსჯელა და გადაწყვეტილებაც მიიღო.

ნიუსპრესი

# გიორგი ლალიძე: „ნაციონალები ძლიერ საპრეზიდენტო კანდიდატს ეძებენ“

შორენა გონგლაძე

### ინტერვიუ პარტია მომავალი საქართველოს ლიდერ გიორგი ლალიძესთან

*— ბოლო პერიოდის მოვლენებს როგორ შეაფასებთ, გაქვთ იმედი, რომ სამართლიანობის აღდგენა რეალურად მოხდება და იმ დაპირებების, რომლებიც წინასაარჩევნოდ იქნა გაცემული?*

— როგორც ჩანს, ბოლო პერიოდის განმავლობაში ნაციონალებსა და ქართულ ოცნებას შორის შედგა გარკვეული სახის შეთანხმება, ვინაიდან საზოგადოება კარგად ხედავს იმას, რომ ნაციონალების ყველა პროტესტი არის მიღებული, ანუ რასაც ისინი აპროტესტებდნენ, ეს არის პირველ რიგში დაპატიმრებები, ანუ როგორც ახალი ხელისუფლება უწოდებს, სამართლიანობის აღდგენა. ასევე საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად პრეზიდენტს აღარ აქვს მთავრობის დათხოვნის უფლება პარლამენტის ნებართვის გარეშე, აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, სახეზეა ამ ორი ძალის სიამტკბილობა ე.წ. კოაბიტაცია. რისი თქმა უნდათ ნაციონალებს 19 აპრილის აქციით, უნდათ, მოახდინონ საკუთარი ძალის დემონსტრირება, მათ უნდათ, რომ ხელისუფლებას და საზოგადოებას აჩვენონ ის, რომ მათ ჯერ კიდევ შესწევთ ძალა და ჰყავთ მხარდამჭერები. ამ აქციაზე ხალხის საკმაოდ დიდი მასა გამოვა, ვინაიდან არ შეიძლება იმის გვერდის ავლა, რომ ნაციონალებს თავის დროზე ჰყავდათ საკმაოდ ბევრი მხარდამჭერი, მოგეხსენებათ, მარტო ადმინისტრაციულ ორგანოებში მუშაობდა მათი ძალიან ბევრი მხარდამჭერი, პირველი ოქტომბრის შემდგომ ათასობით ადამიანი დათხოვნილ იქნა სამსახურებიდან და ისინი, რა თქმა უნდა, არიან ამით უკმაყოფილო და ასევე ქართულმა ოცნებამ მოახერხა ის, რომ ამ ექვსი თვის მანძილზე თავის ბევრ მხარდამჭერს იმედები გაუცრუა, ოცნების ახდენის დიდი სურვილი და მოლოდინი ჰქონდათ ადამიანებს, მაგრამ ამ ოცნებამ არაფერი არ მოუტანა და თუ ვინმეს ოცნება ახდა,



ეს არიან მხოლოდ და მხოლოდ ის ადამიანები, რომლებიც დღესდღეობით არიან ხელისუფლებაში. აქედან გამომდინარე, ხშირად ისმის კოალიციის რიგითი მხარდამჭერებისგან ასეთი უკმაყოფილება, რომლებიც არ არის გამორიცხული, შეუერთდნენ ნაციონალების მიერ დაგეგმილ აქციას, ვინაიდან ეს ადამიანები თავს გრძნობენ მოტყუებულად.

*— თუკი ეს ყველაფერი იყო მორიგი დადგმული სპექტაკლი, რა აზრი აქვს ვიღაცის განმეორებით პროტესტს?*

— ნაციონალური მოძრაობა ცდილობს, მოახდინოს საკუთარი თავის რეანიმაცია, გამოვიდეს იმ მდგომარეობიდან, რა მდგომარეობაშიც აღმოჩნდა პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ და მათ საკმაოდ შეელახათ იმიჯი ბოლო პერიოდში, აქედან გამომდინარე, ისინი ასევე ცდილობენ, რომ მათი საპრეზიდენტო კანდიდატი იყოს ძლიერი და საპრეზიდენტო არჩევნებში მიიღონ გარკვეული შედეგი. პრაქტიკულად, ორივე პოლიტიკურ ძალას დაწყებული აქვს წინასაარჩევნო კამპანია. ჩვენ წინ ძალიან საინტერესო მოვლენები გველოდება, მაგრამ ფაქტია, რომ დრო მუშაობს ნაციონალური მოძრაობის სასარგებლოდ და მალე ძალიან ბევრი რამ შეიცვლება ნაციონალების სასარგებლოდ. პირველი შემაფერხებელი ფაქტორი კოალიციის რეიტინგისათვის არის ის, რომ წინასაარჩევნოდ მათ ჰქონდათ ძალიან უხვი დაპირებები, რაც ვხედავთ, რომ ვერ შესრულდა, თუნდაც ავიღოთ ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გაპიარებული საყოველთაო დაზღვევა, ამ დაზღვევამ ნამდვილად ვერ იმუშავა, ვინაიდან ეს არ არის დაზღვევის ის პაკეტი, რაც რეალურად სჭირდება და გამოადგება ნებისმიერ ადამიანს. კიდევ ბევრი პროექტი ჩაუვარდა კოალიციას და სწორედ ამის იმედი აქვთ ნაციონალებს.

*— თუმცა ნაციონალებმა ყველა შესაძლებლობა ხელიდან გაუშვეს..*

— უნდა ითქვას, რომ არც შედიოდა ნაციონალების ინტერესებში მთავრობის დათხოვნა, თუ სააკაშვილი მთავრობას დაითხოვდა, ეს საზოგადოებაში გამოიწვევდა ძალიან ცუდ რეაქციებს და უკმაყოფილებას, მათ ეს ნაბიჯი არე გადადგეს და ელოდებიან პროცესების განვითარებას. როგორც ვთქვით, დრო მუშაობს ქართული ოცნების საწინააღმდეგოდ და ისინი ვერ ასრულებენ თავიანთ დანაპირებს. მე ვფიქრობ, რომ უახლოეს ხანში საზოგადოება კიდევ საკმაოდ დაძაბული პოლიტიკური ბატალიების მომსწრე გახდება. მე არ მინდა, რომ საზოგადოება კიდევ ერთხელ აღმოჩნდეს მოტყუებული და პოლიტიკური თამაშების მსხვერპლი.

## ნაბეღლავის განცხადება მინერალური წყლის გადასახადის ზრდასთან დაკავშირებით

ნაბეღლავი
ნატურალური მინერალური წყალი

კომპანია სს „წყალი მარგებლის“ სახელით, გვსურს გამოვხატოთ ჩვენი პოზიცია მინერალურ წყალზე გადასახადის გაზრდასთან დაკავშირებით. პირველ რიგში, გვინდა განვმარტოთ, რომ აღნიშნულ საკითხზე ჩვენ კომპანიას არავინ დაკავშირებია. შემთხვევით გაგებული ინფორმაციის საფუძველზე, ინფორმაციის ოფიციალურად გამოცხადებამდე ორი დღით ადრე, ჩვენი ინიციატივით, გაიმართა შეხვედრა და კონსულტაცია გარემოს დაცვის სამინისტროში, თუმცა სხვა შეხვედრა ამ საკითხთან დაკავშირებით, რომლის ინიციატორიც მთავრობის ეკონომიკური ჯგუფები იქნებოდა, არ შემდგარა.

5 წლის წინ კომპანიამ აუქციონზე შეიძინა ნაბეღალვისა და ბახმაროს წყლების მოპოვების 25 წლიანი ექსკლუზიური ლიცენზია. გადასახადის გაზრდით კი ხდება ამ ლიცენზიის პირობების გადახედვა, რაც როგორც ჩვენზე, ასევე ზოგადად ბიზნეს გარემოზე ნეგატიურად აისახება. აღნიშნული ცვლილება განსაკუთრებულად უარყოფითად აისახება ექსპორტზე, რადგან უცხოელ პარტნიორებთან გრძელვადიანი კონტრაქტების არსებობის შემთხვევაში, ნებისმიერმა ცვლილებამ შესაძლოა ბევრი ხელის შემშლელი ფაქტორი წარმოშვას. ამასთან, ბუნებრივი რესურსის სარგებლობის მოსაკრებლის გაზრდით ჩვენი ჯერ კიდევ ახალგაზრდა ბრენდს უწევს გაცილებით ძვირის გადახდა, ვიდრე მსოფლიოში და რეგიონში არსებული ცნობილი ბრენდული მინერალური წყლებს, რომლებსაც ასწლიანი ისტორია გააჩნიათ.

ევროპული პრაქტიკის და ჩვენი გამოცდილების გათვალისწინებით მიგვაჩნია, რომ ანალოგიური ტიპის წყლებში შეუძლებელია განვითარებაზე საუბარი, თუ სისტემატურად არ ხდება ბურღილების და საბადოების კვლევა. ამ გადასახადის გაძვირებით, ექსპერიმენტების ჩატარება ფაქტობრივად ფინანსურად შეუძლებელი ხდება. კვლევები კი საჭიროა იმისთვის, რომ საბადოებში დადგინდეს მინერალური წყლის რაოდენობის ზრდის პოტენციალი, ისე, რომ ხარისხობრივი მაჩვენებლები სტაბილურად იქნეს შენარჩუნებული.

უფრო პრობლემური საკითხია გადასახადის გაზრდის გავლენა მტკნარი (ე.წ. უგაზო) წყლის კონკურენტუნარიანობასა და საექსპორტო პოტენციალზე, რაც ფაქტობრივად კანონის შემოღებასთან ერთად არაკონკურენტუნარიანს გახდის ექსპორტს და ქართულ კომპანიებს პრობლემებს შეუქმნის შიდა ბაზარზეც.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ დროში ემთხვევა ბუნებრივი რესურსის სარგებლობის გადასახადის 200%-ით გაზრდა არააქციზური საქონლის ელექტრონული მარკირების შესახებ კანონის ამოქმედებას, რაც ძლიერ ფინანსურ დარტყმას აყენებს ქართულ კომპანიებს. მიგვაჩნია, რომ ასეთი ცვლილებები კანონმდებლობაში კომპანიებისთვის გონივრული დროით ადრე უნდა ხდებოდეს ცნობილი, რათა მოვახდინოთ გრძელვადიანი გეგმების სიტუაციისადმი მორგება და კომპანიის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულებების რესტრუქტურიზაცია.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში, ჩვენი კომპანია ახორციელებს სისტემატიურ და მნიშვნელოვან ინვესტიციას სოფლის მეურნეობის სფეროში და უზრუნველყოფს ინოვაციური საწარმოების – „მარნეულის სასურსათო ქარხანა“, „მარნეული აგრო“ და თელეთის „ფერმა მარგებელში“ – განვითარების მხარდაჭერას. სტაბილური განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ზრდის მიზნით, აღნიშნული საწარმოები, მომდევნო წლებშიც საჭიროებს უწყვეტ ფინანსურ დახმარებას ფეხზე დასადგომად. ამ გადასახადების შემოღებამ კი შესაძლებელია მნიშვნელოვნად შეაფერხოს ეს პროცესი, მაშინ, როდესაც სოფლის მეურნეობის სფერო ქვეყნისთვის, ნომერ პირველ პრიორიტეტადაა გამოცხადებული.

იმედს ვიტოვებთ, რომ შესაძლებელი იქნება შეხვედრა გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან მთავრობასა და პარლამენტში, რათა გავუზიაროთ ჩვენი მოსაზრებები და უფრო დეტალურად განვუმარტოთ ჩვენი პოზიცია. აგრეთვე მივიღოთ ინფორმაცია იმის თაობაზე, არის თუ არა წინასწარ გათვლილი რა შედეგები შეიძლება გამოიწვიოს ზემოაღნიშნული კანონების ამოქმედებამ და როგორი იქნება გარდაუვალი ფასების მატებასთან ერთად ფისკალური ეფექტი ქართული კომპანიებისა და ქვეყნის ბიუჯეტისთვის.

## უჩა ნანუაშვილი შვეიცარიის ელჩს შეხვდა

გუშინ საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი საქართველოში შვეიცარიის კონფედერაციის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს, გიუნტერ ბეხლერს შეხვდა.

როგორც „მედიანიუსს“ სახალხო დამცველის აპარატიდან აცნობეს, შეხვედრაზე საუბარი შეეხო, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშს, 2012 წელს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის შესახებ, რომელიც სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტს 2013 წლის 28 მარტს წარუდგინა.

უჩა ნანუაშვილმა ელჩს გააცნო ანგარიშში ასახული საკითხები და საკუთარი რეკომენდაციები ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესების თაობაზე.

**მედიანიუსი**

## „სახალხო კრებისა“ და „დემოკრატიული მოძრაობის“ წევრები 9 აპრილს გარდაცვლილთა ხსოვნას პატივს მიაგებენ

„სახალხო კრების,“ თავმჯდომარე ნონა გაფრინდაშვილი და კრების აღმასრულებელი საბჭოს წევრები, ასევე პოლიტიკური პარტია – „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე და პარტიის მთავარი საბჭოსა და ახალგაზრდული მოძრაობის წევრები, დღეს, 1989 წლის 9 აპრილს გარდაცვლილი ადამიანების ხსოვნას პატივს მიაგებენ და 9 აპრილის მემორიალს გვირგვინებით შეამკობენ.

**ნიუსპრესი**

## რუსეთის ბაზარზე ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების 60-ზე მეტი კომპანია დაბრუნდება

სოფლის მეურნეობის მინისტრმა დავით კირვალიძემ ქართული პროდუქციის რუსულ ბაზარზე დაბრუნების საკითხებთან, ასევე მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის საგაზაფხულო პროგრამის და შეღავათიანი აგროკრედიტების პროექტის მიმდინარეობასთან დაკავშირებით გუშინ ბრიფინგი გამართა. ,,ამ მომენტისთვის რუსმა ექსპერტებმა ყველა ის ღვინის მწარმოებელი კომპანია დაათვალიერეს, რომელთაც დოკუმენტური ინფორმაცია ჰქონდა წარმოდგენილი.

საერთო ჯამში, ამ დროისთვის, რუსეთის ბაზარზე საკუთარი პროდუქციის გატანის სურვილი 80-მდე ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების და წყლის 4-მა მწარმოებელმა კომპანიამ გამოთქვა. მათ უმრავლესობას რუსულმა სანიტარულმა სამსახურმა დადებითი შეფასება მისცა. წინასწარი ინფორმაციით დადებით პასუხს 60-ზე მეტი კომპანია მიიღებს.

რაც შეეხება ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტს რუსეთის ბაზარზე, ის ზაფხულიდან ეტაპობრივად განხორციელდება. ქართულმა დელეგაციამ ასეთ შეთანხმებას 3 აპრილს რუსეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზედამხედველობის სამსახურში, ,,როსელხოზნადზორში“ გამართულ შეხვედრაზე მიაღწია. პროდუქციის ლაბორატორიული შემოწმების შემდეგ, პირველ რიგში ექსპორტზე ქართული ბოსტნეული გავა. რაც შეეხება ხილს და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, მათი ექსპორტირება კი შემოდგომიდან განხორციელდება“ – განაცხადა დავით კირვალიძემ.

**ნიუსპრესი**

## უკანონოდ მითვისებული მიწის ნაკვეთები ინდოეთის მოქალაქეებს მიჰყიდეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების უკანონოდ მითვისების ფაქტზე, ორი მოქალაქე – გაბილ ჯულფაევი და მანსურ ნამაზოვი დააკავეს.

საგამოძიებო სამსახურის პრესცენტრის ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები, მარნეულის რაიონის სოფლების სახელწიფოს საკუთრებაში არსებულ სასოფლო – სამეურნეო მიწის ნაკვეთებს თაღლითურად დაეუფლნენ. აღნიშნულმა პირებმა საჯარო რეესტრში, უძრავი ქონების შეძენის დამადასტურებელი ყალბი ცნობა წარადგინეს, რის საფუძველზეც, საჯარო რეესტრში გაბილ ჯულფაევმა 34 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, ხოლო მანსურ ნამაზოვმა 40 ჰექტარი მიწის ნაკვეთი გადაიფორმა.

ამის შემდეგ, მათ თაღლითური გზით მიღებული მიწის ნაკვეთები, ინდოეთის მოქალაქეებზე, ჯულფაევმა 88 000 აშშ დოლარად, ხოლო ნამაზოვმა 15 000 ლარად გაყიდა.

აღნიშნულ ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180 – ე მუხლის მეორე ნაწილით მიმდინარეობს, რაც 2 დან 4 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

**ნიუსპრესი**

## ჯაბა სამუშია ავარიულ სახლებში მცხოვრებ მოსახლეობას შეხვდა

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ჯაბა სამუშია გუშინ, წმინდა ნიკოლოზის ქუჩაზე ავარიულ სახლებში მცხოვრებ მოსახლეობას შეხვდა.

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ წევრის განცხადებით, ამ სახლებში მცხოვრები ოჯახები წლებია საფრთხის წინაშე დგანან.

,,შენობა კატასტროფულ მდგომარეობაშია, მაგრამ დღემდე ვერ მოხერხდა აქ მაცხოვრებელთა ქირით გაყვანა. დაპირებული ფართები, რომლებიც მერიას მათთვის უნდა გადაეცა სამწუხაროდ დღემდე დაპირებად რჩება. არ შეიძლება 21-ე საუკუნეში თბილისში იყოს უბნები, სადაც სახლების 40 – 50% ავარიულია. ეს არის შედეგი სწორედ იმ არაგეგმაზომიერი პოლიტიკისა, რომელსაც ნაციონალური მოძრაობა წლების მანძილზე აწარმოებდა”-აღნიშნა ჯაბა სამუშიამ საკრებულოს პრესსამსახურის ინფორმაციით, დღესვე, წმიმდა ნიკოლოზის ქუჩაზე, ჩუღურეთის რაიონის გამგებელი დავით დაღელაშვილიც მივიდა. მისი განცხადებით, გამგეობა მზადაა, რომ მოსახლეობა ქირით გაიყვანოს.

**ნიუსპრესი**

## გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით, ივანიშვილის ფაქტორის გარეშე არჩევნებით სახელისუფლებო ცვლილება შეუძლებელი იქნებოდა

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესის“ მიერ, მიმდინარე წლის 1 აპრილიდან 8 აპრილამდე საანალიზო პერიოდში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, გამოკითხვაში მონაწილეთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ, რომ არა ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი, საქართველოში სახელისუფლებო ცვლილება არჩევნების გზით, შეუძლებელი იქნებოდა.

კითხვაზე – „ თქვენი აზრით, რომ არა ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი, არსებობდა თუ არა „ნაციონალური ხელისუფლების“ არჩევნების გზით შეცვლის შესაძლებლობა,“ გამოკითხულთა 80,6 პროცენტმა უპასუხა, რომ ეს შეუძლებელი იქნებოდა, 11,1 პროცენტი კი საწინააღმდეგო მოსაზრებას აფიქსირებს.

დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა გამოკითხვაში მონაწილეთა 8,3 პროცენტს გაუჭირდა.

**ნიუსპრესი**

# მძიმე ჯვარი მშობლებისათვის

როლანდ ხოჯანაშვილი

ამ საკითხზე უკვე არაერთხელ დაწერა ,,ახალმა თაობამ“ და მეტად არ ვაპირებდი უმძიმესი სოციალური საკითხის წამოწევას, რადგან ხმად მღალადებლისად რჩება ძალიან ხშირად მეოთხე ხელისუფლების, ჟურნალისტების, ნათქვამი, თუმცა ერთ-ერთი მშობლის წერილმა შემძრა, რომელიც ელექტრონულად მომივიდა: ,,როლანდ, სამინისტროში ვიყავით მისული შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვების მშობლები. იქ ,,კარგი“ ინციდენტი მოხდა, ერთ მშობელს ბავშვიც ახლდა, 15 წლის გოგო, აუტისტი, ისიც შემოიჭრა კაბინეტში და სანამ ესაუბრებოდა, ბავშვმა ჩაიფსა მინისტრის მოადგილის დივანზე... აი, ასეთი ბავშვების 2 ლარზე საუბრობთო უთხრა მშობელმა. ყველას თავისი ჯვარი აქვს და რას იზამთ, უნდა ატაროთო, მდივანმა ქალმა გვითხრა ,,სიყვარულით“.

როგორია სახელმწიფო მიდგომა იმ ადამიანების მიმართ, რომელთაც ძალიან ხშირად საზოგადოებისაგან იზოლირებულად უწევთ ყოფნა და ,,ზედმეტ“ ადამიანებად თვლიან თავს.

როგორ უნდა განისაზღვროს შეზღუდული უნარების მქონე ადამიანის სტატუსი? სამწუხარო რეალობაა, რომ საქართველოში დაახლოებით მოთვლილია 12 ათასი ასეთი ბავშვი და ეს სტატისტიკა არაზუსტია. ხშირად სტიგმირებული ადამიანი ცდილობს ჩაიკეტოს ოთხ კედელს შორის და რესოციალიზაციის ნაცვლად ვღებულობთ იზოლირებულ ინდივიდს. განსაზღვრული მეთოდიკა იმისათვის, რომ შეზღუდული უნარები დადგინდეს, არ არსებობს. სამედიცინო -სოციალური ექსპერტიზა, რომელიც ყველაზე ხშირად გამოიყენება სტატუსის დასადგენად, მოგახსენებთ, რომ იგი არის დისციპლინათაშორისი საქმიანობის სფერო და მოიცავს სამედიცინო-ბიოლოგიურ, სოციოლოგიურ, სოციალურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ და სხვა ასპექტებს.

სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის პოზიცია ძირითადად ემსახურება იმას, რომ გამოავლინოს უნარშეზღუდულთა უნარების განვითარების პოტენციალი და კომპენსაციურ-ადაპტაციური შესაძლებლობები, რომელთა რეალიზაცია ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სამედიცინო, პროფესიულ და სოციალურ რეაბილიტაციას, საზოგადოების სრულფასოვან წევრად გახდომას.

შეზღუდული უნარები შეიძლება იყოს მსუბუქად, ზომიერად, მნიშვნელოვნად და მკვეთრად გამოხატული. 18 წლამდე ასაკის ასეთი კატეგორიის ადამიანებს ყველაზე მეტი ყურადღება ესაჭიროებათ. ადრეულ ასაკში სარეაბილიტაციო კურსების გავლის შემდეგ ძალიან ხშირად ფიზიოლოგიურ-ფსიქოლოგიურ პროგრესთან გვაქვს საქმე, მისი დაგვიანების შემთხვევაში კი რეგრესი იმდენად ნათელია, რომ შეზღუდულუნარიანებს საზოგადოებასთან კონტაქტის სურვილიც ეკარგებათ.

აღნიშნული პრობლემა ყველაზე მეტად იმ ადამიანებს აწუხებთ, რომლებსაც აქვთ შეზღუდული უნარები და კიდევ მათ მშობლებს, მეურვეებსა და ოჯახის წევრებს. დაკვირვებული ადამიანისათვის ძნელი არაა, დაადგინოს რა შეიძლება იყოს შეზღუდული უნარების გამომწვევი, ზოგჯერ ის მემკვიდრეობითია, ზოგჯერ—შეძენილი.

სად დევს ის გასაღები, რომელიც ბოლომდე გაუღებს უნარშეზღუდულებს საზოგადოებაში ინტეგრაციის კარს? არსებული კანონმდებლობა, სოციალური პაკეტი და საზოგადოების მიდგომა თუ დაიხვეწება, მაშინ ეს პრობლემაც არ იარსებებს. სტატიის თავშივე მოხმობილი წერილი ნათლად აჩვენებს, რომ სოციალური პაკეტი არის ძალიან ცუდი. როგორც გავარკვიე, თუ სოციალური სტატუსის მოწმობაში 100 ათას ქულაზე მეტი აქვს ოჯახს, მაშინ სოციალური პაკეტი კიდევ უფრო არასრულფასოვანი ხდება, არადა 70 ლარიანი შემწეობა სინამდვილეში ჯანმრთელი მოზარდისათვისაც არასაკმარისია. დაახლოებით დღიურად 2 ლარი ძალიან მცირეა, თან პროგრესი არანაირად არ შეიმჩნევა დაფინანსების თვალსაზრისით.

6 აპრილს ქუთაისის ოპერის თეატრში სამოქალაქო სექტორმა გადაწყვიტა, რომ გაგზავნილიყო ძლიერი მესიჯი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართ, თუმცა დანიშნულ დროს აღმოჩნდა, რომ კანონმდებელთა უმეტესობას არ ეცალა უნარშეზღუდულებისათვის! სამწუხაროდ, არც მედიასაშუალებათა უმეტესობას აღმოაჩნდა სურვილი, გაეშუქებინათ ღონისძიება. მხოლოდ ორი ადგილობრივი ტელევიზია და რამდენიმე გაზეთი დაინტერესდა იმით, თუ რას აკეთებდა ინტერნეტპორტალი ,,ნაბიჯი.გე“ და ქუთაისის ოპერის თეატრი უნარშეზღუდულთათვის.

სასიამოვნოდ დამრჩა, რომ ,,საქართველოს სკაუტების“ და კიდევ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები მოვიდნენ საღამოზე, თუმცა ძალიან ცოტა იყო იმ პროფესიის ადამიანები, რომელთაც პირდაპირ უნდა აინტერესებდეს ამ პრობლემის აღმოფხვრა. ადმინისტრაციული რესურსების სიმცირე და მედიაკორპუსის ინერტულობა ადვილად ამოვხსენი: შესაძლებელია, ადმინისტრაციულ რესურსს ასეთ დროს შეახსენონ, რომ მათი მოვალეობა მხოლოდ სახელფასო უწყისზე ხელისმოწერა არ არის (თუმცა ამ ბოლოს ეს მოძველებული ფორმა პლასტიკურმა ბარათებმა ჩაანაცვლა). სხვათაშორის, ქუთაისის შემოსავლების დიდი ნაწილი (დაახლოებით 85%) ადმინისტრაციის ჯიბეში მიდის და თავისთავად ცხადია, რომ ამას ბიუჯეტის ხარჯვის პარაზიტული სახე აქვს. რაც შეეხება მედიას, იმერეთში, ქუთაისთან ახლოს მდებარე ორ მუნიციპალიტეტში რიგგარეშე არჩევნების მოლოდინია და ინტრიგებს მოყვარული მედია ამჯობინებს გააშუქოს ის აგრესიული მომენტები, რომელიც ასე კარგად საღდება.

# ჰიპერტენზიის მაჩვენებლები ბოლო 12 წლის განმავლობაში გასამმაგდა

მერი ნამორაძე

გუშინ დაავადებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა არტერიული ჰიპერტენზიის კონტროლის კვირეულის შედეგები წარმოადგინა. პარლამენტში თუ სამინისტროებში წნევის გაზომვის შემდეგ მედიკოსებმა დაასკვნეს, რომ აქციაში მონაწილეთაგან ყოველმა მეათემ პირველად შეიტყო, რომ წნევის მაღალი ციფრები ჰქონდა. მკითხველს შეიძლება გაეცინოს, რა წნევის ზომვა აუტყდათ ამ ექიმებს, ისეთ სტრესულ გარემოში ვცხოვრობთ, ნორმალური არტერიული წნევის ციფრები ვილას ახსოვსო, მაგრამ თეთრხალათიანთა მოვალეობა მაინც ჩვენი გაფრთხილება და თუნდაც წნევის სწორად გაზომვის სწავლებაა. თუ არაგადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელს, ლელა სტურუას დავუჯერებთ, არც წნევის სათანადო გაზომვა სცოდნია ჩვენს საზოგადოებას. წნევის ციფრების დაფიქსირება მოსვენებულ მდგომარეობაში, სამჯერადი გადამოწმებით, ყავისა და თამბაქოს მოწევის თავშეკავების შემდეგ უნდა მოხდეს.

წელს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ პრიორიტეტულ თემად არტერიული ჰიპერტენზია დასახელდა. ყოველწლიურად, ეს ორგანიზაცია ირჩევს მოსახლეობის ჯანმრთელობის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს და ორგანიზებას უწევს სხვადასხვა ღონისძიებებს საერთაშორისო, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე, რათა შერჩეული თემა მოექცეს მსოფლიო საზოგადოების ყურადღების ცენტრში. 2013 წელს ყურადღება არტერიულ ჰიპერტენზიაზე გამახვილდა და წარიმართა



ლოზუნგით ,,აიცილე თავიდან ინფარქტი და ინსულტი – აკონტროლე წნევა.“

რა თქმა უნდა, საქართველომაც აუბა მხარი ჯანმო-ს ინიციატივას და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით, 1-7 აპრილს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა არტერიული ჰიპერტენზიის კონტროლის კვირეული ჩაატარა, წლევანდელი წელი კი ჰიპერტენზიასთან ბრძოლის წლად გამოცხადდა.

კვირეულის მიზანს წარმოადგენდა მოსახლეობასა და განსაკუთრებით რისკის ჯგუფებში არტერიული ჰიპერტენზიის თავიდან აცილებისა და მართვის შესახებ ცოდნის გაზრდა და ცნობიერების ამაღლება, აგრეთვე, არტერიული ჰიპერტენზიის სკრინინგში მოსახლეობის ჩართულობის ხელშეწყობა. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ კვირეულის ფარგლებში საქართველოს მასშტაბით განხორციელდა წნევის გაზომვისა და ქცევითი რისკების შეფასების აქციები და ფიზიკური აქტივობები, რომელშიც ჩართული იყო საზოგადოებრივი ჯანდაცვის ადგილობრივი ცენტრები. წნევის გაზომვის აქციები ჩატარდა საქართველოს პარლამენტში, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, განათლებისა და მეცნიერების, კულტურის და ძეგლთა დაცვის, ფინანსთა, გარემოს დაცვის, სპორტის და ახალგაზრდობის, საგარეო საქმეთა, ლტოლვილთა და განსახლების, სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროებში, უნივერსიტეტებში, საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლობასა და სააფთიაქო ქსელებში, ჰიპერმარკეტ კარფურში. მიმდინარეობდა სპორტული შეჯიბრებები, თემატური საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალის გავრცელება.

კვირეული ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ჯანდაცვის ხარისხის გაუმჯობესების პროექტის, არასამთავრობო და კერძო სამედიცინო თუ ფარმაცევტული კომპანიების მხარდაჭერით განხორციელდა. კვირეულის ფარგლებში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 10 000 ადამიანმა, რომელთაგან 45%-ს აღმოაჩნდა ჰიპერტენზია. ხოლო აქციის მონაწილეთაგან ყოველმა მეათემ პირველად გაიგო, რომ ჰქონდა წნევის მაღალი ციფრები.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მონაცემებით, ჰიპერტენზიის გავრცელების მაჩვენებელი ბოლო 12 წლის განმავლობაში დაახლოებით გასამმაგდა (გაიზარდა 220%-ით). ყოველი 10 გარდაცვალებიდან 5 ჰიპერტენზიას უკავშირდება. როგორც აღმოჩნდა, ჰიპერტენზიით დაავადებულთა უმრავლესობა (ხუთიდან სამი) არ მკურნალობს, მაშინ, როდესაც წნევის გაკონტროლება და მისი გართულებების თავიდან აცილება შესაძლებელია ცხოვრების ჯანსაღი წესითა და ექიმის დანიშნული მედიკამენტების რეგულარულად მიღებით. ამ პირობების შესრულება ქართველ პაციენტებს ერთობ ეზარებათ. ფაქტი ფაქტად რჩება – საქართველო იმ ქვეყნების ხუთეულშია, სადაც არტერიული ჰიპერტენზიის ყველაზე მაღალი ციფრები ფიქსირდება. არტერიულ ჰიპერტენზიას წამყვანი ადგილი უჭირავს სიკვდილიანობის მიზეზებს შორის და შეადგენს 48.8%-ს საერთო სიკვდილობაში, 10 ძირითად რისკ ფაქტორს შორის.

რამდენ ხანს დაამახსოვრდებათ კვირეულის ფარგლებში მიწოდებული რჩევები ჩვენს მაღალ თუ დაბალწნევიანებს, ძნელი სათქმელია. საზოგადოების ნაწილი ამჯობინებს, მამაპაპური სუფრა არ მოიკლოს და მხართეძოზე წოლაც გაიხანგრძლივოს, ვიდრე ყოველდღე წამლები ყლაპოს და ფიზიკურ აქტივობას მიჰყოს ხელი.

# დღეს საქართველოში ქარი გაძლიერდება

დღეს სინოპტიკოსები საქართველოს უმეტეს რეგიონში ქარის გაძლიერებას პროგნოზირებენ. როგორც გარემოს ეროვნულ სააგენტოში აცხადებენ, დასავლეთ საქართველოს უმეტეს რეგიონში მოსალოდნელია წვიმა. დაუბერავს დასავლეთის ქარი 10-15 მეტრი წამში, რომელიც ზოგიერთ რეგიონში 20-25 მეტრ/წამამდე გაძლიერდება. დაბლობში ჰაერი 14-19 გრადუსამდე გათბება, მთაში და მაღალ მთაში კი 11-16 გრადუსი სითბო დაფიქსირდება.

ხანმოკლე წვიმა და ელჭექია მოსალოდნელი აღმოსავლეთ საქართველოში. შესაძლებელია სეტყვაც. აქაც იქროლებს დასავლეთის ქარი 10-15, ზოგან კი 20-25 მეტრი წამში, რომელიც დროგამოშვებით 30 მეტრ/წამამდე გაძლიერდება. ბარში ჰაერის ტემპერატურა 20-25 გრადუსს მიაღწევს, მთაში 15-20, ხოლო მაღალ მთაში 13-18 გრადუსს. სინოპტიკოსები ხანმოკლე წვიმას პროგნოზირებენ თბილისშიც. აქაც იქროლებს ჩრდილო-დასავლეთის ქარი 15-20 მეტრი წამში, რომელიც დროგამოშვებით 30 მერტ/წამამდე გაძლიერდება. ჰაერის ტემპერატურა ოდნავ დაიკლებს და 24 გრადუსს გაუტოლდება.

მედიანიუსი

სპორტი

# საქართველოს ნაკრები შემდეგ ეტაპზეა

საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებმა ევროპის 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ა ჯგუფი მოიგო. ვლადიმერ ისელიძის გაწვრთნილმა გუნდმა პირველ ტურში დიდ ბრიტანეთთან 12:3 გამარჯვების შემდეგ სლოვაკეთთან ფრედ 7:7 ითამაშა, პოლონეთი 16:10 დაამარცხა, ჩეხეთს კი 16:5 სძლია და 10 ქულით ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა. ამასთან, ქართველმა წყალბურთელებმა საკვალიფიკაციო თამაშებში ყველაზე მეტი – 51 ბურთი გაიტანეს.

მეორე ადგილზე სლოვაკეთის ნაკრები გავიდა 8 ქულით, მესამე კი დიდი ბრიტანეთი იყო 7 ქულით.

ვლადიმერ ისელიძე, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

– პირველი ადგილით, ცხადია, კმაყოფილი ვარ. სერბეთში და თურქეთში მოწყობილი საწვრთნელი შეკრებები ძალიან წაგვადგა და ვიმედოვნებ, მეორე ეტაპზე, რომელიც ივლისში გაიმართება, საქართველოს ნაკრები უკეთესად ითამაშებს. უახლოესი მატჩები ივნისში გველის, თბილისის საერთაშორისო ტურნირზე ვიასპარეზებთ.

# ახალგაზრდა მუსიკოსები გერმანიაში გასტროლს გამართავენ

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ტეპიანო) და ნოდარ მდივანი (კლარნეტი), ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლის ე.წ. „ნიჭიერთა ათწლედის“ მოსწავლე სენდი ვართანოვი (ვიოლინო). გიორგი ოიკაშვილი, ინალ ჯიოევი და სენდი ვართანოვი შარშანაც მონაწილეობდნენ „კამერტონის“ ეგიდით გამართულ კონცერტებში, როგორც გერმანიაში, ასევე საქართველოშიც, როდესაც თბილისს საპასუხო შემოქმედებითი ვიზიტით ესტუმრნენ ბერლინის კარლ ფილიპ ემნუელ ბახის სახელობის მუსიკალური გიმნაზიის აღსაზრდელები და მათ კონსერვატორიის დიდ დარბაზში შთამბეჭდავი ერთობლივი კონცერტიც გამართეს.

ქართველ ახალგაზრდებს წელსაც ძალზე მრავალფეროვანი საკონცერტო პროგრამა აქვთ მომზადებული გერმანელი მსმენელებისთვის – როგორც სოლო ნომრები, ასევე ანსამბლები. დასავლეთევროპელი, რუსი და ამერიკელი კომპოზიტორების ქმნილებებთან ერთად, პროგრამაში შეტანილია ქართული მუსიკაც – რევაზ ლაღიძის რონდო-ტოკატა, ირაკლი გეჯაძის „მერცხალი“, მერაბ ფარცხალაძის „ჩანახატი“. „კამერტონის“ თხოვნით, ვაჟა აზარაშვილმა საკმაოდ უჩვეულო შემადგენლობისთვის შექმნა თავისი შესანიშნავი „ნოქტიურნის“ სექსტეტისთვის განკუთვნილი რედაქცია, საგანგებოდ ბერლინში მიმავალი ამ მუსიკოსებისთვის შეიქმნა ახალგაზრდა კომპოზიტორების თენგიზ ნოზაძის სექსტეტი სახელწოდებით „ვალსი-ფანტაზია“ და ლალი საბანაძის „მუსიკა ხუთი ინსტრუმენტისთვის“.

ისევე როგორც წინა წლებში, წლევანდელი საკონცერტო ტურნეც 19-28 აპრილს გერმანიის ექვს ქალაქში გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და გოეთეს ინსტიტუტის მეოხებით გაიმართება.

# დევნილებს გადასახადის გადახდა არ სურთ?

მერი ნამორაძე

აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან დევნილი ოჯახები ელექტროენერგიის მიწოდების დაუყოვნებლივ აღდგენას და მრიცხველების დაყენებას მოითხოვენ. ეს მოთხოვნა 14-მდე ოჯახმა გუშინ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან გააჟღერა, სადაც აქცია გამართეს. დევნილები, რომლებიც თელავის ქუჩის №53 მდებარე შენობაში 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ცხოვრობენ, აცხადებენ, რომ უკვე თვეზე მეტია, დავალიანების გამო, შეწყვეტილი აქვთ ელექტროენერგიის მიწოდება. აქციის მონაწილეები მოითხოვენ ელექტროენერგიის დაუყოვნებლივ აღდგენას და მრიცხველების დაყენებას. დევნილებმა მას შემდეგ გაცილებით თამამად მოსთხოვეს „თელასთან“ შუამდგომლობა სამინისტროს, რაც მინისტრმა დავით დარახველიძემ გააჟღერა, რომ ხელისუფლება დაფარავდა დევნილთა ნაწილის დენისა და გაზის დავალიანებას. როგორც დევნილებმა აღნიშნეს, მათ მას შემდეგ, რაც ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდათ, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს დავით დარახველიძეს მიმართეს. აქციის მონაწილეთა განცხადებით, ამ შეხვედრის შემდეგ 5 დღით ჩაურთეს დენი, თუმცა შემდეგ კვლავ შეუწყვიტეს. დევნილების თქმით, მინისტრმა მათ სთხოვა, თვეში 14-ვე ოჯახს ერთად 100 ლარი მაინც გადაეხადათ.

დევნილები აღნიშნავდნენ, რომ სამინისტრომ მათ კომპანია „თელასთან“ უშუამდგომლა და 2012 წლის ჩათვლით არსებული დავალიანება ჩამოაწერეს, თუმცა დევნილებს მიმდინარე დავალიანების გადახდის საშუალებაც არ აქვთ. აქციის მონაწილეებთან შესახვედრად ჩამოსულმა დევნილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსმა მურად აბლოთიამ განაცხადა, თელავის ქუჩის №53 შენობაში დასახლებული დევნილები 5 წლის მანძილზე არ იხდიდნენ ელექტროენერგიის გადასახადს და შედეგად დაგროვილი დავალიანება სახელმწიფომ თავის თავზე აიღო. თუმცა, მურად აბლოთიას თქმით, მიმდინარე გადასახადის დაფარვა თავად დევნილებმა უნდა უზრუნველყონ. მისივე თქმით, დევნილები უზომოდ ხარჯავენ ელექტროენერგიას, რადგან იმედი აქვთ, რომ სახელმწიფო გადაიხდის მთლიანად გადასახადს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რამდენიმე დღის წინ ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი დავით დარახველიძე თბილისში ზოგიერთ კომპაქტურ დასახლებებში მცხოვრებლებს ენერგეტიკისა და ბუნებრივი აირის დავალიანების დაფარვას დაჰპირდა. ამ ეტაპზე, ბაქოს ქუჩაზე და ზღვის დასახლებაში მცხოვრები დევნილების დავალიანების დაფარვა იგეგმება. საამისოდ მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 0,5 მილიონი ლარი გამოიყო. სამინისტრო კიდევ 12 ობიექტს სწავლობს და როგორც კი მათი დავალიანების ოდენობა დაზუსტდება საკითხი მთავრობის სხდომაზე განიხილება. არ არის გამორიცხული, დევნილთა დიდმა ნაწილმა თელავის ქუჩაზე მცხოვრებ დევნილებს მიბაძონ და ხელისუფლებას კომუნალური გადასახადების დავალიანების დაფარვა მოსთხოვონ მარტივი ლოგიკით – ცდა ბედის მონახევრეა!

# საპატრიარქოს ცენტრში 9 აპრილის გმირებს გაიხსენებენ

ეკა ირემაშვილი

საპატრიაქოს ახალგაზრდულ ცენტრში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის შეწირული გმირების ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართება. „ნათელი ნაკვალევი“ – ასე ეწოდება ღონისძიებას, რომელშიც მონაწილეობენ ზაზა სუყაშვილი, გურამ ქავთარაძე, დავით ჯიმშიაშვილი, მარიამ თორია, დათა ასილაძე, მაია მიქაია, ეკატერინე ბაზერაშვილი, სანდრო მოსეშვილი, სულხან წულუკიძე და ანსამბლი „მეხური“ ნინო ჯავახიძის ხელმძღვანელობით. ღონისძიება საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის ორგანიზებით გაიმართება.

9 აპრილს საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში „გარემოს დამცველთა პროფესიული კავშირი“ დაფუძნდება, რაც განპირობებულია საზოგადოების მზარდი ინტერესის გათვალისწინებით.

– არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,გარემოს დამცველთა პროფესიული კავშირის“ დამფუძნებელ კრებაში მონაწილეობას მიიღებენ გარემოს დაცვის სამინისტროში, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოში, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში, სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოში, სსიპ სატყეო საბაზისო სანერგე მეურნეობაში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და თვითმმართველობების გარემოს დაცვის ორგანოებში, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სამსახურში და სხვა გარემოსდაცვით ორგანოებში დასაქმებულ პირები. ,,პროფესიული კავშირის“ მიზანია წევრთა ინტერესების დაცვა და გარემოს დაცვის ხელშეწყობა, – განაცხადა საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის წარმომადგენელმა ნათია გოგუაძემ.

ცენტრის დარბაზში უკვე გაიმართა პოეტ თინათინ მღვდლიაშვილის შემოქმედებითი საღამო, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს პოეტებმა და საზოგადო მოღვაწეებმა. საღამოს უძღვებოდა დეკანოზი პეტრე კვარაცხელია. ამავე ცენტრში შედგა ჯგუფ „ზღვარის“ შემოქმედებითი საღამო და ახალი პოეტური კრებულის „ლურჯი ლირიკა“ წარდგინება. საპატრიარქოს ახალგაზრდულმა ცენტრმა უმასპინძლა ხევსურული სახლის „სამედაშენისო“ მოსწავლეების კონცერტს და მათი ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვას. ახალგაზრდა მკვლევარმა XI კლასელმა ომარ-გიორგი მთივლიშვილმა კი მოაწყო თემის „რელიგია და მეცნიერება“ განხილვა.

– სამეცნიერო თემა „რელიგია და მეცნიერება“ მოიწონა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ და მეცნიერების აკადემიის რექტორმა თამაზ გამყრელიძემ. თემა შეეხება სამყაროს შექმნის საიდუმლოებას, ბიბლიურ ფაქტებს, ევოლუციის თეორიას, თანამედროვე ტექნოლოგიებს, ღვთის რწმენის ურთიერთდამოკიდებულებასა და სასულიერო განათლებაში საერო პირების წვლილს, – განმარტა საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის წარმომადგენელმა.

# გურამ ოდიშარია: ყველაფერს შევისწავლით!

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია აცხადებს, რომ ყველაფერს დეტალურად შეისწავლიან და საზოგადოებასაც გააცნობენ იმ ფაქტებს, თუ რა საკითხებზე ისაუბრა პრეზიდენტმა თურქეთში რაბათის ციხესთან დაკავშირებით.



– სპეციალისტებმა საბოლოო ჯამში უნდა გადაწყვიტონ, რა და როგორ ჯობია, რადგან კითხვის ნიშნები არ იყოს საზოგადოებაში. კულტურის სამინისტრო საბოლოო გადაწყვეტილების მიმღები არ არის, მაგრამ ჩვენ შევქმენით ფონი და სივრცე, სადაც იკრიბებიან სპეციალისტები, საზოგადოების წარმომადგენლები და საუბრობენ საჭირბოროტო საკითხებზე. ბოლო დროს მნიშვნელოვანი საკითხია რაბათის კომპლექსის თემა. მრგვალ მაგიდასთან სასაუბროდ ჩვენ მოვიწვიეთ სპეციალისტები და საინტერესოდ წარიმართა საუბარი, – განმარტა კულტურის მინისტრმა.

მისი განცხადება იმან განაპირობა, რომ რაბათთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ინფორმაცია გაავრცელა.

საქართველოს პრეზიდენტის „ფეისბუქზე“ გამოქვეყნდა ინფორმაცია, სადაც აღნიშნულია, რომ რაბათის ციხის გუმბათი არ შეიცვლება, დანარჩენი საკითხები კი ურთიერთპატივისცემის პირობებში გადაწყდება. საქართველოს პრეზიდენტი და თურქეთის პრემიერ-მინისტრი რეჯეფ თაიფ ერდოღანი ერთმანეთს შეხვდნენ და ამ თემაზეც ისაუბრეს.

– მხარეებმა ისტორიული და კულტურული ძეგლების აღდგენა-რესტავრაციის თემაზე ისაუბრეს და შეთანხმდნენ, რომ თურქეთის ტერიტორიაზე არსებულ ქართულ ეკლესიებში ქართველ სპეციალისტებს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე დაუშვებენ, რათა მათ სრული აღწერა და აღდგენითი სამუშაოების სათანადოდ მომზადება შეძლონ. შეხვედრისას, საუბარი ასევე რაბათის ციხის საკითხს შეეხო. ლიდერები შეთანხმდნენ, რომ რაბათის ციხის გუმბათი არ შეიცვლება, ხოლო ყველა სხვა საკითხი ურთიერთპატივისცემის პირობებში გადაწყდება. მათი განცხადებით, კულტურული მემკვიდრეობა ძალიან მნიშვნელოვანი და მგრძნობიარე თემაა და მხარეები თითოეულ ამ საკითხს სწორედ ამის სრული გათვალისწინებით განიხილავენ, – აღნიშნულია პრეზიდენტის „ფეისბუქის“ გვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციაში.

თურქეთის მხარესთან დაწყებული ხანგრძლივი მოლაპარაკებები, ტაო კლარჯეთის ტერიტორიაზე არსებული ტაძრების აღდგენის პროცესში ქართველი სპეციალისტების ჩართვასთან დაკავშირებით დასრულებულია.

როგორც ცნობილი გახდა, თურქეთში ქართული ძეგლების ქართველი სპეციალისტების მონაწილეობით აღდგენაზე შეთანხმება მიღწეულია. როგორც საგარეო საქმეთა მინსიტრი აღნიშნავს, „პოლიტიკური შეთანხმება იმაზე, რომ ისტორიული ძეგლების აღდგენა ქართველი სპეციალისტების მონაწილეობით მოხდება, მიღწეულია. იმაზე, თუ კონკრეტულად რომელი სპეციალისტი როდის და სად გაემგზავრება, ინფორმაციას ვერ მოგაწვდით. ეს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პრეროგატივაა“, – განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

ცნობილი ხდება, რომ იშხნის ტაძარში შეჩერებული სარეაბილიტაციო სამუშაოები განახლდა. გარეთა ფასადზე ხარაჩოები ახლა იმართება, ნაგებობის შიგნით კი მიწით დაფარული იატაკის გასუფთავება მიმდინარეობს. სამუშაოების დაწყებისას ტაძარში მოზაიკის იატაკის ფენაც აღმოჩნდა. მისი შესწავლა სპეციალისტებმა უნდა დაიწყონ.

სარეაბილიტაციო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია „ანფორა მიმარლის რესტორასიონი“ აწარმოებს. ადგილზე ყოველდღიურად 10-მდე მუშა მუშაობს, რომლებიც თავად აცხადებენ, რომ საჭიროა პროცესში სპეციალისტების ჩართვა. სამუშაოებში ამ დრომდე არ იღებენ მონაწილეობას ქართველი მკვლევარები და არქი-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# გიორგი ყორღანაშვილი ისრაელში გაემგზავრა

ეკა ირემაშვილი

24 წლის ახალგაზრდა მსახიობი გიორგი ყორღანაშვილი ხარება დღეს თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან სამკურნალოდ და საოპერაციოდ ისრაელში გაემგზავრა. მსახიობი მეგობრებმა და კოლეგებმა გააცილეს და საქართველოში გამოჯანმრთელებულს დაბრუნება უსურვეს. მსახიობმა საქართველო ყავარჯნებით და თვალცრემლიანმა დატოვა. მან ყველას დიდი მადლობა გადაუხადა აქტიური თანადგომისთვის.

გიორგი ყორღანაშვილი სამეფო უბნის და მარჯანიშვილის თეატრების მსახიობია. მისი ავადმყოფობის გაჟღერების შემდეგ, აქტიური მოქმედები დაიწყო. 3 მარტიდან ამ საკითხის მოგვარებაში ჩაერთო თბილისის მერია, კულტურის სამინისტრო. გიორგის დასახმარებლად მისმა მეგობრებმა არაერთი კულტურული ღონისძიება თუ სხვადასხვა საქველმოქმედო აქცია ჩაატარეს. მოაწყეს სამსაათიანი ტელემარათონი, სადაღც 35.000 ზარი შევიდა. საქართველოს თეატრებში სპექტაკლებზე დასასწრები ბილეთები ელვის სიწრაფით გაიყიდა, იყო ზეანშლაგები, ყველამ გამოთქვა ახალგაზრდა მსახიობისთვის დახმარების სურვილი. საქველმოქმედო აქციებში ჩაერთნენ როგორც თბილისის და საქართველოს თეატრები, ასევე მომღერლები, მხატვრები, სპოტრსმენები, მსახიობები, რეჟისორები, რიგითი ადამიანები. ამ საქველმოქმედო საქმისთვის გაიყიდა არაერთი წიგნი, მოეწყო თანამედროვე ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა, შარდენზე ჩატარდა ასევე გამოფენა-გაყიდვა, სადაც ნებისმიერ მსურველს შეეძლო ხელნაკეთი ნივთი მიეტანა და გიორგის გადასარჩენად სასურველ ფასად გაეყიდა. მისი სიცოცხლის გადარჩენითვის მებრძოლმა ადამიანებმა თბილისის კორპუსები კარდაკარ დაიარეს და 1 ლარის სანაცვლოდ მაცხოვრებლებს მაღაზიაში ჩაგზავნა ან ნაგვის გადაყრა შესთავაზეს. ამ აქციის ფარგლებში მოხალისეები მხიარული „სტაიანშჩიკებიც“ გახდნენ და ნებისმიერი მსურველის ავტომობილს 1 ლარად დარაჯობდნენ.

მთლიანობაში მსახიობის გადასარჩენად 400.000 დოლარია საჭირო. გიორგი ყორღანაშვილის სამკურნალოდ დედაქალაქის მერიამ 50.000 დო-



ლარი გაიღო, ჯანდაცვის სამინისტრომ – 10.000 ლარი. მისმა მეგობრებმა კი ამ დროისთვის 312.000 დოლარის შეგროვება შეძლეს. მას ურთულესი ოპერაცია ესაჭიროება, რომელიც ძვლის ტვინის გადანერგვას ითვალისწინებს.

იმისთვის, რომ გიორგის ყველა სამედიცინო მომსახურება სრულად ჩაუტარდეს კიდევ 88.000 დოლარია საჭირო. როგორც მისი მეგობრები აღნიშნავენ, ისინი კვლავაც გეგმავენ სხვადასხვა სახის აქციებსა და ღონისძიებებს იმისთვის, რომ მეგობარს სიცოცხლე შეუნარჩუნონ და ის სამშობლოში სრულიად აგმოჯანრმთელებული დააბრუნონ.

ამ აქციაში აქტიურად ჩაერთნენ მობილური ოპერატორებიც და ნომერზე 09 01 800 804 ბეგარა მოხსნეს. ძალიან სასიხარულო და საამაყოა, რომ მისმა მეგობრებმა თავი არ დაზოგეს და ერთი თვის განმავლობაში ამხელა თანხის შეგროვება შეძლეს. მართლაც გამოჯანმრთელებას ვუსურვებთ გიორგის, თუმცა სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ახალგაზრდა მსახიობისნაირ მდგომარეობაში საქართველოში ძალიან ბევრი ადამიანია, რომელთაც გადაუდებელი ოპერაცია სჭირდებათ, რომ სიცოცხლე გაიხანგრძლივონ. მართალია, ძალა ერთობაშია მაგრამ იმედია, ეს საკითხი ჩვენს ქვეყანაში მთავრობის დონეზე გადაწყდება და დროულადაც მოგვარდება, რომ შეიქმნას სერიოზული ფონდი ან ორგანიზაცია, რომელიც ასეთ მდგომარეობაში მყოფი ადამიანების სიცოცხლისთვის იბრძოლებს, რადგან ხალხს ამ საკითხებთან მარტო გამკლავება, სამწუხაროდ, არ შეუძლია.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● კოსმეტოლოგი ლამარა თოდუა თავის მრავალწლიანი გამოცდილებით და მამა-პაპური გამოცდილების მცენარეული რეცეპტურით კანის უამრავ დაავადებას არჩენს. სახის კანის გაწმენდა ხდება ახალი და ძველი რეცეპტურით. მყავს ათასობით მადლიერი პაციენტები. ვარჩენ გამონაყარს, მეჭეჭებს, დამწვრობას, სებორეას, ჰაიმორიტ-ფრონტიტს, თმის ცვენას, ქერტლს, ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ვარჩენ სოკოს, ქავილს, ჩაბრუნებულ ფრჩხილებს, მაზოლებს, ძირმაგარებს, ნაიარევს. ახალნამშობიარებ დედებს მოვურჩენ მასტიტს, გამაგრებას. ნებისმიერი კანისთვის ვამზადებ მკვებავ და დამცავ კრემებს. მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ დ№1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

# დინამომ ოლიმპს ლიდერობა აჩუქა

**შსს – დინამო 80:78**

(21:12; 15:19; 21:30; 21:19)

„დინამო“ არის ერთადერთი გუნდი, რომელსაც რეგულარულ ჩემპიონატში „შსს-აკადემიასთან“ დადებითი ბალანსი ექნება.

ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილმა გუნდმა ჩემპიონატის ლიდერ აკადემიელებს დაძაბულ ბრძოლაში 2 ქულით მოუგო. პირველ წრეში ამ გუნდების დაპირისპირება „დინამოს“ გამარჯვებით დასრულდა და იმის გარდა, რომ ამ გამარჯვებით პირველ ადგილს ინაღდებდნენ, აკადემიელებს რევანშიც ჰქონდათ ასაღები. დიდი მცდელობის მიუხედავად, გიორგის კეცელიდისის გაწვრთნილმა ძალოვნებმა გამარჯვება ვერ მოახერხეს. „დინამომ“ გამართულად და შედეგიანად ითამაშა, რითაც გამარჯვება დაიმსახურა.

ეს იყო ლეგიონერთა ყველაზე მასობრივი დაპირისპირება. ორივე გუნდს 4-4 უცხოელი ჰყავს, რომელთაგან 30 წუთზე ნაკლები არც ერთს არ უთამაშია. მატჩის სირთულემ სწორედ ლეგიონერებზე გადაიარა, თუმცა გამოსარჩევია დინამოელთა ქართველი კალათბურთელის – ბექა ჩიკვილაძის დიდებული თამაში. მისმა სამქულიანებმა და გონივრულმა გარღვევებმა „დინამოს“ დიდი სამსახური გაუწიეს.

თამაშის დებიუტში აკადემიელებმა 10-ქულიანი ლიდერობა მოიპოვეს, მაგრამ მატჩი მალე გათანაბრდა და მთელი მეორე ტაიმი ქულა-ქულაში წარიმართა. ვერც ერთი გუნდი ვერ ახერხებდა ხელჩასაჭიდი უპირატესობის მოპოვებას. ორივე გუნდის წევრები როგორც ფარქვეშ, ისე პერიმეტრზე შესანიშნავად თამაშობდნენ.

მესამე მეოთხედის ბოლოს ქიენ კარტერმა ზედიზედ 3 ორქულიანი ჩააგდო და ამის წყალობით ხოშტარიას გუნდი მატჩის ბოლო შესვენებაზე 4-ქულიანი ლიდერობით გავიდა – 61:57. ეს მცირე სხვაობა მალევე გააბათილეს აკადემიელებმა – დეონტა ვონმა სამიანი ჩააგდო, კირკ არჩიბექმა კი ფარქვეშიდან იყოჩაღა. ასე თანაბრად გაგრძელდა შეხვედრა ბოლო წუთამდე და მატჩის ბედიც სწორედ უკანასკნელ წამებზე გადაწყდა. კირკ არჩიბექმა ძალიან საჭირო მოხსნები მიითვალა მეტოქის ფარზე, თუმცა ამას შედეგი ვერ მოაყოლა – შსს-ს ამერიკელმა ცენტრმა 4-დან 3 საჯარიმო ააცილა, რასაც დეონტა ვონის საფინალო სირენამდე 40 წამით ადრე აცილებული 2 საჯარიმოც მოჰყვა. აკადემიელებმა ვერაფრით მოახერხეს იმ 2-ქულიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა, რომელიც „დინამომ“ ქიან კარტერის ჩაგდებული ბურთის შემდეგ მოიპოვა. ბოლო წამებზე კეცელიდისის გუნდმა კარგად ითამაშა დაცვაში, მაგრამ შეტევაში ვერ იხეირა და საბოლოოდ 78:80 დამარცხდა.

**მატჩის შემდეგ**

***ირაკლი ხოშტარია (დინამო):***

– მიხარია, რომ გავიმარჯვეთ. პლეი ოფები ახლოვდება და თითოეული გუნდი ცდილობს თავისი მინუსების დანახვას და გამოსწორებას. მართალია, სრული შემადგენლობა გვყავს, თუმცა მაქსიმუმი მაინც არ გვიჩვენებია. კარტერმაც და ოლუიჩმაც კარგად ითამაშეს, მაგრამ ეს მათი ოპტიმალური ფორმა არ არის. დაცვაში ბევრი ხარვეზი გვქონდა, მთავარი პრობლემა ფარის წაგებაა. 11-დან 9 გუნდთან ფარი წაგებული გვაქვს. მადლობას ვეტყვი ჩემს ბიჭებს თავდადებისთვის და ბოლომდე ბრძოლისთვის.

***გეორგის კესელიდისი (შსს აკადემია):***

– დავმარცხდით ერთ-ერთ კარგ გუნდთან, რომელსაც ძლიერი ლეგიონერები ჰყავს. სეზონის დასაწყისიდან ვამბობ, რომ კარგი დაცვის გარეშე გამარჯვების მოპოვება წარმოუდგენელია, სუპერლიგის თამაშები და საქართველოს თასიც სწორედ კარგი დაცვის ხარჯზე მოვიგეთ. დღეს კი დაცვა ჩვენი მთავარი სისუსტე იყო, მეორე პერიოდში 50 ქულა მივიღეთ. მსაჯებთან არანაირი პრობლემა არ მაქვს, მაგრამ ჩემი აზრით, ბოლოს დეონტა ვონზე ჯარიმა იყო. თუმცა ეს არაა გადამწყვეტი, ჩვენ ცუდი დაცვა ვითამაშეთ და ამიტომ წავაგეთ. რაც შეეხება იმას, თუ რატომ არ ითამაშა როგავამ, ეს სუპერლიგის აღმასრულებელ დირექტორს უნდა ჰკითხოთ. რეზოს დღეს საღამოს 20-წლამდელების თამაში აქვს. ის მხოლოდ 19 წლისაა და მე ჩემს მოთამაშეებს ვუფრთხილდები.

***გიგი ორმოცაძე (დინამო):***

– როგორც იქნა, გუნდი შევიკრიბეთ და შევიკარით. ამ გამარჯვებით დავამტკიცეთ, რომ ჯერ კიდევ ფორმაში ბოლომდე შეუსვლელ „დინამოს“ ასეთი კარგი თამაში შეუძლია. როცა ყველა ოპტიმალურ ფორმაში იქნება, დარწმუნებული ვარ, ძალიან კარგ შედეგს ვაჩვენებთ.

***კირკ არჩიბეკი (შსს აკადემია):***

– ვულოცავ მეტოქეს გამარჯვებას. საკმაოდ კარგი გუნდია. დაცვაში პრობლემების გამო წავაგეთ და ბოლოს აცილებულმა საჯარიმოებმაც იქონია შედეგზე გავლენა. დიდი ხანია არ წაგვიგია და ეს მარცხი ჩვენთვის კარგი გაკვეთილი იქნება. წინ პლეი ოფებია და მაქსიმალურად მოვემზადებით.

**ოლიმპი – სტუ 123:66**

(26:14; 27:20; 33:17; 37:15)

უპირობო ფავორიტად „ოლიმპი“ ითვლებოდა და საბოლოოდ იოლი გამარჯვებაც მოიპოვა. გია კაზანჯიანის გაწვრთნილმა ოლიმპელებმა ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდს 57 ქულის სხვაობით – 123:66 მოუგო.

მთელი მატჩის მანძილზე „ოლიმპს“ საკუთარი უპირატესობა ეჭვქვეშ არ დაუყენებია. საწყისი მეოთხედის 12 ქულით მოგების შემდეგ ფავორიტი ოდნავ მოეშვა და დიდ შესვენებამდე საკუთარი ლიდერობა მხოლოდ 7 ქულით გაზარდა. მესამე მეოთხედიდან კი ოლიმპელები ისევ გააქტიურდნენ და საბოლოოდ ტექნიკოსებს გამანადგურებელი მარცხი აგემეს.

გამარჯვებულთაგან 10-ქულიანი ზღვარი 7-მა კალათბურთელმა დაძლია. 24 ქულითა და 9 მოხსნით ოლიმპელებს ლევან ფაცაციამ ულიდერა, ხოლო 18 ქულითა და 11 მოხსნით სტევან მილოშევიჩმა ორმაგი დუბლი გაიფორმა. 17 ქულა და 7 პასი დააგროვა ტარიელ თავართქილაძემ. რაც შეეხებათ ტექნიკოსებს, 15 ქულით ბომბარდირი ტატო ჩაჩიბაია გახდა, ხოლო მისმა თანაგუნდელმა ბექა ქორიძემ შეხვედრა 11 ქულით დაასრულა.

ამ გამარჯვებით „ოლიმპი“ ცხრილში პირველ ადგილზე გადავიდა. თუკი ბოლო ტურში, 13 აპრილს, „ოლიმპი“ „არმიას“ დაამარცხებს, რეგულარულ ჩემპიონატს პირველ ადგილზე დაასრულებს. კაზანჯიანის გუნდი კონკურენტ „შსს-აკადემიას“ პირად შეხვედრებში, ბურთების შე-



ფარდებით ჯობნის.

***გია კაზანჯიანი (ოლიმპი):***

– ვულოცავ ჩვენს გუნდს გამარჯვებას. ოლიმპი უფრო ძლიერი გუნდია, ვიდრე სტუ და ჩვენს სხვა მიზნები გვაქვს. დღესაც გვაკლდნენ მოთამაშეები, იმედია ორშაბათიდან ნოდარ თენეიშვილი შემოგვიერთდება, კოკა ტომარაძეზე კი ზუსტი დრო ჯერ არ ვიცით. „დინამოს“ გამარჯვების წყალობით ახლა უკვე პირველ ადგილზე ვართ.

***გია ტეტელაშვილი (სტუ):***

– ვულოცავ „ოლიმპს“ გამარჯვებას. გაცილებით უკეთესი მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული და სერიოზული მიზნებისთვის იბრძვიან. ჩვენ მოტივაციაც დაკარგული გვაქვს, ბოლო თამაშები არაფერს გვიწყვეტს.

***ვატო თევზაძე (სტუ):***

– „ოლიმპი“ ჩვენზე ბევრად ძლიერი გუნდია და მათთან მინიმალური შანსები გვქონდა. მოტივაცია არ გვაქვს და ასეთი ანგარიში ამიტომ მივიღეთ. თუმცა უკეთესი თამაში შეგვეძლო.

**სოხუმი – თსსუ 95:66**

(32:12; 12:15; 24:15; 27:27)

მატჩი „სოხუმის“ 223 სანტიმეტრი სიმაღლის ცენტრის, სერგო ათუაშვილის ბენეფისად იქცა. ყველაზე მაღალმა ქართველმა კალათბურთელმა 5 სამქულიანი (!) ჩააგდო, მთლიანობაში კი 38 ქულა დააგროვა, რასაც 16 მოხსნაც მოაყოლა. ფარქვეშა ბრძოლებში ათუაშვილს გვერდში ედგა ვახტანგ ქადარია, რომელმაც 19 ქულა და 17 მოხსნა მიითვალა.

თავად მატჩი ვერ გამოდგა დაძაბული. სოხუმელებმა პირველი მეოთხედი 20 ქულის სხვაობით – 32:12 მოიგეს და მოპოვებული უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვეს. სამედიცინო უნივერსიტეტის გუნდმა მეტოქეს ვერაფერი დაუპირისპირა და საბოლოოდ 66:95 დამარცხდა.

სოხუმელთა მსგავსად, თსსუ-შიც ორმა კალათბურთელმა შეასრულა ორმაგი დუბლი: 19 ქულითა და 11 მოხსნით თავი გიორგი ფერიაშვილმა გამოიჩინა, ხოლო 13 ქულა და 14 მოხსნა დააგროვა ირაკლი გაბისონიამ.

***ვაჟა კვარაცხელია (სოხუმი):***

– დიდი მადლობა სამედიცინოს გუნდს კარგი თამაშისთვის. ახალგაზრდა და პერსპექტიული გუნდია და ვუსურვებ, მომავალ წელსაც იასპარეზონ სუპერლიგაში. რაც შეეხება დინამოსთან მომავალ შეხვედრას, აუცილებლად უნდა მოვიგოთ, ეს პრინციპის ამბავია. სატურნირო ცხრილში არაფერს შეგვიცვლის, უბრალოდ უნდა დავამტკიცოთ, რომ შემთხვევით არ გაგვიმარჯვია.

***თენგიზ ფიცხელაური (თსსუ):***

– ვულოცავ სოხუმს და წარმატებებს ვუსურვებ პლეი ოფში. გაოცებული ვარ ათუაშვილით, ძალიან ძლიერ ფორმაშია.

***ირაკლი ბეშქენაძე (სოხუმი):***

– ეს მოგება გვჭირდებოდა პლეი ოფში ადგილის გასანაღდებლად და თანაც, მოსამზადებლადაც გამოგვადგება.

***ბაჩო კევლიშვილი (თსსუ):***

– ვულოცავ მოწინააღმდეგეს და წარმატებებს ვუსურვებ. თავიდანვე კარგად და შემართულად დაიწყეს, ფარზეც უპირატესობა მოიპოვეს და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვეს.

**ქუთაისი – თსუ 73:63**

(20:12; 8:19; 18:19; 27:13)

შეხვედრა საკმაოდ საინტერსო და დაძაბული გამოდგა. პირველი მეოთხედი იმერელთა უპირატესობით დასრულდა, თუმცა მეორე მეოთხედში თსუ-ს გუნდიც აქტიურად ათამაშდა და დიდ შესვენებაზე 3-ქულანი უპირატესობით 31:28 გავიდა. მესამე მეოთხედი კვლავაც სტუმართა სასარგებლოდ 50:46 დასრულდა, თუმცა გადამწყვეტი მეოთხე პერიოდი „ქუთაისმა“ დამაჯერებლად ჩაატარა და მატჩი გამარჯვებით დაასრულა.

მასპინძელთა შემადგენლობაში ორმაგი დუბლით, 31 ქულითა და 16 მოხსნით რიჩარდ მათიაშვილი გამოირჩა, ხოლო 14-14 ქულა ზაურ ფაშაევმა და გიორგი ბარბაქაძემ მიითვალეს.

თსუ-ს მხრიდან კი ორმაგი დუბლი სერჟ ასელაინმა (12 ქულა, 12 მოხსნა) და ვასილ ბერუაშვილმა (11 ქულა, 11 მოხსნა) შეასრულეს.

***დავით უსტიაშვილი (ქუთაისი):***

– დაძაბული და საინტერესო შეხვედრა გამოვიდა, თსუ-ს გუნდმა საკმაოდ კარგი თამაში აჩვენა. თავიდან მატჩი კარგად დავიწყეთ, თუმცა შემდეგ ცუდად გავაგრძელეთ. კოჭის ტრავმა მიიღო დავით ბარბაქაძემ, რომელიც სავარაუდოდ მომდევნო შეხვედრაში ვერ დაგვეხმარება. რაც შეეხება „სოხუმთან“ მატჩს, ეს ერთ-ერთი მორიგი თამაში იქნება, რომელსაც პლეიოფის მოსამზადებლად გამოვიყენებთ.

გიორგი ჩხეიძე (თსუ): მიუხედავად მარცხისა, დღევანდელი შეხვედრით ძალიან კმაყოფილი ვარ. მთელი სამი მეოთხედის განმავლობაში მეტოქეს დიდ წინააღმდეგობას ვუწევდით და რამდენჯერმე წინაც გავედით. რაც ზონური დაცვის დიდი დამსახურება იყო. ბოლო შეტევებში შესანიშნავად იასპარეზეს რიჩარდ მათიაშვილმა და ზაურ ფაშაევმა. ვფიქრობ, „ქუთაისის“ გამარჯვებაში მათ უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს. ჩვენი გუნდიდან კი სერჟ ასელაინის კარგ თამაშს აღვნიშნავდი. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ბიჭებს, რომლებმაც დღეს მაქსიმუმი გააკეთეს და დიდი მონდომებით იასპარეზეს. ვეცდებით პლეიოფში ჩვენს მეტოქეს დიდი წინააღმდეგობა გავუწიოთ და მისთვის ანგარიშგასაწევი გუნდი ვიყოთ.

**ბათუმი – არმია 61:88**

(16:31; 14:19; 14:16; 17:22)

არმიელებმა მატჩი თავიდანვე დიდი უპირატესობით დაიწყეს, რომელიც თამაშის ბოლომდე შეინარჩუნეს და იოლი გამარჯვება მოიპოვეს.

ზღვისპირელებს 13-13 ქულა ლაშა კეშე-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ლივერპული-ვესტ ჰემი ................ 0:0
ტოტენჰემი-ევერტონი .................. 2:2
ნიუკასლი-ფულემი ....................... 1:0
ჩელსი-სანდერლენდი .................... 2:1
ქპრ-უიგანი ................................. 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 30 | 25 | 2 | 3 | 70:31 | 77 |
| 2.სიტი | 30 | 18 | 8 | 4 | 55:26 | 62 |
| 3.ჩელსი | 31 | 17 | 7 | 7 | 61:33 | 58 |
| 4.ტოტენჰემი | 32 | 17 | 7 | 8 | 55:40 | 58 |
| 5.არსენალი | 31 | 16 | 8 | 7 | 61:34 | 56 |
| 6.ევერტონი | 31 | 13 | 13 | 5 | 49:37 | 52 |
| 7.ლივერპული | 32 | 13 | 10 | 9 | 59:40 | 49 |
| 8.ვესტ ბრომვიჩი | 32 | 13 | 5 | 14 | 42:43 | 44 |
| 9.სუონსი | 32 | 10 | 11 | 11 | 43:42 | 41 |
| 10.ფულემი | 31 | 10 | 9 | 12 | 43:47 | 39 |
| 11.საუთჰემპტონი | 32 | 9 | 10 | 13 | 46:53 | 37 |
| 12.ვესტ ჰემი | 31 | 10 | 7 | 14 | 35:44 | 37 |
| 13.ნიუკასლი | 32 | 10 | 6 | 16 | 42:56 | 36 |
| 14.ნორვიჩი | 32 | 7 | 14 | 11 | 30:49 | 35 |
| 15.სტოკი | 32 | 7 | 13 | 12 | 28:39 | 34 |
| 16.ასტონ ვილა | 32 | 8 | 9 | 15 | 35:59 | 33 |
| 17.სანდერლენდი | 32 | 7 | 10 | 15 | 34:45 | 31 |
| 18.უიგანი | 31 | 8 | 7 | 16 | 37:57 | 31 |
| 19.ქპრ | 32 | 4 | 12 | 16 | 27:52 | 24 |
| 20.რედინგი | 32 | 5 | 8 | 19 | 36:63 | 23 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

სელტა-რაიო ................................ 0:2
ოსასუნა-ესპანიოლი ...................... 0:2
ხეტაფე-ატლეტიკო ........................ 0:0
ვალენსია-ვალიადოლიდი ............... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 30 | 25 | 3 | 2 | 95:33 | 78 |
| 2.რეალი | 30 | 20 | 5 | 5 | 77:29 | 65 |
| 3.ატლეტიკო | 30 | 19 | 5 | 6 | 51:25 | 62 |
| 4.სოსიედადი | 30 | 14 | 9 | 7 | 55:39 | 51 |
| 5.ვალენსია | 30 | 14 | 7 | 9 | 44:42 | 49 |
| 6.მალაგა | 30 | 13 | 8 | 9 | 43:32 | 47 |
| 7.ბეტისი | 30 | 14 | 5 | 11 | 44:43 | 47 |
| 8.ხეტაფე | 30 | 12 | 8 | 10 | 38:44 | 44 |
| 9.რაიო | 30 | 14 | 2 | 14 | 40:49 | 44 |
| 10.ლევანტე | 30 | 11 | 7 | 12 | 35:46 | 40 |
| 11.ესპანიოლი | 30 | 10 | 9 | 11 | 37:39 | 39 |
| 12.სევილია | 29 | 11 | 5 | 13 | 43:41 | 38 |
| 13.ვალიადოლიდი | 30 | 9 | 8 | 13 | 38:43 | 35 |
| 14.ბილბაო | 29 | 10 | 5 | 14 | 33:51 | 35 |
| 15.ოსასუნა | 30 | 8 | 7 | 15 | 26:35 | 31 |
| 16.გრანადა | 30 | 7 | 7 | 16 | 28:45 | 28 |
| 17.სარაგოსა | 30 | 7 | 6 | 17 | 28:46 | 27 |
| 18.დეპორტივო | 30 | 6 | 8 | 16 | 38:64 | 26 |
| 19.სელტა | 30 | 6 | 6 | 18 | 29:45 | 24 |
| 20.მალიორკა | 30 | 6 | 6 | 18 | 32:63 | 24 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ვილიარეალი-ნუმანსია ................. 6:1
გვადალახარა-კორდობა ................ 3:1
ხირონა-მურსია ........................... 5:2
ხერესი-ერკულესი ........................ 0:0
ალმერია-უელვა ........................... 2:1
საბადელი-ხიხონი ......................... 4:3
რეალი ბ-უესკა ............................ 5:1

**იტალია. სერია ა**

ფიორენტინა-მილანი ..................... 2:2
კატანია-კალიარი ......................... 0:0
სამპდორია-პალერმო .................... 1:3
სიენა-პარმა ................................ 0:0
უდინეზე-კიევო ............................ 3:1
ინტერი-ატალანტა ........................ 3:4
ნაპოლი-ჯენოა ............................. 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 31 | 22 | 5 | 4 | 61:20 | 71 |
| 2.ნაპოლი | 31 | 18 | 8 | 5 | 57:29 | 62 |
| 3.მილანი | 31 | 17 | 7 | 7 | 55:34 | 58 |
| 4.ფიორენტინა | 31 | 15 | 7 | 9 | 56:39 | 52 |
| 5.ინტერი | 31 | 15 | 5 | 11 | 50:43 | 50 |
| 6.ლაციო | 30 | 15 | 5 | 10 | 39:36 | 50 |
| 7.რომა | 30 | 14 | 5 | 11 | 60:51 | 47 |
| 8.კატანია | 31 | 13 | 7 | 11 | 40:37 | 46 |
| 9.უდინეზე | 31 | 11 | 12 | 8 | 41:39 | 45 |
| 10.პარმა | 31 | 10 | 9 | 12 | 39:39 | 39 |
| 11.კალიარი | 31 | 10 | 9 | 12 | 37:49 | 39 |
| 12.ბოლონია | 31 | 10 | 7 | 14 | 41:40 | 37 |
| 13.ატალანტა | 31 | 11 | 6 | 14 | 34:45 | 37 |
| 14.სამპდორია | 31 | 10 | 7 | 14 | 36:38 | 36 |
| 15.ტორინო | 31 | 8 | 13 | 10 | 39:41 | 36 |
| 16.კიევო | 31 | 10 | 5 | 16 | 32:48 | 35 |
| 17.სიენა | 31 | 8 | 9 | 14 | 31:42 | 27 |
| 18.ჯენოა | 31 | 6 | 9 | 16 | 31:49 | 27 |
| 19.პალერმო | 31 | 5 | 12 | 14 | 28:44 | 27 |
| 20.პესკარა | 31 | 6 | 3 | 21 | 22:63 | 21 |

**შენიშვნა:**

*სამპდორიას დაკლებული აქვს 1 ქულა*
*ტორინოს დაკლებული აქვს 1 ქულა*
*ატალანტას დაკლებული აქვს 2 ქულა*
*სიენას დაკლებული აქვს 6 ქულა*

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ნიურნბერგი-მაინცი ..................... 2:1
ჰანოვერი-შტუტგარტი .................. 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 28 | 24 | 3 | 1 | 79:13 | 75 |
| 2.დორტმუნდი | 27 | 15 | 7 | 5 | 62:32 | 52 |
| 3.ლევერკუზენი | 28 | 14 | 7 | 7 | 51:36 | 49 |
| 4.შალკე | 28 | 13 | 6 | 9 | 48:43 | 45 |
| 5.ფრაიბურგი | 28 | 11 | 9 | 8 | 36:33 | 42 |
| 6.აინტრახტი | 28 | 12 | 6 | 10 | 42:40 | 42 |
| 7.გლადბახი | 28 | 10 | 11 | 7 | 36:37 | 41 |
| 8.მაინცი | 28 | 10 | 9 | 9 | 35:32 | 39 |
| 8.ჰანოვერი | 28 | 11 | 5 | 12 | 49:46 | 38 |
| 9.ნიურნბერგი | 28 | 9 | 11 | 8 | 33:35 | 38 |
| 10.ჰამბურგი | 28 | 11 | 5 | 12 | 32:44 | 38 |
| 12.ვოლფსბურგი | 28 | 8 | 9 | 11 | 33:43 | 33 |
| 13.შტუტგარტი | 28 | 9 | 6 | 13 | 29:46 | 33 |
| 14.ვერდერი | 28 | 8 | 7 | 13 | 43:54 | 31 |
| 15.ფორტუნა | 28 | 7 | 8 | 13 | 33:43 | 29 |
| 16.აუგსბურგი | 27 | 5 | 9 | 13 | 23:40 | 24 |
| 17.ჰოფენჰაიმი | 28 | 6 | 5 | 17 | 33:52 | 23 |
| 18.ფიურტი | 28 | 2 | 9 | 17 | 18:46 | 15 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

დუისბურგი-ზანდჰაუზენი ............. 2:1
მიუნხენ 1860-კოტბუსი ................. 1:1
პადერბორნი-უნიონი ..................... 1:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

სენტ ეტიენი-ევიანი ..................... 1:0
რეიმსი-ლიონი .............................. 1:0
ლილი-ლორიენი ............................ 5:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 31 | 19 | 7 | 5 | 56:20 | 64 |
| 2.მარსელი | 31 | 17 | 6 | 8 | 36:32 | 57 |
| 3.სენტ ეტიენი | 31 | 14 | 11 | 6 | 51:25 | 53 |
| 4.ლიონი | 31 | 15 | 8 | 8 | 49:33 | 53 |
| 5.ლილი | 31 | 14 | 10 | 7 | 48:31 | 52 |
| 6.ნიცა | 31 | 14 | 9 | 8 | 45:37 | 51 |
| 7.მონპელიე | 31 | 14 | 6 | 11 | 47:37 | 48 |
| 8.ლორიენი | 31 | 11 | 11 | 9 | 48:50 | 44 |
| 9.ბორდო | 31 | 10 | 13 | 8 | 29:26 | 43 |
| 10.რენი | 31 | 12 | 6 | 13 | 41:43 | 42 |
| 11.ტულუზა | 31 | 10 | 11 | 10 | 39:38 | 41 |
| 12.ბასტია | 31 | 11 | 6 | 14 | 42:56 | 39 |
| 13.ვალანსიენი | 31 | 9 | 9 | 13 | 41:48 | 36 |
| 14.რეიმსი | 31 | 8 | 10 | 13 | 29:37 | 34 |
| 15.აიაჩო | 31 | 8 | 12 | 11 | 32:40 | 34 |
| 16.სოშო | 31 | 8 | 8 | 15 | 32:47 | 32 |
| 17.ევიანი | 31 | 7 | 10 | 14 | 34:44 | 31 |
| 18.ნანსი | 31 | 7 | 9 | 15 | 29:47 | 30 |
| 19.ბრესტი | 31 | 8 | 5 | 18 | 29:48 | 29 |
| 20.ტრუა | 31 | 4 | 13 | 14 | 36:54 | 25 |

**შენიშვნა:**

*აიაჩოს დაკლებული აქვს 2 ქულა*

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

უტრეხტი-დენ ჰააგი ..................... 1:0
გრონინგენი-ჰერენვენი ................. 3:1
ნაიმეგენი-ალკმაარი ..................... 1:1
აიაქსი-ერაკლესი ......................... 4:0

**პორტუგალია. ა ლიგა**

ჟილ ვისენტე-აკადემიკა ............... 2:1
ეშტორილი-ნასიონალი ................. 4:0
რიუ ავე-სეტუბალი ....................... 2:1
გიმარაეში-ბეირა მარი ................. 2:1
ოლჰანენსე-ბენფიკა ..................... 0:2

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ზენიტი-კრ.სოვეტოვი ................... 1:0
ანჟი-ალანია ................................ 0:0
ყუბანი-რუბინი ............................. 0:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლოზანა-თუნი .............................. 2:4
იანგ ბოიზი-სერვეტი ..................... 0:2
სტ.გალენი-ბაზელი ....................... 1:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ზალცბურგი-შტურმი .................... 3:0

**ბელგია. პროლიგა**

გენკი-ვარეგემი ........................... 1:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

პანთრათიკოსი-ოფი ..................... 3:1
ასტერასი-ქსანთი ......................... 0:1
პლატანიასი-ოლიმპიაკოსი .......... 0:4
პანათინაიკოსი-პანიონიოსი ......... 0:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

გენჩლერი-გაზიანთეპი ................. 2:2
აკხისარი-ტრაბზონი ..................... 1:0
ორდუ-ფენერბახჩე ....................... 0:2
ესკიშეჰირი-სივასი ...................... 2:1

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

იაბლონეცი-სლოვაცკო ................ 4:1
პლზენი-ტეპლიცე ........................ 2:1
ჰრადეც კრალოვე-ბოლესლავი ... 2:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

კორონა-ბელხატუვი ...................... 1:0
ვისლა-პიასტი ............................. 1:2

**უკრაინა. პრემიერლიგა**

მეტალურგი(დ)-კარპატი ............... 4:0
ტავრია-ჰოვერლა ........................ 0:2
დინამო-შახტარი ......................... 1:2

**დანია. სუპერლიგა**

ჰორსენსი-ნორდსიელანდი ............ 0:2
რანდერსი-ბრონდბიუ .................. 0:1
კოპენჰაგენი-ოდენსე ................... 1:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

აიკი-სირიანსკა ............................ 0:0
გიოტებორგი-ბრომოპოიკარნა .... 2:0
კალმარი-ჰეკენი ........................... 0:0
ჰალმშტადი-ელფსბორგი ............. 1:1

**ნორვეგია. ტიპელიგა**

სტრომგოდსეტი-სარპსბორგი ..... 1:1
ლილესტრიომი-ვიკინგი .............. 0:1
ალესუნდი-ჰონეფოსი .................. 4:3
ულფი-ჰაუგესუნდი ...................... 1:1
სონგდალი-რუსენბორგი ............. 0:4

**აშშ. მლს**

ჩიკაგო-ნიუ იორკი ...................... 3:1

**არგენტინა. პრიმერა დივიზიონი**

რასინგი-რივერ პლეიტი .............. 0:2
ოლდ ბოიზი-კოლონი ................... 1:2
ბოკა-ლანუსი ............................... 0:0

**კალათბურთი**

**ნბა. რეგულარული სეზონი**

ოკლაჰომა-ნიუ იორკი ........... 120:125
კლიპერსი-ლეიკერსი .............. 109:95
ბოსტონი-ვაშინგტონი ............. 107:96
კლივლენდი-მემფისი ................ 87:89
დეტროიტი-ჩიკაგო .................. 99:85
გოლდენ სტეიტი-იუტა ............. 90:97
პორტლენდი-დალასი ................ 91:96
ფინიქსი-ნიუ ორლეანი ............. 92:95

**ჩოგბურთი**

**ვტა. მონტერეი**

**ფინალი**

კერბერი-პავლუჩენკოვა .. 6:4;2:6;4:6

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული სეზონი**

დეტროიტი-სენტ ლუისი ............... 0:1
სან ხოსე-დალასი ................... 4:5(ოტ)
კოლამბუსი-მინესოტა ................. 0:3
ფლორიდა-ოტავა ........................ 2:1
ვაშინგტონი-ტამპა ბეი ................ 4:2
ჩოკაგო-ნეშვილი ........................ 5:3
ბუფალო-ნიუ ჯერსი ............ 2:2(1:0ბ)
ანაჰაიმი-ლოს ანჯელესი .... 3:3(0:1ბ)

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

2013, 9 აპრილი, №83

# მერკელი პუტინს მოუწოდებს, არასამთავრობოებს შანსი მისცეს



გერმანიის კანცლერმა რუსეთის ხელისუფლებას მოუწოდა შანსი მისცეს არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებსაც მერკელმა „ინოვაციების მამოძრავებელი“ უწოდა.

ეს განცხადება მერკელმა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის თანდასწრებით გააკეთა, რომელიც გერმანიაში ვიზიტით იმყოფება.

ჰანოვერში მრეწველობის საერთაშორისო გამოფენის გახსნაზე გამოსვლისას მერკელმა პუტინს მიმართა, რომ რუსეთის ეკონომიკა სიცოცხლეს ბუნებრივი რესურსების მარაგის ხარჯზე ინარჩუნებს, გერმანიის კი შეუძლია რუსეთს ეკონომიკის დივერსიფიცრებაში და ინოვაციური მეთოდების დანერგვაში დაეხმაროს.

„ჩვენ მიგვაჩნია, რომ აქ წარმატების მიღწევაში დიდი როლის შესრულება შეუძლია სამოქალაქო საზოგადოებას. გერმანიაში არასამთავრობო ორგანიზაციები ინოვაციების მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ და რუსეთშიც უნდა ჰქონდეთ მათ შესაძლებლობა ეს როლი შეასრულონ“.

„ბი-ბი-სის“ ცნობით, მარტის ბოლოს რუსეთში არასამთავრობო ორგანიზაციების მასობრივი შემოწმება დაიწყო. შემოწმება შეეხო გერმანიაში დაფუძნებული ორგანიზაციებსაც. რუსეთის ხელისფულება აღნიშნულს რუსეთის კანონმდებლობით ხსნის, რომელსაც აქატიურად უჭერს მხარს პრეზიდენტი პუტინი.

უფლებამდაცველები კი არასამთავრობო ორგანიზაციების შემოწმებას, ერთხმად აფასებენ, როგორც სამოქალაქო საზოგადოებაზე ზეწოლად. ბოლო პერიოდში ქვეყანა ამერიკის რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ დატოვა.

შეგახსენებთ, რომ პუტინისათვის უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობოები პოტენციური აგენტები არიან.

რუსეთის დუმამ უცხოელი აგენტების, ცილისწამების და საიტების „შავი სიის“ შესახებ სამი რეზონანსული პროექტი დაამტკიცა.

პუტინმა ხელი მოაწერა კანონს „არაკომერციული ორგანიზაციების შესახებ“. ამ კანონის მიხედვით კი, რუსეთის არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც ფინანსდება საზღვარგარეთიდან და მონაწილეობს პოლიტიკურ საქმიანობაში, იძენს „უცხოელი აგენტის“ სტატუსს და ხვდება მკაცრი ფინანსური და ყველა სახის საგანგებო კონტროლის ქვეშ სახელმწიფოს მხრიდან.

ნებისმიერი სახის დარღვევის შემთხვევაში ჯარიმა 300 ათასი რუბლიდან იწყება, დასჯის სახედ გამოიყენებენ ასევე 480 საათიანი იძულებითი სამუშაოა. ისეთი არაკომერციული ორგანიზაციის შექმნისას, რომელიც „მოქალაქეებს წააქეზებს სამოქალაქო მოვალეობებზე უარის თქმისკენ, ან კანონის საწინააღმდეგო ქმედებისაკენ“, 200 ათასამდე ჯარიმის გარდა, 3 წლით თავისუფლების აღკვეთასაც ითვალისწინებს;

ხოლო ისეთი რელიგიური, ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის შექმნა, რომელიც ადამიანებზე ძალადობას გულისხმობს და ზიანს აყენებს მათ ჯანმრთელობას, ითვალისწინებს ჯარიმას 300 ათას რუბლიდან 4 წლით თავისუფლების აღკვეთამდე.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

# ნინო ანანიაშვილი გედების ტბას იცეკვებს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

სახელმწიფო ქორეოგრაფიულ სასწავლებელში მიიღო. იყო სანკტ-პეტერბურგის მარიას თეატრის წამყვანი სოლისტი, უკრაინის ოპერისა და ბალეტის ნაციონალური თეატრში პრემიერი, ცეკვავდა სანკტ-პეტერბურგის მიხაილოვსკის ოპერისა და ბალეტის თეატრში, 2009 წლიდან კი მარიას თეატრის პრემიერია. მატვიენკო მიწვეული პრემიერის რანგში გამოდის იაპონიის ქალაქ ტოკიოს ახალ ნაციონალურ თეატრში, მოსკოვის დიდ თეატრში, ლა სკალასა და პარიზის ოპერის თეატრებში. მის რეპერტუარშია მთავარი პარტიები ბალეტებში „დონ კიხოტი“, „მძინარე მზეთუნახავი“, „გედების ტბა“, „ჟიზელი“, „კარმენ სიუიტა“, „სილფიდა“, „ბაიადერა“, „რომეო და ჯულიეტა“, „ამაო სიფრთხილე“, „თემა და ვარიაციები“, „უძღები შვილი“, „კონკია“, „შოპენიანა“, „მანონი“, „რაიმონდა“, „კორსარი“, „მაკნატუნა“, „სამი მუშკეტერი“, „სპარტაკი“, „ქალი კამელიებით“, „შურალე“. ის ასევე ცეკვავს თანამედროვე ქორეოგრაფების ნაჩო დუატოს, ალექსეი რატმანსკის, ჯერომ რობინსის ბალეტებში. დენის მატვიენკო არის ბალეტის მოცეკვავეთა IV საერთაშორისო კონკურსის გრან პრის, რუდოლფ ნურიევის სახელობის ბალეტის მოცეკვავეთა III საერთაშორისო კონკურსის გრან პრის, თანამედროვე და კლასიკური ქორეოგრაფიის III საერთაშორისო კონკურსის ოქროს მედლისა და ვაცლავ ნიჟინსკის პრიზის, მოსკოვის ბალეტის მოცეკვავეთა და ქორეოგრაფთა X საერთაშორისო კონკურსის გრან პრის მფლობელი.

13 აპრილს თბილისში დაგეგმილი წარმოდგენა ეძღვნება ნინო ანანიაშილის 50 წლის საიუბილეო თარიღს. ღონისძიების მხარდამჭერია თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრი. ბალეტზე დასასწრები ბილეთის ფასი კი 25-80 ლარია.

# გურამ ოდიშარია: ყველაფერს შევისწავლით!

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ტექტორები, თუმცა როგორც ცნობილი გახდა, ამ პროცესში ქართველები აუცილებლად ჩაერთვებიან.

— ყველა ქვეყანამ თავის ტერიტორიაზე არსებულ კულტურის ძეგლებს უნდა მოუაროს, მიუხედავად იმისა, თუ ვის ეკუთვნის ეს ძეგლები. ჩემი კომენტარი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ბედის სპეციფიკაზე ვერ იქნება, რადგან ეს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პრეროგატივაა. არც რაბათის ციხის კომპლექსის ირგვლივ დაკავშირებულ მოვლენებთან მაქვს პასუხი. ჩემი მიდგომა ასეთია: ორივე ქვეყანამ და საერთოდ ყველა ქვეყანამ თავის ტერიტორიაზე არსებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს უნდა მოუაროს და მათი ისტორიული ფასეულობა იმის მიუხედავად შეინარჩუნოს, თუ ვის ეკუთვნის ეს ძეგლები. ეს ეხება ქართული კულტურის ძეგლებს თურქეთის და თურქული კულტურის ძეგლებს საქართველოს ტერიტორიებზე. ასევე სხვა ქვეყნების ძეგლებს — მნიშვნელობა არ აქვს ვის ეკუთვნის ისინი. რაც ჩვენს ტერიტორიაზეა, იმას უნდა მოვუაროთ. ჩემი კომპეტენცია არ არის ის, კონკრეტულად რამეა იქ გასაკეთებელი თუ შესაცვლელი. ამაზე სპეციალისტებმა უნდა იმსჯელონ, — აღნიშნა მაია ფანჯიკიძემ.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ გაავრცელა ინფორმაცია, რომ სამინისტრო იშხანზე მიმდინარე სამუშაოების შეჩერებას ითხოვს. ამ თემაზე კულტურის სამინისტროში საგანგებო შეხვედრაც გაიმართა.

— კულტურის სამინისტრომ სპეციალური მიმართვა შეიმუშავა, რომელიც საგარეო უწყებასთან შეთანხმებით თურქულ მხარეს გადაეგზავნება. იშხანზე მიმიდინარე სამუშაოები უნდა შეჩერდეს. უახლოეს მომავალში, კულტურის სამინისტროდან გაემგზავრება დელეგაცია, რომლის შემადგენლობაშიც იქნებიან როგორც სამინისტროს, ისე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები და ჟურნალისტები. დავათვალიერებთ ჯერ იშხანს და შემდეგ ოშკსაც, რომელიც შორს არ მდებარეობს, — განაცხადა კულტურის მინისტრმა.

გურამ ოდიშარია ამ საკითხზე თურქეთის ელჩთან შეხვედრასაც აპირებს. იშხანზე მიმდინარე დასუფთავების სამუშაოებს საგანგაშოდ მიიჩნევს კულტურული მემკვიდრეობი დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი მერაბ ბოჭოიძეც.

— გაწმენდით პროცესს არქეოლოგი არ ესწრება, რაც მეთოდოლოგიური შეცდომების დაშვებისა და ისტორიული კვალის დაკარგვის საფრთხეს ქმნის, — განმარტა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა.

კულტურის მინისტრის გურამ ოდიშარიას თქმით:

— მე ვიცი, რომ პრეზიდენტი თურქეთში იმყოფება. შევსწავლით, სხვა რა საკითხებზე ისაუბრა პრეზიდენტმა, რადგან არა მგონია, მხოლოდ რაბათის გუმბათის ფერზე იყო საუბარი. ალბათ, სხვა საკითხებიც იყო. რაბათის გუმბათთან დაკავშირებით კომპლექსური პრობლემაა. იქ არის ცხაურები და სხვა ბევრი რამ, რაზედაც გვქონდა მსჯელობა, რაბათის საკითხი კომპლექსური პრობლემაა, რაზეც სპეციალისტები მუშაობენ, — განაცხადა გურამ ოდიშარიამ ბათუმში, ხელოვნების ცენტრში ვიზიტისას.

გურამ ოდიშარიამ აჭარის რეგიონში ვიზიტი სამი დღის განმავლობაში დაგეგმა. მასთან ერთად აჭარაში იმყოფებიან მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი, მოადგილე ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკი და მინისტრის მრჩეველი გიორგი გეგეჭკორი. ვიზიტის ფარგლებში დაიგეგმა მინისტრისა და მოადგილეების ბათუმის ხელოვნების ცენტრში მისვლა და დასწრება პრემიერაზე, სადაც წარმოდგენილია გაეტანო დონიცეტის ოპერა „ლუჩია დი ლამერმური“. მინისტრის მოადგილე ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკი და მინისტრის მრჩეველი გიორგი გეგეჭკორი დაესწრნენ ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის მუსიკალური სკოლის თერთმეტწლედის მოსწავლეების, ბათუმის რევაზ ლაღიძის სახელობის სამუსიკო სკოლის მოსწავლეების და მელიტონ ბალანჩივაძის სახელოვნებო სამუსიკო სკოლის მოსწავლეების საანგარიშო კონცერტებს. ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის მუსიკალური სკოლა თერთმეტწლედის დიდ დარბაზში, ბათუმისა და ხელვაჩაურის სამუსიკო სკოლების მოსწავლეებისათვის ტრიომ „სემპრე“ — ლელა მჭედლიძე (ვიოლინო), თამარ ლიჩელი — (ფორტეპიანო), ჰაიკ ბაბაიანი (ვიოლონჩელო), გამართეს კონცერტი და ჩაატარეს მასტერკლასი. დელეგაციის ვიზიტი დასრულდება 9 აპრილს. ტრიო „სემპრე“ გამართავს კონცერტს და ჩაატარებს მასტერკლასს ქობულეთის რაიონის, ოთარ თაქთაქიშვილის სახელობის სახელოვნებო სამუსიკო სკოლის მოსწავლეებისათვის.

გურამ ოდიშარია ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ორგანიზებითა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, გამართულ ნიუ-იორკის „ბათური დენს კომპანის“ მიერ მომზადებული წარმოდგენა „დენსინგ თუ ქონექთ“ — „ცეკვა აკავშირებს“. პროექტში ამერიკელ არტისტებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის მოსწავლეები, საზოგადოება „ბილიკის“ დღის ცენტრების, სამოქალაქო კლუბების მოზარდები და ამავე ორგანიზაციის მოხალისეები, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ქორეოგრაფიული მიმართულების მესამე კურსის სტუდენტები, ქართული ნაციონალური ბალეტი „სუხიშვილები“ და ჯგუფი „ბუთა“ მარნეულიდან.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია, მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი და მინისტრის მოადგილეები.

— „ბათერი დენს კომპანი“ 1976 წელს დაარსდა. მას მერე დასმა 40-ზე მეტ ქვეყანაში 100-ზე მეტი ცეკვა გააცოცხლა. საკუთარი პროექტის „ცეკვა აკავშირებს“ ფარგლებში, უხელმძღვანელა 200 ათასზე მეტ ახალგაზრდას. ის უკვე 30 წელია რაც სპეციალურ ფესტივალს ნიუ-იორკში მასპინძლობს. „ცეკვა აკავშირებს“ არის ინიციატივა, რომელიც ნიუ-იორკში ამ კომპანიის მიერ შეიქმნა და ჩამოყალიბდა. იგი საშუალებას აძლევს მსურველებს, ხელოვნების მეშვეობით, ჩაერთონ კრეატიულ საქმიანობაში. ნებისმიერ ახალგაზრდას აქვს საშუალება, მონაწილეობა მიიღოს ხსენებულ პროექტში, რომელსაც ამ კომპანიის პედაგოგები ხელმღვანელობენ, მსოფლიო დონის მსახიობები ქმნიან და დგამენ წარმოდგენებს, — აღნიშნულია კულტურის სამინისტროს განცხადებაში.

კულტურის მინისტრი ასევე დაესწრო საქართველოს მოსწავლე ახალგაზრობის ეროვნულ სასახლეში გამართულ ლევან თაქთაქიშვილის კერძო კოლექციის გამოფენას, სადაც წარმოდგენილი იყო 300 წლის (1712-2012) მანძილზე გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდური ეგზემპლარები. გამოფენას გურამ ოდიშარიასთან ერთად ესწრებოდნენ მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი, მინისტრის მოადგილეები მანანა ბერიკაშვილი, ალექსანდრე მარგიშვილი, ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკი და მინისტრის მრჩეველი გოგი გეგეჭკორი. საგამოფენო სივრცეს აფორმებდა მხატვარ ქეთი მატაბელის „ვეფხისტყაოსნის“ თემაზე შექმნილი ილუსტრაციები. ღონისძიებაში ქორეოგრაფიული ანსამბლები „შევარდენი“ და „ლაშქარი“ მონაწილეობდნენ.

# დინამომ ოლიმპს ლიდერობა აჩუქა

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ლავამ და ავთანდილ ელიაშვილმა შესძინეს, ხოლო გიორგი ნანიტაშვილის ანგარიშზე 11 ქულა დაგროვდა. არმიის მხრიდან 13 ქულა გიორგი გამყრელიძემ მიითვალა, 12 ქულა ზვიად ბაბიშვილმა დააგროვა, ხოლო 11-11 ქულა ბესიკ ლეჟავასა და ვახტანგ მინაშვილის ანგარიშზეა. მინაშვილმა 11 ქულასთან ერთად 10 მოხსნაც მიითვალა და ორმაგი დუბლის ავტორი გახდა.

*მიხეილ კობეშავიძე (ბათუმი):*

— ვულოცავ მოწინააღმდეგე გუნდს გამარჯვებას, არმია ძლიერი კალათბურთლებით დაკომპლექტებული გუნდია, კლასში სხვაობა ძალიან დიდია და ეს მარცხის ძირითადი მიზეზია. რეგულარული სეზონის ბოლო მატჩი რუსთავთან გველის, სადაც, რა თქმა უნდა, როგორც ყოველთვის, ბოლომდე ვიბრძოლებთ.

*კოტე ტუღუში (არმია):*

— რეგულარული სეზონი დასასრულს უახლოვდება და ყველა გუნდი ცდილობს დარჩენილი შეხვედრები მაქსიმალურად გამოიყენოს პლეიოფისთვის. „ბათუმს“ ახალგაზრდა და პერსპექტიული კალათბურთელები ჰყავს, რომლებმაც დღეს წინააღმდეგობა გაგვიწიეს, თუმცა საბოლოოდ გამარჯვება ჩვენ მოვიპოვეთ. ბოლო ტურში „ოლიმპს“ ვეთამაშებით და ამდენი წაგების შემდეგ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ეს გამარჯვება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მომავალ მატჩს ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან გაირკვევა ჩვენი საბოლოო ადგილი სატურნირო ცხრილში. ჩვენი მიზანი, რა თქმა უნდა, კვლავინდებურად გამარჯვება იქნება.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.ოლიმპი | 19 | 16 | 31693:1362 | 35 |
| 2.შსს | 19 | 16 | 31551:1268 | 35 |
| 3.არმია | 19 | 14 | 51688:1281 | 33 |
| 4.რუსთავი | 19 | 13 | 61627:1408 | 32 |
| 5.დინამო | 18 | 12 | 61410:1336 | 30 |
| 6.ქუთაისი | 19 | 11 | 81506:1375 | 30 |
| 7.სოხუმი | 18 | 8 | 101415:1462 | 26 |
| 8.თსუ | 20 | 6 | 141392:1601 | 26 |
| 9.ბათუმი | 19 | 5 | 141318:1561 | 24 |
| 10.თსსუ | 19 | 2 | 171236:1725 | 21 |
| 11.სტუ | 19 | 1 | 181254:1711 | 20 |

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ტყუპი ცხოველის ძველი ქართული სახელწოდება; 2. ქალის როლების შემსრულებელი მამაკაცი მსახიობი იაპონურ თეატრში; 3. ძაფზე ასხმული სამკაული; 4. გუთნის ძველი ქართული სახელწოდება; 5. ნიკო ფიროსმანის ფერწერული ტილო; 10. უბანი თბილისში; 11. წმინდანად შერაცხული ქართველი ისტორიკოსი, არქეოლოგი; 12. დამუშავებული გეგმა; 15. იტალიური საკონდიტრო; 16. მდინარე ზუგდიდში; 17. მეომრის ლითონის თავსაბურველი; 20. წამლის გამოშვების ერთ-ერთი ფორმა.

**თარაზულად:** 6. ქართველი კალათბურთელი ოლიმპიური ჩემპიონი; 7. ჭაობში მზარდი მწერიჭამია მცენარე; 8. შტატი აშშ-ში; 9. აეროპორტი მილანში; 13. ქართული სპორტული გაზეთი; 14. ამერიკული ჯიპი; 18. შამპანურის შემქმნელად მიჩნეული ბენედიქტელი ბერი; 19. ლეონკავალოს ოპერა „ჯამბაზების“ პერსონაჟი; 21. მბრუნავშამფურებიანი ელექტროღუმელი; 22. მეცნიერების ერთ-ერთი დარგი; 23. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 24. მძიმე ტვირთების გადასატანი მისაბმელიანი ავტომობილი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 5. კარაკასი; 6. კამერტონი; 9. პანელი; 10. სეანსი; 11. ნარდი; 13. პატრი; 15. პალაცო; 18. კიქსი; 21. პერსონალი; 22. ოტომანი; 23. კიუმელი.

**შვეულად:** 1. მაკიაჟი; 2. ვირუსი; 3. ემულსინი; 4. პინგვინი; 7. მიკროფონი; 8. კრამბოლი; 12. თანატოსი; 14. ნაპოლეონ; 16. მინდორი; 17. ნეფრიტი; 19. სარი; 20. ამია.

### სკანვორდის პასუხები:

1. იო; 2. კლოდ; 3. კრამიტი; 4. რკო; 5. თოკი; 6. აიდა; 7. ია; 8. მის; 9. რიყე; 10. ცვილი; 11. ასლი; 12. თამადა; 13. ლა; 14. ექო; 15. კელნი; 16. სე; 17. ივრითი; 18. ფარვანა; 19. მა; 20. სინდისი; 21. სადაფი; 22. დღე; 23. აპოსტერიორი; 24. კადენცია; 25. პარდონ; 26. მოპრა; 27. კაცი; 28. კარმა; 29. ანონა; 30. კამა; 31. ასპარეზი; 32. რო; 33. აბზაცი; 34. ქალამანი.

**სურათებზე:** სკარლეტ იოჰანსონი; ჩარლი ადამი

# 87 წლის ასაკში მარგარეტ ტეტჩერი გარდაიცვალა



87 წლის ასაკში, ინსულტის შედეგად, დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ბარონესა მარგარეტ ჰილდა ტეტჩერი გარდაიცვალა. ამის შესახებ უცხოური მედია იტყობინება.

ტეტჩერის პრესმდივნის ლორდ ბელის ინფორმაციით, „რკინის ლედის" გარდაცვალების შესახებ მისმა შვილებმა მარკ და კაროლ ტეტჩერებმა განაცხადეს.

მარგარეტ ტეტჩერი დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი 1979-1990 წლებში იყო. მისი პრემიერობა ყველაზე ხანგრძლივი იყო მე-20 საუკუნეში. გადადგომის შემდეგ მან დაწერა წიგნი – „სახელმწიფოს მართვის ხელოვნება".

1992 წელს ივნისში მას ბარონესას ტიტული მიანიჭეს.

მარგარეტ ტეტჩერმა დაამთავრა ოქსფორდის უნივერსიტეტი 1950 წელს. ის გახდა უნივერსიტეტის კონსერვატიული პარტიის ასოციაციის პირველი ქალი-თავმჯდომარე. 1951 წელს ცოლად გაჰყვა მეწარმე დენის ტეტჩერს. 1954 წელს ადვოკატის მოწმობა მიიღო. 1959 წელს აირჩა თემთა პალატის დეპუტატად. 1961-64 წელს მსახურობდა საპენსიო და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს საპარლამენტო მდივნად. 1970-74 წლებში განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ჰიტის კაბინეტში. 1975 წლიდან კონსერვატიული პარტიის ლიდერი.

1979 წელს პრემიერ-მინისტრი გახდა. ამ პოსტზე მან ბრიტანეთის ეკონომიკისა და მთლიანად საზოგადოების ძირფესვიანი რეფორმები გაატარა. მიუხედავად მრავალი მწვავე კრიტიკისა, არჩეული კურსის გადაუხრელად გატარების გამო „რკინის ლედი" შეარქვეს. მისი პოლიტიკა და ეკონომიკური იდეოლოგია შემდგომში ცნობილი გახდა, როგორც ტეტჩერიზმი. 1990 წელს დატოვა პარტიის ლიდერის და შესაბამისად პრემიერ-მინისტრის პოსტი.

# სამგლოვიარო განცხადებები



გურამ მებუკე ოჯახით – ეთერ, მანანა, მაიკო, ვახტანგ, ნინო, გუგა, ელენე – ღრმა მწუხარებით და გულისტკივილით იუწყება, რომ გარდაიცვალა ოჯახის სიძე და მეგობარი, საქართველოს საზოგადოების ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, მეცნიერი, ხალხთა მეგობრობის მუზეუმის დირექტორი, რაიკომის მდივანი და აღმასკომის თავმჯდომარე, მინისტრი, კაცი კაცური

**თეიმურაზ (თემო) ბადურაშვილი**

თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს – მეუღლეს, ქალბატონ ლალის, შვილებს გიასა და ერეკლეს, შვილიშვილს ნინი ბადურაშვილს.

ღმერთმა ნათელში გამყოფოს, ჩვენო ძვირფასო ვაჟკაცო!

პანაშვიდი: 9, 10 აპრილს.

დაკრძალვა: 11 აპრილს, 15 საათზე.

მისამართი: საბურთალო, დოლიძის ქუჩა №8, II სადარბაზო.



შვილები გიგა და ქეთი ჭოლოკავები, შვილიშვილები ნანუკა გოგოხია, ანი და ირაკლი ჭოლოკავები, ძმები გია და გოჩა ცაგურიები, რძლები მარინა ნაროუშვილი და თამარ შარაშიძე, მული ინეზა ჭოლოკავა ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გიული ცაგურია**

პანაშვიდი: 9, 10 აპრილს, 17 საათზე.

დაკრძალვა: 11 აპრილს, 15 საათზე.

მისამართი: ი.ნიკოლაძის 2/4, I სადარბაზო, III სართული.

გარდაიცვალა

**გიორგი (გივი) ლაზარაშვილი**

ქალბატონო ლენა, ჩემო თამაზ და კახა, ვანო პაპა და გულიკო, უდიდეს ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ ჩემი იგივე ძმის, ჩემი ძუძუმტეს, უღალატო კაცის, კარგი მეუღლის, კარგი შვილების გამზრდელის, კარგი პაპის, კეთილი კაცური კაცის გარდაცვალების გამო. 27 მარტს შენი უკანასკნელი დაბადების დღეა, ჩვენ ხომ 68 წელი გავატარეთ ერთად.

აქაც კარგი კაცი იყავ, იქ ნათელი დაგადგესა.

*ვახტანგ ზურაბიშვილი*

შვილები კახა, იზოლდა და ლიანა, რძალი ლიკა ჯანაშვილი, შვილიშვილები აკაკი და ლაშა გობრონიძეები, გიო ხომასურიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**აკაკი გრიგოლის ძე გობრონიძე**

პანაშვიდი: 10 აპრილს, 17 საათზე.

დაკრძალვა: 11 აპრილს, 14 საათზე.

პანაშვიდი და გამოსვენება ფურცელაძის ქუჩაზე მდებარე პატარა სამების ეკლესიიდან.

მამიდაშვილი თემურ ბერიშვილი, მამიდაშვილის შვილი ირაკლი სასანია ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ქუქუნა გოგორიშვილი**

დაკრძალვა: 9 აპრილს, 14 საათზე.

მისამართი: თბილისი, პეკინის ქუჩა II კვარტალი, VIII კორპუსი, III სადარბაზო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ვლადიმერ პუტინი: „ატომური მუქარის რეალიზაციის შემთხვევაში, ჩერნობილი საბავშვო ზღაპრად მოგვეჩვენება"



რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის განცხადებით, მოსკოვს აშფოთებს კორეის ნახევარკუნძულზე კონფლიქტის ესკალაციის შესაძლებლობა, რადგან „ატომური მუქარის რეალიზაციის შემთხვევაში სიტუაცია გაცილებით უარესი იქნება, ვიდრე ჩერნობილში".

„ჩვენ მეზობლები ვართ. ამიტომ, ღმერთმა არ ქნას, თუ რამე მოხდა, ჩერნობილი, რომლის შესახებაც ყველამ კარგად ვიცით, შეიძლება, მხოლოდ საბავშვო ზღაპრად მოგვეჩვენოს", – განაცხადა პუტინმა გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელთან შეხვედრის შემდეგ.

მან ასევე დადებითად შეაფასა აშშ-ის გადაწყვეტილება ბალისტიკური რაკეტის გამოცდის გადადების თაობაზე და აღნიშნა, რომ „ამისთვის აშშ-ის ხელმძღვანელობას ყველამ მადლობა უნდა გადავუხადოთ".

ამასთან, ვლადიმერ პუტინმა იმედი გამოთქვა, რომ ვაშინგტონის ეს ნაბიჯი სათანადოდ იქნება აღქმული და დაფასებული ჩრდილოეთ კორეაში.

სამხრეთ კორეის ოფიციალური პირების განცხადებით კი, შესაძლოა ჩრდილოეთ კორეა მორიგი ბირთვული ცდის ჩასატარებლად ემზადებოდეს. აღნიშნულთან დაკავშირებით ადგილობრივ მედიაზე დაყრდნობით ინფორმაციას „ბიბისი" ავრცელებს.

სამხრეთ კორეის გაერთიანების მინისტრმა რიო კილჯაესმა დეპუტატებთან შეხვედრისას, აღნიშნა, რომ ჩრდილოეთით შეინიშნება „ნიშნები", რომელიც ძალიან გავს 12 თებერვალს ჩატარებული მესამე ბირთვული ცდის წინამოსამზადებელ ეტაპს.

მინისტრის განცხადებით ჩრდილოეთ კორეამ მორიგი ბირთვული ცდა შესაძლოა 10 აპრილს განახორციელოს.

შეგახსენებთ, რომ ჩრდილოეთ კორეამ, სამხრეთ კორეასა და ამერიკასთან ურთიერთობის დაძაბვის შემდეგ, მის ტერიტორიაზე არსებულ სხვადასხვა სახელმწიფოების დიპლომატიურ კორპუს ქვეყნის დატოვება შესთავაზა. ხოლო აშშ-მ, ჩრდილოეთ კორეასთან ურთიერთობებში არსებული დაძაბულობიდან გამომდინარე, უახლოეს დღეებში კალიფორნიაში არსებულ ბაზაზე განსახორციელებელი საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების გამოცდა გადადო.

პენტაგონის ოფიციალური განცხადებით, აღნიშნული სამხედრო გამოცდის ჩატარებას შესაძლოა მოჰყოლოდა ჩრდილოეთ კორეასთან ურთიერთობის კიდევ უფრო დაძაბვა. აქედან გამომდინარე აღნიშნული გამოცდა გადაიდო, რომელიც სავარაუდოდ მაისში გაიმართება.

სიტუაცია ჩრდილოეთ კორეასა და აშშ-ს შორის მარტში დაიძაბა, რასაც კორეის მხრიდან ბირთვული იარაღის გამოყენების მუქარაც მოჰყვა.

# ნობელის პრემიის ლაურეატ პაბლო ნერუდას გვამს ეგზჰუმაცია ჩაუტარდება



ჩილეში პრემიის ლაურეანტ პოეტ პაბლო ნერუდას გვამს, რომელიც 1973 წელს 69 წლის ასაკში გარდაიცვალა, სასამართლო ექსპერტიზა ეგზჰუმაციას ჩაუტარებს.

ჩილეს ხელისუფლების გადაწყვეტილებით ეგზჰუმაციის მიზანია, გარდაცვალების ზუსტი მიზეზის დადგენა. პოეტის ოჯახი მიიჩნევს, რომ იგი პროსტატის კიბოს შედეგად გარდაიცვალა, თუმცა 2011 წელს პაბლო ნერუდას მძღოლისა და პირადი ასისტენტის ბრალდებების გამოძიებისას გაირკვა, რომ შესაძლებელია ის მოეწამლათ.

პაბლო ნერუდა, კომუნისტური პარტიის წევრი იყო და მისი აქტიური მხარდაჭერით ქვეყნიდან ჩილეს პრეზიდენტი სალვადორ ალენდე გააძევეს.

რიკარდო ელისერ ნეფტალი რეიეს ბასოალტო (ცნობილია ფსევდონიმით პაბლო ნერუდა), ჩილელი პოეტი, დიპლომატი, სენატორი და ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში. მისი სახელი ეწოდა კრატერს პლანეტა მერკურზე.

დაიბადა ცენტრალური ჩილეს პატარა ქალაქ პარალში, რკინიგზელისა და პედაგოგის ოჯახში. დედა ადრევე გარდაეცვალა ტუბერკულოზით. ლექსების წერა 10 წლის ასაკში დაიწყო. პირველი ლექსები გამოაქვეყნა 1920 წელს. 1927-1932 წლებში დიპლომატიურ სამსახურში იყო მიანმარში, შრი-ლანკაში, სინგაპურში, ინდონეზიაში. 1933 წელს კონსულად დანიშნეს არგენტინაში. 1934 წლიდან კი კონსულია ბარსელონაში.

1936 წელს დაწყებულ ესპანეთის სამოქალაქო ომში, როგორც ყველა კულტურის წარმომადგენელი, თანაუგრძნობდა რესპუბლიკელებს.

1939-1943 წლებში კონსულია მექსიკაში. 1943 წელს დაბრუნდა ჩილეში და შეუდგა აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას. 1945 წელს აირჩიეს ჩილეს სენატის წევრად, სადაც წარმოადგენდა ჩრდილოეთის რეგიონებს ანტოფაგასტას და ტარაპაკას. ამავე წლის 15 ივლისს გახდა კომუნისტური პარტიის წევრი. ამავე წელს მიიღო ეროვნული ლიტერატურული პრემია.

1948 წლის 6 იანვარს პაბლო ნერუდამ სენატის სხდომაზე ჩილეს პრეზიდენტს გაბრიელ გონსალეს ვიდელას საჯაროდ უწოდა ამერიკის მარიონეტი, რის გამოც მას ჩამოართვეს დეპუტატის მანდატი და იძულებული იყო გადასულიყო არალეგალური ცხოვრების წესზე. 1949-1953 წლებში ემიგრაციაშია ჯერ არგენტინაში შემდეგ საფრანგეთში. 1970-1972 წწ. სალვადორ ალიენდეს მთავრობის ელჩია საფრანგეთში.

1971 წელს მიიღო ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში. 1972 წელს მძიმედ ავადმყოფი პაბლო ნერუდა დაბრუნდა ჩილეში. 1973 წლის 11 სექტემბრის გადატრიალების შემდეგ, სანტიაგოში მდებარე მისი სახლი გაძარცვეს. თავად მწერალი კი გარდაიცვალა კლინიკაში გადატრიალებიდან 12 დღეში. ნერუდას დაკრძალვა გახდა პირველი მასობრივი დემონსტრაცია, აუგუსტო პინოჩეტის რეჟიმის წინააღმდეგ მიმართული.

# ეგვიპტეში ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის მომხდარ შეტაკებას ერთი ადამიანი ემსხვერპლა



ეგვიპტის დედაქალაქ კაიროში, მთავარ საკათედრო ტაძართან ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის მომხდარ შეტაკებას ერთი ადამიანი ემსხვერპლა, ხოლო 80-მდე კი დაშავდა. ამის შესახებ ინფორმაციას „ბიბისი" ავრცელებს.

გავრცელებული ინფორმაციით, წმ. მარკის ტაძართან შეტაკება, ოთხი ქრისტიანი კოპტის დაკრძალვას მოჰყვა. მუსლიმთა განცხადებით, დაპირისპირებამდე ქრისტიანები „მუსლიმთა საძმოსა" და ეგვიპტის პრეზიდენტ მოჰამედ მურსის საწინააღმდეგო ლოზუნგებს სკანდირებდნენ, რამაც მათი აღშფოთება გამოიწვია.

ქრისტიანებისა და მუსლიმების შეტაკება, ადგილობრივმა პოლიციამ ცრემლსადენი გაზის მეშვეობით დაშალა.

ქვეყნის პრეზიდენტმა მოჰამედ მურსიმ ეგვიპტელი კოპტების სულიერ ლიდერს დაურეკა და ქრისტიანებზე თავდასხმა დაგმო: „მე ეკლესიაზე ნებისმიერ თავდასხმას, ჩემს თავზე თავდასხმად მივიჩნევ",- აღნიშნა პრეზიდენტმა.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

# TV პროგრამა

**სამშაბათი 9 აპრილი**

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.20 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ (პ/ე) 15.00 ტ/სერ „როსელა„ 17.00 დ/ფ „თანამედროვე იარაღი„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „დავქორწინდეთ„ 21.00 ტ/სერ „როსელა„ 22.00 დ/ფ „ფეხბურთის მეამბოხენი„ 22.40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. განმეორებითი მეოთხედფინალი: (პ/რ) შესვენებისას: „ვიქტორინა„ 00.30 მხ/ფ „და ყველაფერი განათდა„ 02.40 ტ/სერ „ნაფიცი მსაჯულები„ (ტიტ.)

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 დ/ფ „ფერების სამყარო„ I ნაწ. 14.00 დ/ფ „ღრუბელი სამყაროს თავზე„ 16.00 დ/ფ „ფერების სამყარო„ 2 ნაწ. 19.00 ტ/სერ „საიდუმლო გამოძიებანი„ 11 სერ. 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „დაუვიწყარი„ 5 სერ. 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 13.00 სერ. „24 – 6„ 14.40 დოკ/ფ „9 აპრილი„ 15.00 დოკ/ფ 16.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „აკრძალული სიყვარული„ 1 სერ. 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 ახალი საბავშვო ხმა 00.15 ქ.მხ/ფ„კიდევ ერთი ქართული ისტორია„ 01.55 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 ვანოს შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ „ერთგულების ძალა„ 20.50 ეროვნული ლატარეა 22.40 ჩემპიონთა ლიგა. 00.50 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 სპექტაკლი „ბამბაზიის სამოთხე„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.45 ქრისტიანული სწავლება 11.00 „9 აპრილი„ (თ. გამყრელიძის გამოსვლა) 10.20 საღვთისმეტყველო საუბრები 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ „ნინო„ 13.35 კონცერტი - ჯემალ სეფაშვილი I ნაწ. 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 16.00 საღვთისმსახურო წელიწადი 16.20 მხ/ფ „დღე უკანასკნელი,დღე პირველი„ 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 დოკ/ფ „ჩემი ქვეყანა„ 19.30 დროის ჩანაწერები 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ჩვენი ფონდი 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ „საქართველოს ისტორია„ 23.50 ფოტოგალერეა 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 ერთსულოვნების სალონი 01.40 კარაბადინი

მაესტრო 7.00, 5.35, 6.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 5.55, 6.35 უცხოეთის ამბები 7.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55 უკომენტაროდ+ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 0.00 ახალი ამბები 8.10, 9.10, 10.15 მაღვიძარა(დილის პროგრამა) 11.30, 22.00, 0.55 ყოველდღიური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.15, 14.15, 4.00 თავისუფალი დრო (შუადღის პროგრამა) 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.10 მაესტროს პრესკლუბი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 0.30 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 19.30, 1.20 თოქ-შოუ - „არგუმენტები„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.20, 2.30 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი„

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

9 აპრილი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6514 |
| ევრო | 2,1339 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,5143 |
| 100 რუსული რუბლი | 5,2225 |

**ამინდის პროგნოზი 9 აპრილისთვის**




## „ვიკილიქსმა“ აშშ-ის დაზვერვისა და დიპლომატიური სამსახურის 1,7 მილიონზე მეტი დოკუმენტი გამოაქვეყნა




„ვიკილიქსმა“ აშშ-ის დაზვერვისა და დიპლომატიური სამსახურის 1,7 მილიონზე მეტი დოკუმენტი გამოაქვეყნა. გამოქვეყნებული დოკუმენტები 1973-76 წლების პერიოდს ეხება.

გავრცელებული ინფორმაციით, „ვიკილიქსის“ მფლობელმა ჯულიან ასანჯიმ, რომელიც ლონდონში ეკვადორის საელჩოს აფარებს თავს, დოკუმენტების მოძიების სამუშაოების მნიშვნელოვანი ნაწილი თავად შეასრულა.

გამოქვეყნებული დოკუმენტების მნიშვნელოვანი ნაწილი გაგზავნილია, იმ პერიოდში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, ჰენრი კისინჯერისადმი. დოკუმენტების უმეტესობას ადევს გრიფი „არ გამოქვეყნდეს“, ზოგიერთი მათგანი კი თავის დროზე საიდუმლო დოკუმენტს წარმოადგენდა.

„ვიკილიქსზე“ გამოქვეყნებულ დოკუმენტებს აქვს სათაური „აშშ-ის დიპლომატიის საჯარო ბიბლიოთეკა“. გასული წლის დეკემბერში ასანჯმა განაცხადა, რომ მას ვერ შეაშინებენ და იგი უახლოეს პერიოდში მილიონამდე მნიშვნელოვან დოკუმენტს გამოაქვეყნებს, რომელიც მსოფლიოს ყველა ქვეყანას ეხება.

„ვიკილიქსის“ დამფუძნებელმა გასულ წელს ეკვადორს პოლიტიკური თავშესაფარი სთხოვა, რათა თავიოდან აეცილებინა შვეიცარიაში ექსტრადაცია. შვეიცარია ასანჯის სექსუალურ დანაშაულში დებს ბრალს, რასაც „ვიკილიქსის“ დამფუძნებელი უარყოფს.

ასანჯი შიშობს, რომ მას შვეიცარიდან აშშ-ს გადასცემენ, სადაც საიდუმლო დოკუმენტების გამოქვეყნების ბრალდებით მას დიდი ხნით ჩასვამენ ციხეში.

„ვიკილიქსი“ საერთაშორისო არაკომერციული ორგანიზაციაა, რომელიც აქვეყნებს ანონიმური წყაროებიდან მოპოვებულ, ჩვეულებრივ ხელმიუწვდომელ დოკუმენტებს. მისმა ვებ-გვერდმა ფუნქციონირება დაიწყო 2006 წელს და ეკუთვნის „სანშაინ პრესს“. ამოქმედებიდან ერთ წელიწადში გვერდის მონაცემთა ბაზა შეიცავდა 1.2 მილიონ დოკუმენტს.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

## ალექსანდრე ჩივაძე იუბილარია



**საქართველოს ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს, საბჭოთა კავშირის და თბილისის „დინამოს" ექსკაპიტანს, საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილ მთავარ მწვრთნელს ალექსანდრე ჩივაძეს გუშინ 58 წელი შეუსრულდა. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო ულოცავს ბატონ ალექსანდრეს დაბადების დღეს!**

მან მთელი კარიერა თბილისის „დინამოში“ გაატარა: დედაქალაქური კლუბის ღირსებას 1974-1987 წლებში იცავდა. 1980-1987 წლებში იყო საბჭოთა კავშირის ნაკრების ფეხბურთელი, წლების მანძილზე კი გუნდის კაპიტანი.

„დინამოსთან“ ერთად ჩივაძემ 1978 წელს სსრკ-ს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, 1976, 1979 წლებში ქვეყნის თასს დაეუფლა, 1981 წელს კი თასების მფლობელთა თასი აღმართა. იყო პირველობის ვერცხლის და ბრინჯაოსმედალოსანი. 1980 წელს ალექსანდრე ჩივაძე წლის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს.

საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში მონაწილეობდა მსოფლიოს 1982 და 1986 წლების ჩემპიონატებში, 1980 წელს ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედალი მოიგო და ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის გამარჯვებული გახდა.

სადღეისოდ, ალექსანდრე ჩივაძე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელია.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

## ახალგაზრდა მუსიკოსები გერმანიაში გასტროლს გამართავენ

ეკა ირემაშვილი



ახალგაზრდა ქართველი მუსიკოსები გერმანიაში გასტროლს გამართავენ. გერმანიაში უკვე მეხუთე წელიწადია ფუნქციონირებს საზოგადოებრივი ორგანიზაციის ეგიდით მოზარდთა მუსიკალური განათლების განვითარების, კულტურის სფეროში თანამშრომლობისა და ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამების მხარდამჭერი საერთაშორისო პროექტი „კამერტონი“.

პროექტის მიზანია განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული მოზარდებისა და ახალგაზრდების ხელშეწყობა და მხარდაჭერა, ახალგაზრდა კლასიკური მუსიკოსების საერთაშორისო კარიერის ჩამოყალიბება, მასტერკლასებისა და საკონცერტო გამოსვლების ორგანიზება, სხვადასხვა ქვეყნების ახალგაზრდა მუსიკოსების შემოქმედებითი ურთიერთობების დამყარება და განვითარება.

„კამერტონის“ ერთ-ერთი პრიორიტეტია სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენელ მოზარდთა გასტროლების მოწყობა და გერმანელ თანატოლებთან ერთობლივი კონცერტების ჩართვა გერმანიის ქალაქებში და ვინაიდან, პროექტი გაცვლითი ხასიათისაა, მსგავსი კონცერტების გამართვა გერმანიაში სტუმრად მყოფი ახალგაზრდების სამშობლოში.

„კამერტონის“ ხელმძღვანელია ცნობილი გერმანელი საზოგადო მოღვაწე ქალბატონი ლიუდმილა ფონ ბერგი. პროექტის მხარდამჭერები არიან გოეთეს ინსტიტუტი, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო და ბერლინის სენატი.

„კამერტონის“ პარტნიორი ქვეყნების რიგს 2011 წელს საქართველოც შეემატა. პროექტში საქართველოს წარმომადგენელი და მუსიკალური ხელმძღვანელია პიანისტი კირა ლელაშვილი. შარშან, საქართველოში უკვე მესამე ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში ლიუდმილა ფონ ბერგი რამდენიმე დღის მანძილზე ეცნობოდა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მუსიკალური სკოლისა და სასწავლებლის აღსაზრდელთა შემოქმედებას. ახალი თაობის მუსიკოსთა შთამბეჭდავმა პროფესიულმა დონემ სტუმრის მაღალი შეფასება ამჯერადაც დაიმსახურა.

რამდენიმე ათეული მოზარდი მუსიკოსიდან შეირჩა ექვსი, ვინც 19-28 აპრილს გერმანიის ექვს ქალაქში გამართავს კონცერტებს – ევგენი მიქელაძის სახელობის ცენტრალური სასწავლებლის აღსაზრდელები სალომე ჟორდანია (ფორტეპიანო), გიორგი ოიკაშვილი (კლარნეტი), ინალ ჯიოევი (ჰობოი) და ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სამუსიკო სემინარიის მოსწავლეები ირმა გიგანი (ფორ-

გაგრძელება მე-7 გვერდზე

## ნინო ანანიაშვილი გედების ტბას იცეკვებს




ეკა ირემაშვილი

**13 აპრილს თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში ქართველი პრიმა ბალერინა კიდევ ერთხელ აღებრუნდება ჩაიკოვსკის უკვდავ ბალეტს „გედების ტბა" და მასში იცეკვებს. დიდ საკონცერტო დარბაზში ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასი „გედების ტბას" წარმოადგენს, რომელშიც მსოფლიო ბალეტის ვარსკვლავები ნინო ანანიაშვილი და დენის მატვიენკო მიიღებენ მონაწილეობას.**

– დენის მატვიენკოსა და ნინო ანანიაშვილის შემოქმედებითი ურთიერთობა 2012 წელს დაიწყო. დენის მატვიენკო მონაწილეობდა ნინო ანანიაშვილის სასცენო მოღვაწეობის 30 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო გალა-კონცერტში, პრიმა-ბალერინასთან და ვასილ ახმეტელთან ერთად მან იცეკვა პა დე ტრუა ადოლფ ადანის ბალეტიდან „კორსარი“. ამავე წლის ივლისში დენის მატვიენკო მონაწილეობდა საქართველოს სახელმწიფო ბალეტის გასტროლში იაპონიაში, სადაც იცეკვა პეტრე ჩაიკოვსკის „გედების ტბა“ ნინო ანანიშვილთან ერთად. 2013 წლის მარტში დენის მატვიენკომ პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილი მიიწვია კიევში, სადაც ერთად შეასრულეს მთავარი პარტიები „ბაიადერაში“, – ნათქვამია მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის ოფიციალურ განცხადებაში.

დენის მატვიენკო ტარას შევჩენკოს სახელობის უკრაინის ოპერისა და ბალეტის ნაციონალური აკადემიური თეატრის ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელი და უკრაინის დამსახურებული არტისტია.

– დენის მატვიენკო უკრაინელია. საბალეტო განათლება კიევის

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## ასტროპროგნოზი 9 აპრილისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

**მოერიდეთ კონფლიქტს**

**ვერძი** – ეს დღე მშვიდ სიტუაციაში გაატარეთ. **კურო** – ფული არ გაქვთ, მაგრამ მალე იშოვით. **ტყუპები** – გზიდან ფულსა და საჩუქარს მიიღებთ, გახარებული ხართ. **კირჩხიბი** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ლომი** – ფული გაქვთ, ყველა საქმეს მოაწესრიგებთ. **ქალწული** – სახლში დიდი სიხარული გელოდებათ. **სასწორი** – საქმეს ბოლომდე მიიყვანთ და ახალს წამოიწყებთ. **ღრიანკალი** – არავის ენდოთ, საკუთარი თავის გარდა. **მშვილდოსანი** – წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** – ფული გაქვთ, საყიდლებზე წადით. **მერწყული** – მოერიდეთ რთულ სიტუაციას, ნერვებს ნუ აიშლით. **თევზები** – საკუთარ თავზე იფიქრეთ, სხვები მოიცდიან.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. რაიონული ცენტრი იმერეთში; 2. სასჯელის მოხსნა ან შემსუბუქება; 3. მეექვსე საუკუნის ეკლესია თბილისში; 4. ფართო, ხეივნიანი ქუჩის, პროსპექტის სახელწოდება ლათინურ ამერიკაში; 5. ღვინისა და დროსტარების ღვთაების საპატივსაცემო დღესასწაული ძველ ათენსა და რომში; 10. კვირის ერთ-ერთი დღე; 11. უდაბნოში მზარდი დაბალი ხე, ბუჩქი; 12. ჭაობის ბუ; 13. წვრილად დაჭრილი, შეკმაზული და შემწვარი ხორცისგან მომზადებული ფრანგული კერძი; 16. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 17. ბალეტის მოცეკვავე მამაკაცი; 19. ჩქაროსნული ავტოსტრადა; 21. ირლანდიელ მწერალ ჯოისის რომანი; 23. ოქროს ვარაყის ძველი ქართული სახელწოდება.

**თარაზულად:** 6. ორკორპუსიანი გემი; 7. ჯარის რჩეული ნაწილი; 8. ვენესუელას პრეზიდენტი; 9. ფილოსოფიური მოძღვრება ხელოვნების, მშვენიერების შესახებ; 14. ქედი სამხრეთ საქართველოში; 15. ბუდისტთა წმინდა წიგნი; 18. იმრე კალმანის ოპერეტა; 20. ყავის მარცვლებსა და ჩაის ფოთლებში არსებული ალკალოიდი; 22. ჰოლანდიის კუთვნილი კუნძული ჩრდილოეთის ზღვაში; 24. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ესპანელი ავტომრბოლელი; 25. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 26. მსუბუქი ავტომობილის ძარის ერთ-ერთი ტიპი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

